

N8 2016

# ပုဂ္ဂိုလ်

1852



၁၆၁၀ ဒက္ခာ // ဒေါ်မာ // တာနမာဂီ၏ // ၁၄၀၈



2016/8

ყოველთვიური ლიცეიაცენტოს –  
საჩინო გადამზრდის ქურნალი

მთავარი რედაქტორი  
ამირან ბოგართელი

მთ. რედაქტორის მოადგილები  
ბალათერ არაბული  
სოსო გოლიძე

რედაქტორთა ჯგუფი  
ანდრო ბუაჩიძე  
თამარ გელიტაშვილი  
ელია მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი  
ქეთევან მერკვილაძე  
თამარ გელიტაშვილი

გარეკანზე – თემო ჯავახის  
ნამუშევართა ილუსტრაციები

სარედაქციო საბჭო

ანდრო ბელუკაძე  
თავმჯდომარე

ვანო ამირხანაშვილი  
ნაირა ბეპიევი  
ლევან ბრეგაძე  
დავით თედორაძე  
ზვიად კვარაცხელია  
ესმა კოკოსკერია  
გიორგი ლობჟანიძე  
ავთანდილ ნიკოლეიშვილი  
ნინო საღლობელაშვილი  
თამაზ ტყემალაძე  
თემურ ჭკუასელი  
ბესიკ ხარანაული

ქურნალი გამოდის  
თმილისის მუნიციპალიტეტის  
თინანსეური მხატვაჭრით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1  
ტელ.: 2-98-36-43  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



# სარჩევი

მიხეილ ჯავახიშვილი ქართული ენა	3	ლიტერატურული ნაკავი ბესიკ ბარათელი არეოპაგიტიკა და ვაჟა-ფშაველა	78
პოეზია ეკა კვიციანი	5	თარგმანი პაულო კოელიო საშობაო ზღაპარი თარგმნა გელა დუმბაძემ	90
პროზა ლალი ბრეგვაძე-კახიანი ვინ აუშვა ძალლები მოთხრობა	9	მიშელ უელბეკი ლექსები თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა	92
პოეზია კატო ჯავახიშვილი თენგიზ ბეჟაშვილი	20 25	ქართველი მხარელი ოსურ ენაზ გიორგი სოსიაშვილი მავთულხლართი მოთხრობა თარგმნა რაზიათ ქუმარიტოვმა	96
პროზა შორენა ლებანიძე მანანა ანუა, ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე ფრაგმენტი დოკუმენტური რომანიდან	28	ქართველი მხარელი ოსურ ენაზ გიორგი სოსიაშვილი მავთულხლართი მოთხრობა თარგმნა რაზიათ ქუმარიტოვმა	96
ერითაშვილი, ესეისტია თამარ გელიტაშვილი ვანო ჩხიტრაძის „ქულა“	44		
ლევან ბრეგაძე მყარი სალექსო ფორმები რაულ ჩილაჩავას შემოქმედებაში	53	თეატრული მიმოხილვა გუბაზ მეგრელიძე ილია ჭავჭავაძე ქართულ თეატრში	106
„ცისქარი“ ბავშვებს ნანა კაციაშვილი საბავშვო მოთხრობები	61	ერითაშვილი ალინა ქადაგიშვილი თემო ჯავახი – რეტროსპექტივა	114

## მიხეილ ჭავახიშვილი

### ქართული ენა

დღევანდელი ჩვენი მწერლობის კარგ დამკვირვებელს შემჩნეული ექნება ის სიტყვათა სიცოტავე, რომელიც საშინელ დალს ასვამს ყოველი მწერლის შემოქმედებას, ხოლო რაც უარესია, ეს პატარა საუნჯეც დაუდევრად იხმარება, რის მიზეზადაც ცოდნის ნაკლებობა მიგვაჩინა. ქართველმა მწერალმა არ იცის ქართული ენა. იგი იოლად მიდის იმ „ცოდნით“, რომელიც გამოაყოლა თავისმა პროვინციამ და მისი სტილიც ამ პროვინციით განისაზღვრება. არავინ არ დაგიდევთ, შეიძლება თუ არა იმ „გრამატიკის“ ხმარება, რომელიც თავში აქვს ჩაჭედილი ამა თუ იმ კუთხის ნარმომადგენელს და ამის გამო გაირყვნა ენა, გაირყვნა ისე, რომ სულ ადვილად შეიძლება ნაწერის მიხედვით გამოარკვიოთ ავტორის დაბადების ადგილი.

და, ჩვენდა სამწუხაოდ, ეს ახასიათებს ჩვენს თანამედროვე მწერალთა დიდ უმრავლესობას. ყველა თავისი ჟარგონით სწერს და ამ ველურ ღრიანცელში იკარგება ის ენა, „რომლითაც თამარ ბრძანებს სცემდა“. საერთო სალიტერატურო ენა მუზეუმში დარჩა და ცოცხალ მოქალაქის ძონით დადის მხატვრულ თვისებებს მოკლებული სიტყვა, რომელიც ყოვლად მიუღებელია სრულიად საქართველოსთვის.



აბა, გადაავლეთ თვალი ძველ მწერლობას, და ნახავთ, რომ იყო ერთი სამწერლო ენა. რაღაც ორმოცი წლის შემდეგ კი ისე გავერანდა ჩვენი მწერლობის მოედანი, რომ ყველა თავისი „სტილით“ მოდის და პოეზის მაღალ ფირმის ქვეშ ასაღებს ყოვლად დაბალ ლექსიკონს.

ჩვენ წინააღმდეგნი კი არა ვართ ამა თუ იმ პროვინციიდან მოტანილი სიტყვისა, პირიქით, ბევრი კარგი რამ მოიძებნება ჩვენს განაპირა ადგილებში, მაგრამ ეს შენაკადები უნდა ჰქონდეს მთავარ მდინარესთან, რომელსაც სამწერლო ენა ჰქვიან და რომელიც მეტროპოლიაში არის განმტკიცებული. იქნებ ვინმემ თავი იმართლოს ვაჟა ფშაველას და ყაზბეგის მაგალითებით? ეს თავის მართლება არ გამოადგებათ, რადგან ვაჟაც და ყაზბეგიც მთის ენით ლაპარაკობდნენ, მთას ალაპარაკებენ და მთის გარეშეც არსად მიდიან. მა-

თიას, ელგუჯას თუ გოგოლაურს რომ ლიტერატურული ენით ელაპარაკნათ, ეს დაუშვებელიც იქნებოდა და სიყალბეც, ისევე, როგორც ნაძალადევი იქნებოდა და კლდიაშვილის გმირების სალიტერატურო ენა.

პროვინციალ კილოს ხმარება თემის საკითხია და თუ ეს უკანასკნელი საერთო არის, ენაც ასეთი უნდა ჰქონდეს და კურიოზია, მაშ რა არის, როდესაც ჩვენი ინტელიგენტი მწერლები რადიუმზე და ეინშტეინზე სწერენ იმავ „სტილით“ რა სტილითაც ინტერებოდნენ „პროვინციული სცენები“. განა ასეთივე კურიოზი არ იქნებოდა, რომ ბლოელ აფშინას და შიოლა ღუდუშაურის დიალექტით გვეწერნა „ესთეტიური ტრაქტატები ან პოემები“, „ასტრალურ“ ან „ურბანულ“ ქვეყანათა შესახებ? დიახ, იქნებოდა კურიოზი, ამას ადვილადაც შევამჩნევდით, მაგრამ რომ უკვე განმტკიცებულია კურიოზი. მეორე მხრივ, ამას ვერ ვამჩნევთ და განვაგრძობთ ჩვენი ლიტერატურის მონაგვიანებას. ეს მტკიცნეული ადგილი ყველამ უნდა დაინახოს, რომ შეჰვიარდეს საკუთარი

ნაწერი და ენის განწმენდისათვის მომართოს თავისი ძალა და უნარი.

ჩვენ ბევრს ვყვიროდით მაღალ და მაგარ საკითხების შესახებ, რადგან ერთი ანდაზისა არ იყვეს, „არც კალა მიგვდის და არც ნიშადური“, პირიქით, ვიძენთ კიდეც, რადგან ვაოცებთ და ვაფიქრებთ მიამიტ ხალხს, მაგრამ გვგონია, რომ ყვირილსაც დაეკარგა მჭრელობა. ჩვენი კულტურა კი მთლიანად უკვე გადადგა საქმიანობის სტადიაში. აქ კი უდიდესი ამოცანაა ენის დაწმენდა და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვეს. ხოლო ამ უკანასკნელს რომ შეეძლოს სხვათა მხილება, ჯერ თვით უნდა განიკურნოს.

ეს მეტად ადვილი საქმეა, მხოლოდ ერთი პირობაა საჭირო: აკადემიური მუშაობა რამდენიმე ხნის განმავლობაში, რაც, ალბად, მიუღებლად მოეჩვენებათ „ჩოხიან დადაისტებს“, მაგრამ მისაღები უნდა იყვეს იმათთვის, ვისაც სწამს მწერლობა, როგორც ღვანლი და უდიდესი პასუხისმგებლობა ერის წინაშე.

## ეკა კვიციანი

ცა იცრიცება, რიურაუი ჯერაც  
ფერებს საკუთარ თავში აზავებს,  
მე ისევ ვფიქრობ, ვფიქრობ და მჯერა,  
რომ მართლა სძინავს შენში ლაზარეს.

სძინავს მშფოთვარე, უსიზმრო ძილით,  
მინებებია ტკივილის დუღილს,  
იცის, გასძვრება ერთხელაც ძირი  
ქვაბს და მანამდე მოთმენა უღირს

სალათას ძილის თუ ჯოჯოხეთის...  
სჯერა, რომ უნდა ცხადად ხედავდეს  
დასამარხავად მეწყერს მოხეთქილს  
და აიტანოს დაბადებამდე

თოვლის და წვიმის გულზე გადავლა –  
ის ელოდება ზეციდან ნიშანს,  
მზად უნდა იყოს, თუ მზე გადავა,  
რომ მზის ჩასვლამდე ახლიდან იშვას...

მანამდე ისევ შენში იძინებს,  
სხვას ვის გაუმხელს ამ საიდუმლოს,  
ეზიდებიან შიშის სიმძიმეს  
გარეთ და უნდათ, მკვდრად დაგიგულონ

როგორმე. შენ კი სიცოცხლის ქვაბში  
ქაფმოუხდელი ტკივილი გხარშავს,  
სხვებისთვის ჯერაც უცნობად დარჩი...  
და ვხედავ – თვალის გუგებში ჩამრჩა

გამოვლილ დღეთა უმზეო მწკრივი.  
ცხადში ვუყურებ სიზმარს, საზარელს,  
მკერდში ვიბრუნებ მოწოლილ კივილს  
და საკუთარი ხმა მაზანზარებს...



ნუ ეძებ ჩრდილებს ძველ ლექსებში, მე ახლა აქ ვარ,  
ტერფებს ვაზომებ დანისპირებს ისევ, თავიდან...  
დაუფიქრებლად ცაში ყოფნის ვინც დადო აღთქმა,  
დამძიმდა ყველა და ფსკერისკენ მძიმედ წავიდა...

ნურაფერს მკითხავ, მე გკითხულობ მარცვალ და მარცვალ,  
გისმენ და ვცდილობ – ყურს შენი ხმის ბარიტონს ვაჩვევ,  
მაგრამ არასდროს გაპატიებ არც დღეს და არც ხვალ,  
სინანულად თუ შემორჩები სიცოცხლის სარჩევს...

შენ უკვე იცი, რამდენჯერაც რწმენა ვიშვილე  
და დასარწევად მივიყვანე ჩვილი ჰამაკთან  
(ხომ ითვლი ახლა ჩემი გულის ცემის სიხშირეს) –  
ყველა მათგანი დარწევამდე ხელში ჩამაკვდა...

ვიდრე ვარ შენთან, ძველ ლექსებში ნურაფერს ეძებ,  
მათ ფსკერზე მხოლოდ უსახელო ჩრდილები წვანან  
და თუ ზღაპარში ჩამქრალი მზის ანთებას შეძლებ,  
მერწმუნე, მაშინ ამ ზღაპრიდან არასდროს წავალ...



შენ შენი წერე, ფსკერში შენი ფერი ჩაღვარე,  
გარიურაჟები დამიხატე, მწუხრის სევდები,  
ნუ მეკითხები, თვალები რა ლელვამ დაღალეს,  
სიცარიელეს ვერ შემივსებ, ამას შენც ხვდები...

დავიმახსოვრე სახეები, სუნი და ხმები  
და ნარჩენებით სავსე დამაქეს ახლა მუჭები.  
მე ყველა მომსვლელს თითქოს მშვიდი თვალებით ვხვდები,  
მაგრამ წასვლისას მთელი ძალით ვებლაუჭები.

ათას მეერთე გაცილება მდგმურთა, სტუმართა,  
მრავალჯერადი აცრომლება და აჩვილება,  
ბევრჯერ იფხიზლეს დამეებმა ჩემს სასთუმალთან,  
მერე თვალების უპეებში ჩაწვნენ ჩრდილებად.

შენ შენი წერე. დღეს სიტყვებით ვშრები და ვთბები,  
ოღონდ სათქმელი გულისკოვზზე ასჯერ აწონე,  
მე უკვე ვნახე – ვინც ამყავდა ზეცაში მხრებით,  
მინასთან ახლა უდარდელად როგორ მასწორებს...

ნუ გადაფურცლავ მაგ თვალების დახურულ ფარდებს,  
დრო შუალამეს, ხედავ? უკვე გასცდა მტკაველით,  
მე მხოლოდ ერთი დღის ლამაზად მოხატვა განდე  
და მომავალში დანდობას არც შენგან არ ველი.

მაგრამ შენ წერე სტრიქონები, ლექსები წერე,  
სანამ ნიავი დაუბერავს დილით იალქნებს...  
ნუ მეკითხები, სად მივყავარ, სად მიმარნევენ  
მოგონებები. კითხვებით ნუ  
მაფორიაქებ!



ნუ შეეხები, ნუ აზომებ დაკოურილ თითებს  
სულის ფსკერიდან ამობურცულ  
მოლურჯო სტრიქონს,  
დაბადებიდან უჟანგბადო სიცოცხლეს ითმენს,  
ვერ ახმაურდა, ვერ მოერგო ბერების სინქრონს...  
გაოცებული ნუ დაჰყურებ ლექსების დუმილს,  
ვერაფერს გეტყვის მათი ენა – მშრალი და ხმელი.  
თითო მათგანში უხერხულად თვლემს თითო მდგმური,  
ირწევა ჩრდილი – ჩაქნეული მტევანი ხელის...  
მოკუმე ბაგე. საყვედური არ უნდა დაგცდეს,  
თვალებში ეჭვის ნაპერნკლებმა, ვხედავ, იელვეს.  
ჩაგიყრი მუქში გამჭვირვალე, უმტვერო მარცვლებს,  
მერე თუ გინდა, ამ ცრემლებზე იმარჩიელე...  
და ყური გულთან მომადევი მოთენთილს, როცა  
ცხელი ტალღები ალოკავენ  
დაწყვეტილ სიმებს,  
თორემ სისხლივით იწურება, ხომ ხედავ, დროც და  
უსმინე, ვიდრე გათენებას  
გვახარებს ვინმე...  
საკუთარ სახელს ნუ დაეძებ სტრიქონ და სტრიქონ,  
რა ნუგეშია, რომ მიაგნო ანდა რას ელი...  
მაგრამ, თუ მაინც ხმაურიან სიტყვაზე ფიქრობ,  
გქონდეს ეს ლექსი – პირველი და  
უკანასკნელი...



ჩამოვიშალე გაწყვეტილი თმენის ძაფიდან,  
ბზინავს დაბრეცილ ქვაფენილზე ათასი მძივი...  
ძირს უჩვეულო სიმსუბუქის განცდით დაცვივდა,  
რაც სატარებლად იყო ასე ძნელი და მძიმე...

რამდენმა სცადა, მეც აქამდე რამდენს ვადროვე  
ბასრი მძივების ჩემი თმენის ძაფზე დამარცვლა,  
ახლა ვინ მოვა და ვინ ამკრეფს, ვინ მომაგროვებს,  
ამასხამს ისევ ამ ძაფზე და ძაფს ვინ განასკვავს?!



მიყვარდი – ახლა აუტანლად უბრალო გახდა  
სიტყვაში ცივად ამრეზილი ბგერების ღრენა,  
სიზმრები რადგან ერთ სისხამზე ტკივილად ახდა,  
მას მერე მხოლოდ ამ ტკივილზე ვშფოთავ და ვღელავ...

თვალდახუჭული ვაყურადებ მარცხენა მხარეს  
(– ვაითუ, გულის სიმკვრივე და გარსი ეთხელა),  
რა მოვუხერხო შემზარავად ცარიელ ხვალეს –  
ტკივილსაც თუ ვერ მივაგენი გულში ერთხელაც...



გამოფიტული, მოკლებული აზრსა და სიღრმეს,  
სიტყვები იქცნენ მკვლელად, მკვლელზე ბევრად უარეს  
დამნაშავედ და მხოლოდ მაშინ, სული რომ ვიღრძე,  
აღმოვაჩინე, რაც დავკარგე და ვიუარე...

საკუთარ თავში დაბრუნების ყველა მცდელობა  
უშედეგო და აბსურდული მეონია, ლამის,  
ვიცოდი კიდეც, ხრამის პირთან მისვლა მელოდა,  
მაინც გავყევი ლამის სმებს და საცეცებს ლამის.

აჩქარებული ნაბიჯებით, კრთომითაც ერთობ,  
სახლიდან გასულს ყოველთვის რომ უჩინრად ახლავს,  
და ახლა შენ თუ მიშველი და ამასხამ, ლმერთო,  
დაკარგულ თავთან მისასვლელად საჭირო ფარ-ხმალს...

წავიდე უნდა! გადამარჩენს წასვლა აქედან,  
როგორმე, იქნებ, სიმშვიდე და სიმტკიცე მეყოს,  
არ შემშრობია ვიდრე სულზე წყეულ ლაქებად  
ჰაერში ცივად გასროლილი ბგერების ექო...

## ლალი ბრეგვაძე-კახიანი

### 306 აუშვა ძაღლები!

შეიძლება ამიხსნას ვინმემ, რა მართავს ჩვენს ქცევას, ყოველგვარ ლოგიკას აცდენილ ჩვენს სიზმარ-ცხადს, ფრონტის ულად კი არა, მარტივ, ყველასთვის გასაგებ ენაზე? თუ რა წესრიგის მიხედვით მიჰყება ერთიმეორეს ჩვენი ცხოვრების ული მოვლენები, რომელთაგანაც ზოგიერთს მომავლის შეცვლაც შეუძლია. წარმატება-წარუმატებლობას ბედს მივაწერთ და თავსგადახდენილის მიზეზთა კვლევით დიდად არ ვირჯებით, არ გვცალია საამისოდ ან არ გვაინტერესებს. მოულოდნელი ჩავარდნები ხშირად შეცდომად მოინათლება, გვსურს, ავიცილოთ მასზე პასუხისმგებლობა და მთელი ცოდვა დაუფიქრებლობას ავკიდოთ. ეს საქმეს გვიადვილებს, გვიმშვიდებს სინდისს. უმისოდ კი წინ ვერ წავინევთ.

ფიქრობ, რომ წარსული ჩავლილი დროა, უკან დარჩენილი, დასავინებლად განწირული, თითქმის, რომც აღარ გევალება, ანგარიში გაუწიო, რადგან იქ ველარაფერს შეცვლი? მაშინ ცდები. ყველაფერი მანც წინ დაგხვდება, ანუ გამოგეცხადება დღევანდელობაში, რომელიც ჯერ კიდევ შენს ხელთაა. ასე თუ ისე, შეგიძლია ცვალო სიტუაციები, აწესრიგო შეძლებისამებრ, გადაადგილო, როგორც ფიგურები ჭადრაკის დაფაზე – შეტევის შემდეგ დაიხიო უკან, ეძებო გამოსავალი, მსხვერპლიც გაი-

ღო, როცა საჭიროა, თუ ამას საბოლოო მიზანი ითხოვს. მაგრამ აწმყო ჩუმი ომიცაა ყოველწლიური ყოფასთან, ომი უკეთესი არჩევანის გასაკეთებლად და ეს სულაც არ ჰგავს უწყინარ თამაშს. აწმყოსთან კონფლიქტი არას გარგებს, მასზე ძალადობა წინასწარვე წაგებული ხელია მთელ შენს ცხოვრებასთან. ეული ხარ და მიუსაფარი, ობოლი დგახარ დაუნდობელი მოწინააღმდეგის წინაშე. მუდამ შავი ფიგურებით გინევს თამაში. ამას უნდა შეეჩვიო. მეფეა დასაცავი და ყველა ხერხი უნდა იღონო, ტყავში უნდა გაძვრე, წინასწარ გამოიცნო მოწინააღმდეგის სვლები, საკუთარი ნაბიჯები აკონტროლო. ყოველივე დამოკიდებულია გამძლეობაზე, ხოლო თუ იგი გიმტყუნებს, თამაშში მისი უდიდებულესობა მეფე ერთვება. ესაა იძულებითი სტადია – ენდშპილი. აქ თავად შენა ხარ მეფე. გმირი, აღჭურვილი თავგანწირვის უნარით. უშედავათოა ჭიდილი... არჩევანია გადამწყვეტი... მას ზუსტად უნდა მიაგნო. სწორედ ამაშია ძნელად მოსაპოვებელი თავისუფლება, ყოველი ადამიანისთვის საოცნებო.

ჭადრაკის ფილოსოფია ერთ დღეში შეიძლება აითვისო. ცხოვრების ფილოსოფიის გაებას წლები სჭირდება. იგი ხანგრძლივი ტანჯვის გამოცდილებას მოაქვს. ამიტომაც ვჩურჩულებთ სავედრებელს – დაგვინდე და შეგვაძლე-

ბინე!.. მოგვეცი ლირსეული აოჩევანი, რომელიც დღეს ბურუსითაა მოცული, თავს მოგვიანებით იჩენს.

ავთანდილი ნახევრად მელოტი ახალ-გაზრდა მამაკაცი იყო, ქერა, ერთობ გა-ლანტური, მსგავსი ყოველ ნაბიჯზე რომ არ შეგხვდება. კარგად ჰქონდა ათვისე-ბული ქცევის წესები. თქვენობით უყ-ვარდა მიმართვა. ადვილად მიიჩნევდი თავაზიანობის ისეთ ეტალონად, ვინც გზას უთმობს ქალს, წინ ატარებს, ხელზე ეამბორება, ეხმარება პალტოს ჩაცმაში, შველის მანქანიდან გადმოსვლაში, მაგ-რამ მასზე მაინც თავისი შეხედულება აქვს, ისეთი, დიდ წარმოდგენას რომ არ გიქმნის სუსატ სქესზე.

საუბრისას განსაკუთრებული ყუ-რისგდება იცოდა. ასეთი მანერა მის ფარულ, გაორებულ შეგრძნებათა ჩვე-ვადქცევის აუცილებლობას უდებდა სათავეს. გადაჭარბებული სიბეჯითით მოსმენა თითქოს იმაზე მიგანიშნებდა – არ გენდობოდა, ნათქვამის მიღმა შრე-ებშიც ცდილობდა შემოღწევას ან კი-დევ, სამისდღემჩიოდ სურდა, დაემახ-სოვრებინა გაგონილი. წვრილ ცისფერ თვალებს დაბლა დაუშვებდა ხოლმე, ღრმად ჩაფიქრებულის იერს მიიღებდა უხილავ ბაკანში ჩაკეტილი, საიდანაც ძნელად გამოიტყუბდი.

ოჯახური ცხოვრება თითქმის უბე-დურებასთან გაეიგივებინა ცოლთან გაყრის შემდეგ. სხვა მხრივ, ხალისიანი გახლდათ, ინტერესით სავსე და შრომის-მოყვარე. მოკლედ, თვითქმარ ადამიანად შეიძლებოდა ჩაგეთვალა. უკვე მოესწრო საზღვარგარეთ სამსახური, რამდენიმე წელი ნიკარაგუაში გაეტარებინა, საი-დანაც ეგზოტიკური სამახსოვრო სუვე-ნირები წამოედო, თუმც არ გახლდათ ნივთების მოყვარული, ყოველი მათგანი მაინც ძალიან ესათუთებოდა.

ეს ყველაფერი ლიზამ მოგვიანებით შეიტყო, დროთა განმავლობაში, მას შემდეგ, რაც იგი ერთ მშვენიერ დღეს გაიცნო „ხსნის არმიაში“, ქუჩის მორიგ

შეკრებაზე, დედაქალაქის ცენტრში, მეტროსადგურების ახლომახლო რომ იმართებოდა ხოლმე. რატომდაც, სურ-ვილი გაუჩნდა, გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ვერ ბედავდა იქამდე, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, მოიკრებდა სითა-მამეს და ჰკითხხავდა:

– მაპატიეთ, თქვენი სახელი... – იცოდა, რაც ერქვა, მაგრამ ნაცნობო-ბის დასაწყისად ასეთ გზას მიმართა. პასუხის მიღებისთანავე კი მიაყოლა, – მოსწავლები გყავთ?

კაცმა დაკვირვებით შეხედა ერთბა-შად ამდენი კითხვის დამსმელს და კით-ხვითვე მიუგო:

– რა გაინტერესებთ?  
– მეცადინეობა მინდოდა მეთხოვა.  
– უცხო ენის სწავლა გსურთ?  
– დიახ, ძალიან, – არ იყო მიზან-სწრაფული, მაგრამ ასე გამოვიდა.

კაცი ჩაფიქრდა. გახედა სირბილით მომავალი მეგარმონის მოლოდინში დროებით გარინდულ ხალხს, უღალ ულვაშს ქვედა ტუჩი შეახო და თავი რამდენჯერმე უხალისოდ დაიქინია.

– კარგი, ვეცდები, დაგეხმაროთ, – უთხრა როგორლაც აჩქარებით, რაც მი-ანიშნებდა, რომ ახლა ამაზე ლაპარაკი დასრულებულად უნდა ჩათვლილიყო.

ავთანდილი კარგ თარჯიმობას უწევდა ხსნის არმის ჯგუფის ხელ-მძღვანელ ჩილელ თუ ჰერუელ ცოლ-ქმარს, მუქი ლურჯი უნიფორმები რომ ეცვათ, სამხრეებით გაწყობილი. კაცი კაპიტანი იყო. ქალსაც ჰქონდა რა-ლაც ჩინი, ხაზგასმულად სერიოზული გარეგნობის ეს ჩია ადამიანები რამ-დენადმე სასაცილოდაც კი გამოიყუ-რებოდნენ, მეტადრე მაშინ, როდესაც, ცნობისმოყვარე გამვლელთა მისაზი-დად, გარმონის თანხლებით ასრულებ-დნენ რაღაც პრიმიტიულ სიმღერებს რელიგიურ თემებზე და ნაწყვეტებს წარმოქვამდნენ სახარებიდან.

განმანათლებლობის მიზნით, სააქ-ტო დარბაზიც დაექირავებინათ. იქაც

ეპატიუებოდნენ ხალხს, შეხვედრებს მართავდნენ, ქადაგებდნენ თავისებურად. აუდიტორიაც გაუჩნდათ, დღითი დღე მატულობდა მსმენელი, მოკლედ, თარჯიმანს დიდი სამუშაოს შესრულება უნდა იყოს. ყოველი წარმოთქმული ფრაზა უნდა ეთარგმნა ესპანურიდან ქართულად და – პირიქით. საქმეს მარჯვედ უძლევებოდა. ენერგია მოზღვავებოდა, ერთი შეხედვით შეამჩნევდი, კერკეტი იყო, სიძნელეების არ ეშინოდა. უფრო მეტიც, ამკარად სიამოვნებდა იმის დემონსტრირება, რომ ენასთან შინაურულად გრძნობდა თავს.

ახალი დანგრეული იყო საბჭოთა იმპერია – ეგრეთ წოდებული თავისუფალ ერთა კავშირი. ძალზე სასურველად მიიჩნეოდა უცხო ენაზე მოლაპარაკე ადამიანებთან კონტაქტი, სიახლის მომასწავებელ დასაწყისს ჰგავდა სამოცდა-ათწლიანი კარჩაკეტილობის შემდგომ.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილის-თვის, რომელსაც ახალგამოცხადებულ-მა თავისუფლებამ ბევრი ვერაფერი სიკეთე შესთავაზა, მომხიბვლელი აღმოჩნდა „ხსნის არმიის“ პუმანიტარული ფაქტორი. იგი შეჭირვებულთ საკვებ პროდუქტებს ურიგებდა – კონსერვების, ძეხვეულის, ორცხობილის, შაქრის, მცენარეული ზეთისა თუ სხვათა სახით. ლიზას აზრად არ მოსვლია „ხსნის არმიის“ პროდუქტებით სარგებლობა.

უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ჰქონდა. წლების განმავლობაში რამდენიმე ჰობი გამოიცვალა. ბოლო იყო ესპანურის შესწავლა. ენის საფუძვლებს მცირე კურსის წყალობით დაეუფლა. სწადდა, ორიგინალში წაეკითხა ფედერიკო გარსია ლორკას ლექსები. ახლა კი ალაპარაკება გაიხადა მიზნად. ავთანდილის ესპანურად თავისუფალი მეტყველება ხიბლავდა.

გაკვეთილის შემდეგ მარტოხელა მამაკაცი ჩაის მოამზადებდა, ღიმილ-მომდგარი მოკრძალებით სთავაზობდა იაფფასიან კანფეტებთან ერთად, ისე,

რომ უარის თქმა მხოლოდ უზრდელობად ჩაითვლებოდა.

– კარგად მიდის სწავლის საქმე, – თქვა ერთხელ მასწავლებელმა, – კმაყოფილი ვარ, ასე განაგრძეთ, – თან ორი ფინჯანი ჩაი დადგა მაგიდაზე, მერე რაღაც ნამცხვრის ნაჭრებიც მოაყოლა, – გთხოვთ, მიირთვით, – თავად კი შებრუნდა, კედლიდან გიტარა ჩამოხსნა, გოგოს პირდაპირ დაჯდა, მუხლზე დაიღო საკრავი და აწყობას შეუდგა.

ლიზა სმენად იქცა, ხელი არ უხლია ჩაისთვის. ავთანდილი უკვე ესპანურ მელოდიას უკრავდა, თან გაუბედავად ლილინებდა. გოგო შესცეკეროდა მის ნაჯაფ, თითებდაბებრებულ ხელებს, იმაზე რომ მეტყველებდა, კაცი არ ერიდებოდა არანაირ ფიზიკურ სამუშაოსაც კი და ლიზამ გაიფიქრა, რომ კარგი იყო აქ, ამ უწესრიგო, შპალერგაქექილ, ძველი ავეჯით განყობილ ოთახში, დამტვერილ ნივთებს შორის. თითქოს მთელი სამყაროს ცენტრად ქცეულიყო ეს უმნიშვნელო ადგილი. ეჩვენებოდა, რაც ქვეყნიერებაზე სიხარული გაჩენილა, ყველა აქ მოგროვდაო.

მერეც, ყოველ ჯერზე, ამგვარივე განცდით ივსებოდა ხოლმე, როცა კაცი, გიტარის თანხლებით, უფრო თამამად ასრულებდა მშვენიერ მელოდიებს.

იჯდა სუნთქვაშეკრული და გულში იგროვებდა იმ რიტმებს. ცდილობდა, დაემახსოვრებინა მოსმენილი, შეუმრჩნევლად რომ დაეპყრო მისი დღეები, აემდერებინა. უკვე იმ რიტმებით სულ-დგმულობდა. რაც გინდა ეკეთებინა, გონებაში სულ ის აკორდები უტრიალებდა. ამას ენის გადაჭარბებულ სიყვარულს მიაწერდა, რადგან თანდათან ღრმად შედიოდა ესპანურის სამყაროში. მის გრამატიკას ბევრი რამ საერთო აღმოაჩნდა მშობლიურ ქართულთან.

უმატა მეცადინეობას. ესპანურად დაიწყო სახარებისეული ოთხთავის კითხვა. „ხსნის არმიაში“ კაპიტნის ცოლმა აჩუქა თავისი ეგზემპლარი (რაკი შეიტ-

ყო ენისადმი გოგოს დამოკიდებულება), სადაც აღმოჩნდა, რომ მასში რაღაცები შეცვლილ-გადაადგილებული იყო. მაგალითად, ტექსტი მათეს სახარებით კი არ იწყებოდა, როგორც კანონიკურ გამოცემებში, არამედ ითანეს სახარებით. თვის გამოცემასაც, სახარების ნაცვლად, ერქვა: NO HAI AMOR MAS GRANDE (არ არს სიყვარული უფრო დიდი), თუმც ამჯერად ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

კაცი კი მღეროდა, მაგრამ სიტყვაძვირი იყო, მხოლოდ საკუთრივ გაკვეთილის ირგვლივ საუბრით კმაყოფილ-დებოდა, არავითარი სხვა თემა... გოგოს ესეც მოსწონდა. თითქოს ასე უნდა ყოფილიყო და არა სხვაგვარად. პირქუში, მცირე სივრცეში ყოველი ზოგადი ფრაზა მოზომილად, შერჩევით ითქმოდა, რათა არ დარღვეულიყო ოფიციალურობის ბალანსი, ესოდენ სანდოობას რომ სძენდა მათ ურთიერთობას. ამის წყალობით, შეხვედრები ამაღლებული განწყობით მთავრდებოდა. ბოლოს კაცი კარამდე მიაცილებდა მოსწავლეს, თავის დაკვრით დაემშვიდობებოდა, დაელოდებოდა, როდის ჩაათავებდა იგი სართულის კიბეს და ნელა მიხურავდა კარს. მაშინ გოგო გულისწყვეტით გაიფიქრებდა ხოლმე, რომ დასრულდა კიდევ ერთი უცნაური დღესასწაული.

ისე მოხდა, რომ გაკვეთილიდან გაკვეთილამდე ცხოვრობდა, სხვა ყველა-ფერი მეორეხარისხოვანი გამხდარიყო. მისმა დღეებმა სვლა დაიწყო გამოუთქმელი ჭირვეულობითა და გაურკვევლობით დამუხტულ ბურუსში, მთელ სხეულში რომ შესახლებოდა და შემანუხებლად უფორიაქებდა სულს. ერთ საღამოს გაკვეთილზე ცოტა ადრიანად მივიდა. ეს უნდებლიერ მოხდა. ვერ დაელოდა დანიშნულ საათს, ისე მიადგა ნაცნობ კარს, მორიდებით დარეკა ზარი.

ავთანდილი ნახევრად გახსნილ ღიობში რომ ჩადგა და წვრილი, გასარკული თვალები გაუშტერა, ლიზა მაშინვე მიხვდა, რაღაც შეეძალა, მაგრამ გვიან-

და იყო. კაცმა ჩვეული თავშეკავებით უთხრა:

– მოპრძანდით!

სწრაფად შებრუნდა, სამზარეულოს მიაშურა ისე, რომ კარის ჩაკეტვა ლიზას მოუწია. შევიდა ოთახში, სადაც მეცა-დინეობდნენ ხოლმე. იქ კი თავისი შეცდომის ლოგიკური დასასრული იხილა.

კაცის საწოლზე იჯდა განსაკუთრებული არსება – შავი, დიდთავა, თმაგაბუებული გონჯი ქალი. მსუქან ტანზე კოტიტა ხელ-ფეხი ესხა. ეცვა მკერდმოშიშვლებული კოფთა და მოკლე ქვედაბოლო. ლიზას შესვლა თითქოს ვერ შენიშნა, თავიც არ აუნევია. მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მაგიდასთან მჯდარ ლიზას ნელა ამოხედა კუპრივით შავი, ზედმეტად მბზინავი თვალებით, რომელშიც აშკარა უკმაყოფილება და გამძვინვარებული ვნება ედგა. მტრისას ასეთი შემოხედვა.

ლიზამ უხერხეულობა იგრძნო. არ იცოდა, რა ექნა და ოთახს დაუწყო თვალი-ერება. ოპო, ფანჯარაზე ძველი, ჭვარტლისფერი ფარდის ნაცვლად, ახალი ეკიდა, ქათქათა, დიდი ორნამენტებით ნაქარგი. ისევ გონჯს შეხედა, რომელიც კვლავ თვალდაუხამძამებლად მიშტერებოდა.

ავარა ტიპიაო, აღმოაჩინა ლიზამ. არ იცოდა, ენანა თუ არა, დროზე ადრე რომ მოვიდა. ასე ისხდნენ. ბოლოს ქალმა გონჯი სხეული ასწია და სამზარეულოში გააკითხა ავთანდილს, სადაც იგი ჯამ-ჭურჭელს აწკარუნებდა, აბინავებდა მორთმეულ სასუსნავებს. საწოლის გადასაფარებელზე ნაჯდომის კვალი დარჩა, სქელი გავის სიმძიმით ჩაპრესილ-მიჭეჭყილ-მოჭეჭყილი, გულისრევამდე ბილნი სანახავი რომ იყო.

სამზარეულოდან არ ისმოდა საუბრის ხმა. ეტყობოდა, ხმადაბლა ჩურჩულებდნენ. მალე კარის ჩხაკუნი გაისმა. ქალი გააცილა და ავთანდილმა ოთახში შემოაბიჯა.

ლიზას აზრად არ მოსვლია მობოდიშე-

ბა ადრე მოსვლის გამო, თითქოს ასე იყო საჭირო. მწარედ უნდა სტკენოდა გული.

ზურგშექცევით დაჯდა საწოლისკენ, რათა დანატოვარი კვალი აღარ დაენახა. რაღაც ემართებოდა. საკუთარ თავს არ ჰელ-ფეხი გაციებოდა, გაქვებულიყო.

– როგორ ხართ?! – მკაცრად ჩაპითხა კაცმა, ონავარ ბავშვს რომ მიმართავენ, ისე.

ლიზა შეყოვნდა. პასუხი არ ჰქონდა, მაგრამ ცრუ პოზაში ყოფნაც არ უნდოდა.

– მშია ძალიან, – თქვა მშვიდად.

– გშიათ? – გაიკვირვა კაცმა.

ლიზამ თავი დაუქნია.

კაცი ფეხზე წამოიჭრა. ორ-სამჯერ მოუხდა სამზარეულოში გასვლა. პატარ-პატარა თეფშებით შემოიტანა პური, სხვადასხვა ცივი კერძი, რაღაც ფხალეული, მაგიდაზე დააწყო ორ სუფთა თეფშსა და დანა-ჩანგალთან ერთად.

– მიირთვით, – ხაზგასმული თავაზიანობით უთხრა გოგოს.

ლიზას ჭამა არც უფიქრია. თავზიარს სცემდა საკუთარი ქცევა, მაგრამ კონტროლმოშლილი ის უჩინარი მხეცი, მასში რომ ჩასახლებულიყო, აღარ ემორჩილებოდა და გოგოს პირით ახალი სისულელე თქვა:

– ნამცხვარი მინდა, ტკბილეული.

კაცი ისევ გავიდა, ტორტისა და შავი, ნიგზიანი ნამცხვრის ნაჭრები შემოიტანა, წინ დაუდო.

– გმადლობთ, – თქვა გოგომ. მერე თავი დახარა და ტირილი დაიწყო.

კაცი იჯდა. მოთმინებით უცდიდა, ეს სულელი როდის მოათავებდა სლუკუნს, მოინმენდდა ცრემლებს და წარმოთქვამდა ორივესთვის საჭირო სიტყვას:

მაპატიეთ!..

– კარგი, კარგი, – თქვა კაცმა, – მეცადინეობას შემდეგ გაკვეთილზე განვაგრძობთ. ახლა თავისუფალი ხართ, დაისვენეთ!

მიწაში ჩაძრომა უნდოდა. რას მიაღწია! ეზიზლებოდა თავი, სულმოკლეობაში რომ დაიჭირა, მოთმენის უნარს მოკლებული, არამდგრადი. ის, რაც დაემართა, პირადი ლირსების საკითხი იყო და ეს ანადგურებდა.

სწრაფად ჩაათავა კიბე, ეზოც სირბილით გადაიარა, იქაურობასთან რაც შეიძლება მალე გარიდებას ცდილობდა, თითქოს ეს იყო გამოსავალი, ამით შეცვლიდა რაიმეს. ნეტავ, შეეძლოს ყველაფრის წამლა, დღევანდელი დღის ამოგდება დროის დინებიდან. ნეტა...

ქუჩა ისეთი გაუცხოებული, ისეთი მტრული ეჩვენა, შიშიც კი შეეპარა. ქაოსური მოძრაობისგან გუმბათივით მდგარმა გუგუნმა ორიენტაცია დაუკარგა, თითქოს ვეღარ გაეგო, საით წასულიყო, რაც მის ტვინში უანგბადის ნაკლებად მიწოდების ბრალი იყო. მინა ეცლებოდა ფეხქვეშ, წონასწორობას კარგავდა. ამიტომ არჩია, პარკისკენ გადაეხვია გზისპირს, ყვავილებით მოვაჭრეთა წინ და პირველსავე ცარიელ სკამზე დამჯდარიყო.

თვალები დახუჭა. ეცადა, აღარაფერზე ეფიქრა, მაგრამ არ გამოსდიოდა. რაც მეტად ცდილობდა, მით მეტად უტევდა მწარე ფიქრი, გულს უღონებდა, თუმც ამას ფიქრიც არ ეთქმოდა. სად ჰქონდა თავი, აზრი აზრზე მიება, ნორმალურად დაელაგებინა რაღაც, მთლად გონწართმეულობა რომ არ ეგრძნო. სახეზე აიფარა ხელისგულები და გაყუჩდა. მალე ხმაური მოაწყდა, ყურებში გუგუნივით ჩაუდგა უწესრიგო ყაყანი. ბიჭების ახალშებოხებული ხმები იყო, საიდანაც შინაარსი ვერ გამოეტანა. როცა თვალი გაახილა, დაინახა, იქვე, სულ ახლოს, თინეიჯერების პატარა ჯგუფი იდგა, რაღაცაზე გაცხარებით დავობდნენ მანამ, ვიდრე ერთის ხმა ჩახლეჩამდე იყვირებდა:

– ვინ აუშვა ძალლები! თქვით, ვინ აუშვა!

თითქოს ლიზას გამოსაფხიზლებლად იყო ეს ყვირილი. შეანჯლრია ბიჭის სა-

სონარკვეთილებამდე მისულმა, უკანასკნელი ძალით ამომსკდარმა ხმამ. აქ კი ყველა გაყუჩდა, მერე კისრისტებით გაცვიდნენ გზაჯვარედინისკენ.

ლიზას თავბრუსხვევამ გაუარა, ცოტა შევება იგრძნო. ღრმად დაიწყო სუნთქვა, მაგრამ მაინც პარალიზებულივით იჯდა. რის ვაი-ვაგლახით იცილებდა ავთანდილის ხატს, კუჭტ ნარბებქვეშ შემალულ მზერას, რომელიც უსიტყვოდ ამბობდა: მე არა ვარ სუვენირი, სამახსოვრო საჩუქრად ვერ გამოვდები!.. მიუხედავად ამისა, გოგოსთვის იგი მაინც გალანტურ პიროვნებად რჩებოდა, თუმც მაინც სცადა მის ავკარგიანობაზე ფიქრი, მისი უარყოფითი მხარეების მოძებნა, საიდანაც არაფერი გამოვიდა და გადაწყვიტა, განსჯას აზრი არ ჰქონდა. მას ხომ მოუხელთებელ ადამიანთან ჰქონდა საქმე. ვერანაირ ზუსტ დასკვნას ვერ გამოიტანდა. უფრო გაალიზიანა ტვინის ჭყლეტამ. სისულელე იყო, მით უმეტეს, ადვილი შესაძლებელია, ავთანდილი ამ წუთებში არხეინად იჯდა გიტარით ხელში, ღილინებდა თავის საყვარელ „ბესამე მუჩო“-ს ან „ვიდა დე მი ვიდა“-ს და ვინ იცის, კიდევ რას.

— შტერი... ნამდვილი შტერი... — ამუნათებდა სულიდან ამომსკდარი, გოდებასავით ხმა, — აბა, რას ელოდი. შენ რა, მხოლოდ ზემიქბი გსურდა? ამ პარკის მხოლოდ ფრთაშესხმით გადავლა? ხედავ, თურმე, ასეც ხდება.

ყურებში კი ისევ ედგა ბიჭების ხმაური, იმ ერთის გამწარებული ყვირილი, რომლის მიზეზს ვერასდროს გაიგებდა. მაგრამ იგი ამცნობდა, რომ შფოთვა სხვაგანაცაა, სხვებიც ღელავენ, უხმობენ მშვიდობას. სიმარტივეშეყრილს ამაზე მინიშნება ახლა ვერ მოჰვრიდა შვებას. არავინ ჰყავდა გვერდით, რომელიც ეტყოდა ნუგეშის სიტყვებს: დამშვიდდი, წადი შენს გზაზე, მოიზღუდე თავი, უკეთეს დროს დაელოდე, რომელიც უთუოდ დადგება. მოეშვი იმის განსჯას, რა არის სამართლიანი

და რა არა. ამას შენამდეც არკვევდნენ, შემდგომშიც ბევრი აიტკივებს თავს.

მომავალ გაკვეთილამდე დღეები უსასრულოდ გაიწელა. გამუდმებით იმაზე ფიქრობდა, მომხდარის შემდეგ ხომ არ შეეწყვიტა მეცადინეობა, მაგრამ ის დღე მოვიდა თუ არა, ყოყმანი გაკვეთილზე წასვლის დაუოკებელმა სურვილმა შეცვალა. ვერ მოისვენა, კვლავ ადრიანად გაეშურა. ოღონდ ჯერ ქუჩებში იხეტიალა დროის მოსაკლავად. მისვლა ზუსტად უნდა გამოუვიდეს, არავითარი თვითნებური შეცდომა...

კარი რომ გაუღო, ავთანდილს სახეზე ღიმილი ისევ შერჩენილი ჰქონდა. აშკარად კარგ გუნებაზე იყო. ვიღაცას-თან ხუმრობდაო, გაიფიქრა გოგომ. შინაგანად მოემზადა დამხვდურთან შესახვედრად. ისე უნდა ეჭიროს თავი, როგორც მოსნავლეს შეჰქერის – მოკრძალებულად, ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე.

ოთახში შესვლისას ახალი საოცრება იხილა – ყავისფერი მაკაკა, რასაც ნამდვილად არ ელოდა. მაიმუნი საჯდომჩავარდნილ სავარძელში ჩასკუპულიყო, ნახევრად შეჭმული ბანანი ჩაებლუჯა, გოგოს დანახვაზე ტუჩების ცმაცუნი შენყვიტა და ყურადღებით დაუწყო ცქერა.

„ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა გოგომ, — ეს რაღა ოინია...“ დაჯდა, გაირინდა. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ზარის ხმაზე ავთანდილი ჰოლში გავიდა. ლიზას გარკვევით ესმოდა მისი ხმა, ეჭვიც კი გაუჩნდა, მგონი, განგებ საუბრობს ხმამაღლაო.

— კარგადაა, კარგად, — ამბობდა იგი, — დარდი ნუ გაქვს, მშვენივრად იქცევა. საჭმელიც მიირთვა.

ადვილი მისახვედრი იყო, მაიმუნის პატრონს ესაუბრებოდა. ზრუნავდნენ მასზე. ის კი ლიზას კვლავ არ აცილებდა თითქმის გამომწვევ, ფოსოებში ღრმად ჩამჯდარ თვალებს. ო, როგორ

ჰერიტაჟის მნიშვნელობის და მის გადაცემის მიზანთ მისამართი მოგზაური კონფერენცია გაიმართობა. მისამართი მოგზაური კონფერენცია გაიმართობა მას ეპისკოპოსის მიერ მიმღები მისამართი მოგზაური კონფერენცია გაიმართობა. მისამართი მოგზაური კონფერენცია გაიმართობა მას ეპისკოპოსის მიერ მიმღები მისამართი მოგზაური კონფერენცია გაიმართობა.

ამას მართვის მიზანი ავთანდილი საუბარს მორჩია და ენერგიულად შემოქანდა კარში.

— გაიცანით ერთმანეთი? — იკითხა ლიმილით, შუა თითო წარბზე გადაისვა, როგორც ხშირად სჩვეოდა, — ხედავთ, დღეს საპატიო სტუმარი მყავს, — ანიშნა მაიმუნზე, — ჩემმა ქალიშვილმა მომაპარა ცოტა ხნით. საყვარელი ვინმეა. ზის თავისთვის, ფიქრობს და ფიქრობს. ამის თქმა იყო, მაკაკიმ სავარძლიდან ისკუპა, თითქმის გამოფრინდა, ლიზას ჩაუხტა კალთაში.

გოგო მოულოდნელობისგან შეერთა. არ იცოდა, რა ექნა, ხელები მაღლა ასწია, ესაოდა, მძვინვარე მტერს მორჩილებას უცხადებსო.

ავთანდილს სასაცილოდ არ ეყოცხოველის ქცევა.

— ნუ გეშინიათ, — დაამშვიდა მოსწავლე, — გეთამაშებათ, არაფერს გავნებთ, — დაიხარა. ჯერ ბანანი აიღო, რომელიც მაკაკამ გზაში დაკარგა, მერე დასწვდა მაიმუნს, გულზე აიკრა და ლიზას წინ დაჯდა სკამზე.

ერთხანს უსიტყველეს უმზერდა. ის და მაიმუნი ერთდროულად მიშტერებოდნენ. მერე ხაზგასმულად დაბალი ხმით ჰკითხა:

— აბა, როგორ ხართ?

ამ „აბამ“ როგორლაც შეურაცხყო ლიზა. ესოდენ უმოკლესი სიტყვა მწარე შინაარსს იტევდა, იმის გახსენებად გაისმა, რაც გოგოს ტკივილს აყენებდა, მისი სასარგებლო სულაც არ იყო,

მაგრამ ავთანდილმა სწორედ იქიდან ისურვა გაგრძელება, საკუთარი თავი უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენა. ლიზა ამგვარ სამაგიეროს არ ელოდა. გააღიზიანა მისი ქალური სისუსტის ბოროტად გამოყენებამ. წუთიერად უცქირა მაიმუნისთვის დაბრუნებულ ბანანის ნარჩენს, შემდეგ ფიქრიც აღარ დასჭირვებია, უკვე იცოდა, რას უპასუხებდა.

— მოვედი, რომ მეთქვა... მეტის გაგრძელებას ვეღარ შევძლებ, უნდა დაგემშვიდობოთ.

მოულოდნელმა განაცხადმა ოდნავ დააბნია საკუთარ ძალებში დარწმუნებული მამაკაცი, თუმც შეინარჩუნა გულგრილი შეუვალობა. წამიერად ჩაფიქრდა. მერე სხვათა შორის მიუგო:

— თქვენი გადასაწყვეტია... სრული უფლება გაქვთ, ისე მოიქცეთ, როგორც საჭიროდ ჩათვლით... — მეტი აღარ გააგრძელა, რადგან ყველაფერი გარკვეულად ჩათვალა.

მისი გულგრილობისგან მოგვრილმა ურუანტელმა ელვასავით დაუარა ლიზას. ასეთ სასჯელს ნამდვილად არ იმსახურებდა. ისევ მაკაკაზე გადაიტანა ყურადღება. იგი არხეინად იჯდა ავთანდილის მკლავზე, სისულელით სავსე თვალებდაკუსული, შიგ რაღაც ღიმილისმაგვარიც უბრწყინავდა, თითქოს უნდოდა გამოეხატა, ყველაფერი გავიგე, რაც აქ ხდებაო. ლიზამ კი გაიფიქრა, ავთანდილმა იცრუა, ასეთი ეშმაკის ფეხი ნამდვილად იმ ქალისააო.

მდუმარედ წამოდგა. უსიტყვოდ მორჩია მათი ურთიერთობა. წერტილი დაესვა იმას, ახლა ლიზასთვის ისედაც ორპირ ქარში სიმყუდროვის წადილს რომ ჰგავდა.

თუ ადამიანი მოინდომებს, ყველაფრის შეცვლა მოხერხდება, მაგრამ წარსულს რას უზამ. ის შეიძლება მიივიწყო, აღარ იფიქრო მასზე, გააყუჩიო მტკივანი კბილივით მანამ, ვიდრე როდისღაც

ისევ შეგახსენებდეს თავს, გაიძულებდეს უკან მიხედვას, ისევ დაგაყენებდეს გამოტანჯული რეალობის წინაშე.

ლიზას წარსულის სასტიკი ლანდი ქუჩაში წამოენია გაზაფხულის მზით გამთბარ დღეს. ახალგაფოთლილ ჭადრების მნიშვნელობა სიხასხასის ქვეშ მიმავალს გვერდით ჩაუქროლა იმ ჯოჯო ქალმა, ისე ახლოს, ლამის მხრით წამოედო. აჩქარებით მიმავალი ოდნავ დაწინაურდა და მაგნიტივით მიიტაცა ლიზას ყურადღება. მოულოდნელი თავზარი აღმოჩნდა მისი უეცარი ხილვა, რასაც არ გარიდებია, პირიქით, აუჩქარა ნაბიჯს, უკან აედევნა.

ქალი ენერგიულად მიქროდა, სწრაფ-სწრაფად დგამდა მოკლე ნაბიჯებს. კოტიტა ფეხებით მსუბუქად მიჰქონდა მსუქანი სხეული, ზედ დიდი, გაფუებულობმიანი თავი რომ ედგა. თხელი, მონაცრისფრო, გრძელი პიჯაკი ეცვა, ყელზე სიფრიფანა, მწვანე კაშნე მოეცვია, ერთი ბოლოთი მხარზე გადადებული, აშკარად ჩაცმულობის ტონთა გასაცოცხლებლად. გამომწვევად ეჩვენა ლიზას მისი ფიზიონომია, ყოველი მოძრაობა – ნიშნისმოგებად. მას ცალ ხელში მოკლეყურიანი ჩანთა ეჭირა, მეორეს კი ქანქარასავით აქნევდა წინ და უკან, გეგონებოდა, ტემპის ასაღებად. მოხერხებულად იკვლევდა გზას გამვლელ-გამომვლელთა შორის. ჩაუარა ტროტუარის კიდეზე ალაგ-ალაგ მდგარ ბრინჯაოს უგემოვნოდ შექმნილ ჯუჯა ფიგურებს – არლეკინებს თუ სხვადასხვა თეატრალურ გმირებს რომ განასახიერებდნენ. ჩაათავა მაღაზიათა ვიტრინები, საითაც არც ერთხელ არ გაუხედავს. მერე – დამშრალი შადრევანი, გიმნაზიისკენ ამავალი ფართო კიბე, გზადაგზა აჭრელებული ბილბორდები, ძველი წიგნების გამყიდველთა გადაძეძგილი სტენდები და ბოლოს მეტრის გადაფენების შემინულ ღია კარში შეაბიჯა.

უნებლივ მდევრად გადაქცეული ლიზაც თან შეჰქვა. დაბლა ერთად ჩავიდნენ მოგუგუნე ესკალატორით. აჲა,

ბაქანიც, სადაც, ბოლოს და ბოლოს, გაჩერდა კოტიტა ფეხები. მდევარიც შედგა, გაშეშდა ერთ ალაგას. კიდევ მეტი გაფაციცებით დაუწყო ცქერა. ბაქანზე ხალხი ცოტა იყო, სიხალვათე ხელს უწყობდა, ქალი ვერ დაეკარგებოდა თვალთახედვიდან. მაინც როგორ აეწყო ყველაფერი! სწორედ იმ ადგილას მოხვდნენ, სადაც წინასწარ დაუგეგმავი შურისძიება შეიძლებოდა აღსრულებულიყო. მატარებელი მალე მოვიდოდა. ერთი პატარა ბიძგი და ჯოჯო სხეული ლიანდაგებზე აღმოჩნდებოდა. აი, ასეთი კოშმარი მოაფიქრდა. სატანური ძალა მართავდა, მტკიცე, ისეთი დემონური, ერთადერთ სურვილს ისრებივით რომ აგზავნინებდა მსხვერპლის მიმართულებით, რომელიც მოთმინებით იცდიდა ბაქანზე, სადაც უკვე მოაღწია ლუსკუმი ღიობიდან მოდენილმა გრილმა ნიავმა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მატარებელი მოდიოდა. გამოჩნდებოდა წამი-წამში.

საბოლოო გაავებით გაიშუილა დაუკებელი სურვილის უხილავმა მათრახმა, მოკივლებული შემადგენლობის გიურ ხმას შეერია, ავი მოლოდინის ძრწოლით აავსო ბაქნის ფარლალალა სივრცე და ვიდრე ჩამშვიდდებოდა, ვიდრე წერტილი დაესმებოდა ყოველგვარი ეჭვისგან თავისუფალ, თითქმის სასურველ შედეგთან გაიგივებულ მოლოდინს, ლიზამ დაინახა, ქალის მასიური სხეული როგორ წამოპირქვავდა, გადაეშვა ლიანდაგისკენ და ადგილს, სადაც აფრიალებულ მწვანე კაშნეს მოჰკრა თვალი, მოზრიალე მძიმე შემადგენლობამ გადაუარა. ასრულდა... ასე სწრაფად, თითქმის თვალის დახამ-ხამებაში.

მაშინვე გონს მოეგო ლიზა. შებრუნდა, სწრაფად გადაჭრა ფოიე, მეორე მხარეს გადავიდა, ხალხს შეერია და უკან მიმავალ მატარებელს გაჰყვა. ცარიელი სკამი მოძებნა, მოწყვეტით დაჯდა. მოიბუზა, შეცივდასავით. და-

ხუჭა თვალები და გაურკვევლობის ქაოსში ჩაფლული გაირინდა. ყურებში საკუთარი ხმა ჩასძახოდა, ერთდროულად გაოცებულიც და დამმუნათებელიც: სწორედ ეს გინდოდა! ეს! სიმართლეს სად გაექცევი!

ზუსტად ვერ გაეაზრებინა მომხდარი. ნუთუ ქალმა თავად ჩაიდინა ასეთი რამ, თუ ვინმემ მართლა უბიძგა და წინასწორობა დააკარგვინა? თავი უბრუოდა. საფეთქლებში გამალებულ ბაგუნს შეიგრძნობდა. დახუჭულ თვალებში ლამის დამაბრმავებელი ნაკადი ედგა. მართლა არ იცოდა, უხაროდა თუ სწყინდა მომხდარი. ჯოჯოხეთი ტრიალებდა მის თავს.

სხვა დროსაც ყოფილა მსგავს მდგომარეობაში. მაშინ, ტაძარში, კვეთებულის ლოცვაზე მისულმა, დაიჯერა, რომ ღმერთი გაუწყრა. ყველაფერი მოხდა ხანგრძლივი ცერემონიის შემდეგ, როცა მღვდელმა კათედრიდან ამბიონისკენ გადაინაცვლა და ხალხიც მას მიჰყვა. ნაკადმა ლიზა წინ მოიქცია, ნაფოტივით წაიღო პატარა, ცალფეხა მაგიდაზე შემოდგმულ, ოქროსფრად მბზინავ წყლიანი ჯამისკენ, რომლისკენაც, რაღაც მაგნიტური ძალის ზემოქმედებით, ყველას თვალწინ, ლიზამ უნებურად გაინვდინა ხელი და შიგ საჩვენებელი თითო ჩაჰყო.

ჰოდა, დაიწყო, რაც დაიწყო. იხუჭულეს ირგვლივ მდგომებმა. აჭარხლებულმა მღვდელმა ხმამაღლა გამოაცხადა, წყალი შერყვნეს, წყლით კურთხევა არ შედგებაო.

ლიზას თვალთ უბნელდებოდა. ძლივსღა ხედავდა, უცნობი დედაკაცები ცხვირწინ ხელებს რომ უტრიალებდნენ, მზად იყვნენ, ცოცხლად შეეჭამათ. წყვლისმაგვარ, საყვედურით სავსე სიტყვებს წარმოთქვამდნენ ბოლმის ამოსანთხევად, რომლის ზუსტი შინაარსიც გოგოს არ ესმოდა. იდგა გაოგნებული, მორჩილად იღებდა ყოველ რისხვას. მხოლოდ იმაზედა ფიქრობდა, რანაირად დაემართა ასეთი რამ. ბოლოს ძალა მოიკიბა, ხმა-

მაღლა ამოიძახა გამწარებით:

– აპა, აქ ვარ, ჩამქოლეთ!

ნათქვამმა მყისვე გამოაფხიზლა გაშმაგებული მღვდელი, აქამდე მზერით რომ ანადგურებდა ცოდვილ გოგოს. მან დაიცხრო თვალთა კვესება, მარჯვენა ხელი ზემოთ აღმართა ხალხის დასაშოშმინებლად.

– დაწყნარდით! – დაიყვირა ხმამაღლა, – დაწყნარდით! – და მინისტრანტ ყმანვილს ჯამში წყლის გამოცვლა უბრადანა.

ის, რაც დაემართა, ლიზასთვის სიცცვილზე გაცილებით უარესი იყო. მიხვდა, ლვთის მგმობელად მოინათლა. ლამის დაიჯერა, რომ ეს სიმართლეს ჰგავდა. თავიც რომ მოეკლა, რაღას იღონებდა. მზად იყო ყოველგვარი სასჯელისთვის, რაც მერე და მერე, თანდათან, დროთა განმავლობაში მოვიდა თვითგვემის, გაუყუჩებელი სინაულისა თუ შინაგანი სიმშვიდის დაკარგვის სახით.

კარგა დიდხანს გაჰყვა მტანჯველი განცდა. თითქოს მაშინ დიდ კატასტროფაში მოჰყვა და არა მხოლოდ უსიამოვნო გაუგებრობაში. რა გადაარჩენდა, რა იხსნიდა გაუსაძლისი მდგომარეობიდან, თუ არა სასწაული – კეთილძალთა ერთობა, ზოგჯერ რომ მოდის ადამიანის საშველად. სამუდამოდ ირწმუნა, ცოდვა სულ ერთ ნაბიჯზე ჩასაფრებული, გაფაციცებით ელის, როდის მოგიდუნდება ყურადღება, რათა დაგიპყროს, გატრიალოს თავის ნებაზე, ჩაგადენინოს რთულად გამოსასწორებელი, რისი მძევალიც მთელი სიცოცხლე იქნები და რასაც სპეციალისტები ჰორმონთა ცელქობით ხსნიან.

ლიზამ, კვლავ და კვლავ, თავიდან ბოლომდე გაისიგრძეგანა ტრაგედია ადამიანური ყოფის სისუსტეებისა, მუდმივ მონანიებას რომ მოითხოვს.

მწარე მოგონებამ მოქმედებისკენ უბიძგა. გადავიდა ვაგონიდან, ისევ მეორე მხარეს მიაშურა. ისევ უკან გაჰყვა

შემადგენლობას.

დაბრუნდა ზუსტად იმგვარად, როგორც მკვლელი ბრუნდება დანაშაულის ადგილას. აი, ის ბაქანი, სადაც სრულებით არ იგრძნობოდა უბედური შემთხვევის კვალი, ჩეცულებრივ მიმდინარეობდა მგზავრთა გადაადგილება. მოდიოდნენ და მიდიოდნენ, ყველა თავის გზას ადგა.

აგრე, მორიგე პოლიციელი, თითქმის ზეზეურად რომ სძინავს. იქნებ მას ჰყითხოს? თუმც როგორ, რა ფორმით? მაინც მიუახლოვდა, შეათვალიერა მისი გაფიქვინებული სახე, დაღლილობა თუ გულგრილობა რომ მოსახლეობოდა. მაშინვე გადაიფიქრა, დაეკარგა მასთან დალაპარაკების სურვილი. მგზავრებისგან კი რას შეიტყობდა. ვინმეს ეგებ კიდეც მოეკრა ყური ამ ამბისთვის, მაგრამ უკვე გამზადებულიყვნენ მოახლოებულ მატარებელში შესაცვენად. როცა ხალხი გაიკრიფა, მარტო დარჩა ბაქანზე. დაინახა, გვირაბის დასაწყისთან მდგარი სამორიგეო ჯიხურის სიახლოვეს უნიფორმიანი მეტროს მუშაკი ქალი ტრიალებდა. ნელა მიუახლოვდა, გაუბედავად შეეკითხა:

— დღეს აქ ვიღაც ჩავარდა ლიანდაგებში?

მეტროს მუშაკმა წარბები შეკრა გაოცების ნიშნად. თავი გაიქნია, არ მესმის რას მეუბნებიო.

— მართალია თუ არა? ჩავარდა?

იმან, რადგან, ეტყობოდა, მგზავრი არასერიოზულ, სეირის მოყვარულ პირად მიიჩნია (ასეთები კი სწრაფად უნდა მოიშორო), სხვათა შორის მიუგო, არაფერი გამიგიაო. მიბრუნდა, აჩქარებით წავიდა სამორიგეო ჯიხურისკენ.

ეს წამდვილი პასუხი იყო. იმდენად სარწმუნო, ლიზა უკეთესს ვერც წარმოიდგენდა.

შემაწუხებელი სიმშვიდე იგრძნო, არაბუნებრივი, თითქოს ხელოვნურად შექმნილი. კედელზე მიდგმულ მარმა-

რილოს გრძელ სკამზე დაეშვა, აზრზე მოსვლას შეეცადა. არაფერი მომხდარა? სრულიად არაფერი? აბა, რა იყო ის, რაც ცოტა ხნის წინათ საკუთარი თვალით იხილა? ნუთუ მხოლოდ მისი ექსტრასენსობის კურსებზე სწავლისას ათვისებული ვიზუალიზაციის კარგად ნავარჯიშები უნარი, ფუჭი გასროლა რომ მოახდინა, შესთავაზა მირაჟი – წარმოსახვის მღვრიე, უკეთურ ვნებათა ბურუსიდან შექმნილი, ხშირად, უკონტროლოდ დარჩენილი გრძნობებისა თუ სურვილების მოჩვენებით ხორცებსხმას რომ ემსახურება. გაითამაშა რეალობის ფარსი (ამჯერად კარგი, საუკეთესოზე საუკეთესო გაეგიოთ) ხედვის სივრცის ასავსებად აღქმის თვალსაწიერზე, დასტურად იმისა, სისასტიკის ტყვეობიდან თუ ვერ დაიხსნი თავს, დამთავრებულია ყველაფერი და რაღა აზრი აქვს, ცხოვრების ხმაურიანი მიეთმოეთიდან შენთვის დაიბადება თუ არა ის ულამაზესი სიტყვა, ყველა სიტყვაზე აღმატებული, ყოველივეს გამსპეციალისტი, რომლისკენ სწრაფვაც გვაადამიანურებს. ის ერთადერთი, შეუდარებელი, რომელიც ასე უღერს – AMOR (სიყვარული).

მის წარმოთქმაში ხომ თავად უფალი მონაწილეობს.

ლიზამ დაუჯერებელი რამ იგრძნო, — უყვარდა ის ჯოჯო ქალი, უყვარდა გამნარებით, ზიზღამდე მისული მადლიერებით. უხარიდა, რომ ცოცხალი იყო, უვნებელი და ლიზას შემდგომი ცხოვრების გაგრძელებაში ეხმარებოდა.

...AMOR...

ესპანურის სწავლას რომ შეუდგა, ამ არსებითმა სახელმა და, თუ გნებავთ, ზმნამ ლიზაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბგერწერულ-მუსიკალური უნიკალობით, აზრობრივ დატვირთვას კიდევ მეტად რომ უწყობდა ხელს, უფრო და უფრო აკეთილშობილებდა, თითქოს როზმარინის ბუჩქს ბეღურათა ჟღურტული შეესიაო.

ახლა სწორედ ეს სიტყვა მოსული-

ყო საშველად, დავანებულიყო მთელ  
მის შეჭირვებულ არსებაში, განგაშით  
მოცულ სიხარულთან ერთად, ამოევსო  
მისი გული, რომელიც მადლიერებით

ჩაფრენოდა, იხუტებდა გამორჩეულო-  
ბის ნიშნით აღბეჭდილს, როგორც ვერ-  
შელეულ განძს. მის იმედადღა იყო.



## კატო ჭავახიშვილი

### წასვლა

ერთხელ ადგება და წავა.

სანერი მაგიდის უჯრიდან გაურკვევლად ლამაზი გოგოს

ფოტოს ამოილებს,

მაღალ ფეხებზე კოტიტა თითებს გადაუსვამს,

მერე ხელებს უხერხულად შემოიწყობს ხერხემლის

რომელილაცა მალაზე,

რადგან არ ეცოდინება, ხელები სად წაილოს,

რადგან ხელები ზოგჯერ სრულიად გამოუსადეგარი

ნივთებია –

თვალებს გადამალავს და წავა.

შენ კი დარჩები და შეგეშინდება, რომ ამქეცინად

ყველაზე უშნო გოგო ხარ,

რომელიც მიატოვეს.

„შიში ოხერია“, – ვიტყვი მე და საკუთარ თავს დაგანახებ.

„შიში ოხერია“, – იტყვი შენ და არ შემომხედავ.

„შიში ოხერია“, – იტყვიან ისინი და გაგვეცლებიან.

ერთხელ ჩამოხვალ კედებიდან და მაღალსართულიან  
სახლზე შემომდგარს

შენი უპირობო სიმაღლე მოგეწონება,

სიმაღლე, რომელსაც საკუთარ თავს უმალავდი.

სიმაღლე, რომლის გამოც არ ჩანდი.

სიმაღლე, რომლის გამოც მიგატოვეს.

„შიში ოხერია“, – ვიტყვი მე და შეცდომას არ დავუშვებ.

„შიში ოხერია“, – იტყვი შენ და შეცდომას დაუშვებ.

„შიში ოხერია“, – იტყვიან ისინი და საპატარძლოდ

მოგრთავენ.

ერთხელ, ბევრი წლის შემდეგ,  
სახეზე ნაკლოვანებებს სქელი ტონალურით გადაიგლისავ,  
თეძოებს გადამალავ და სარკეს გაუღიმებ.  
მე კი გეტყვი, რომ შენი უპირობო შიში დაგამარცხებს,  
შიში, რომელსაც სარკეში ჩახედვისას ყოველთვის  
გაურბოდი.

„შიში ოხერია“, – ვიტყვი მე და გამეცინება.  
„შიში ოხერია“, – იტყვი შენ და თვალებს დაიტუშავ.  
„შიში ოხერია“, – იტყვიან ისინი და საგანგებოდ შეკერილ  
კაბას შეგიქებენ.

მე ვხედავ ჩემს ნაოჭებს.  
ისინი ლაპარაკობენ ჩემზე და ჩემს შეცდომებზე.  
მე ვხედავ ჩემს შეცდომებს,  
ისინი მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ თავიდან დავუშვა.  
მე ვხედავ ჩემ ზედმეტად დიდ თვალებს,  
ისინი აჩვენებენ სამყაროს უფრო განიერს, ვიდრე  
სინამდვილეშია.  
მე ვხედავ ჩემს მინდორშემოცლილ სხეულს და...

ნუ შეგეშინდება, თქვა – როგორი არასრულყოფილი ხარ,  
რომ გაქვს ცხვირი დიდი ან ყური თმიდან გამოწეული.  
რომ გაქვს მეჭეჭი რამდენიმე ანდა ვარსკვლავი  
მომწყდარი ლამით.

ნუ შეგეშინდება, თქვა, რომ შეიცვალე.  
ჯერ შეცდომებია დასაშვები,  
როგორც უპირობო აუცილებლობა.  
ჯერ დაბრუნებებია აუცილებელი,  
როგორც წასვლის წინაპირობა.  
ჯერ ნაკლოვანებებია აუცილებელი,  
როგორც სიცოცხლე, რომელიც არასდროსაა სრული.  
ჯერ არ არსებობს სრულყოფილება, როგორც აქსიომა,  
როგორც დრო, სადაც დავბრუნდებით  
და რომ საკუთარ თავთან ვერც ვბრუნდებით,  
უფრო ისეთთან, როგორიც გვახსოვს.

„შიში ოხერია“, – ვიტყვი მე და ცხოვრებას დაგანახებ.  
„შიში ოხერია“, – იტყვი შენ და არ გაიქცევი.  
„შიში ოხერია“, – იტყვიან ისინი და ფეხსაცმელს გაჩუქებენ.

მე ვწერ ჩემ სიმახინჯეზე და სიმახინჯეზე ვწერ და ვწერ,  
რომ უშნო გოგოები ყველაზე ლამაზები არიან და რომ არ  
არსებობს სიყვარული, რომელიც სახის კანის ფერის გამო  
იწყება და რომ არ არსებობენ შეცდომები, უპირობო შეც-

დომები, რომლებიც ჩვენც და ბუნებამაც არ უნდა დავუშვათ  
და რომ ბუნებაში არაფერი არ იკარგება, არც შეცდომით და  
არც უშეცდომოდ და რომ სილამაზე პირობითია და ეს პი-  
რობითობა ისეთი საინტერესოა, საკუთარი არასრულყოფილი  
თავი უნდა გიყვარდეს და როცა სარკეში საკუთარი ანარეკლი  
მოგატყუებთ,  
არ შეგეშინდეთ.

„შიში ოხერია“, – ვთქვი მე და თმა დავიხვიე.

## დაპირება

უსირცხვილოდ უნდა დავბერდე.  
დაცენილი ტანი ჭიაყელასავით გავწელო და ნაოჭებში  
ჩვეულებრივი დღეები  
ჩავიწვინო.  
როგორც ლოგინში იწვენენ ხოლმე შიშველ სხეულებს,  
როგორც ლოგინში იციან ხოლმე ერთმანეთის კანზე  
მონარჩენი დედამინის ლოკვა,  
როგორც ლოგინში იციან ხოლმე გარდაუვალი სიკვდილი  
და გარდამავალი მონატრება.

ყველა ტკივილის გამო უნდა დავბერდე.  
ბებერი გულით სიცოცხლე უნდა მოვიხადო და დღეების  
ზამთარში  
ძარღვებდაბერილი ჩირებით – ჩემი თითებით  
კომშის კომპოტი მოვადულო.  
მერე შეგვიძლია ძვლები გავცვალოთ.  
ცხოვრებისგულსართიან კარამელებზე ნარდი ვითამაშოთ  
ან შეგვიძლია დავწვეთ და ჭერში თვალები შევაწყოთ  
და ჩუმად, ძალიან ჩუმად დამისველდეს წელსქვევით კაბა,  
მოჩლაჩული კაბა,  
გაზაფხულებგამოვლილი კაბა –  
ვითომ წყალი გადამესხა,  
ვითომ მდინარე გადმოგორდა ჩემი ტანიდან.

მოსალოდნელად უნდა დავბერდე.  
წვეტიანი იდაყვებიდან ბრონეულის ყვავილები ამოვზარდო  
და თვალებდახურული ორმოებით სიყვარული მოვიგონო.  
როგორც ბებრებმა იციან ხოლმე გაზაფხულის ლოდინი  
მზისკენ ნახევრად ჩაძინებულსახეებმიშვერილებმა,  
როგორც ბებრებმა იციან ხოლმე თვალების ნარსულში  
ნასვლა  
და ამ ნარსულში თვლემა და თვლემა და ამ თვლემაში  
სერიალების გასწვრივ გასული დღეებიდან გადმოსვლა

და ამ გადმოსვლაში უხერხული ფშვინვა და ფიქრი,  
რომ ცხოვრება იწყება მათი გამომშრალი სხეულებიდან და  
მათი სამომავლო წარსულებიდან და  
მათი უხერხული სიბერიდან იწყება და  
მათი მოლოდინიდან და ნახევრად გათენებული  
ლამეებიდან და

შენ კი უნდა შემპირდე, რომ უსირცხვილო იქნება ამ  
ცხოვრების დაწყება  
და უსირცხვილო იქნება სიბერეც, რომელიც თავს  
აუცილებლად უნდა მოვუგონო  
უხერხული ახალგაზრდობის გადასარჩენად.

## პრეზენტაცია

და რადგან ახლა ყველა გზა უასაკოა  
და რადგან ახლა ყველა ღმერთი მკვდარია  
და რადგან ახლა ყველა სახლი დანგრეულია  
და ყველა კედელი დანგრეულია  
და ყველა ფანჯარა ამოქოლილია  
და რადგან ახლა შემიძლია მიყვარდე  
და რადგან ახლა შემიძლია არც მიყვარდე  
ან არაფერი შემიძლია  
ან შემიძლია არაფერი  
ან ქათმის ფეხებზე შედგომა შემიძლია  
ან ქათამივით კაკანი როცა კვერცხს დადებს  
და რადგან ახლა შეცდომებიც შემიძლია  
და შემიძლია პატიებაც თუნდაც უაზრო  
და რადგან ახლა სულ არაფრის არ მრცხვენია  
და რადგან ახლა არც ღალატის არ მრცხვენია  
და რადგან ახლა შემიძლია გული გავიხადო  
და რადგან ვიცი ადამიანი სუსტია  
და რადგან ვიცი შეცდომებიდან გაქცევა  
უნდა ადამიანს რადგან სუსტია  
რადგან უნდა რომ სადმე დასახლდეს  
და რადგან სახლიდან შორს ვერ მიდიან  
რადგან პურის სუნი მასთან წოლას ჰგავს  
რადგან შვილები ჩვენგან მიდიან  
რადგან „შვილები“ მათგან მივდივართ:

ხომ არ გაცივდი. თითები ხომ არ მოგეყინა, ხმა  
ხომ არ ჩაგინებდა. ზამთარი ხომ არ მოგერია. შენ  
აქ არა ხარ. სხვა ზამთარია. სხვა. ხელს  
ვერ აუქნევ. გულს ვერ აუხვალ. გზას  
არ გიტოვებს გადარჩენის – დღე.

ხომ არ გაცივდი. თითები ხომ არ მოგეყინა. შენ.

და მოვდიოდე. მოვდიოდე და. ვერ ვუსწორებდე  
ვერ ვაწვდებდე თვალს ამ ჩემს პატარა და წყალნაკლულ ჭას.  
და ვბრუნდებოდე გასაყართან. შენ  
ტრიალდებოდე. ბრუნდებოდე. ზურგს  
უკან მთელი სიცოცხლეა. ხვალ  
უნდა გათენდეს. ამოივსოს ცა.

და მაშინ როცა ხმელეთიდან მოვდივარ მე  
ქათმის ფეხებზე შემომდგარი მე  
ქათმის ფეხებით რეზინობანას მოთამაშე მე  
მე რომელმაც მოვიგონე ადამიანი და ადამიანში სევდა  
და მე რომელმაც მოვიგონე მოკლე კაბების დაგრძელება  
ფერადი საცვლების გამოჩენა და  
შემთხვევით გაჩენილი ბავშვების ცხოვრება და  
ადამიანების დატოლება და  
ვალდებულებების გაჩენა და  
სიყვარულის გაზედმეტება და სიყვარულისგან დახრჩობა და  
საკუთარი თავის მობეზრება და  
სხვების მობეზრება და სიყვარულში სიკვდილი  
და საკუთარ თავშიც სიკვდილი

და მაშინ როცა მოვდიოდე მე  
საკუთართავდაკარგული მე  
მე რომელმაც მოვიწყინე ადამიანი და ადამიანში ტკივილი  
და ტკივილში თავისუფლება  
და თავისუფლებაში არტახები  
და არტახებში ძილი  
და ძილში გამოღვიძება,

– გეუბნებოდე:  
ახლა ყველა გზა უასაკოა  
ახლა ყველა სახლი დანგრეულია  
და ყველა კედელი დანგრეულია და...  
ხომ არ გაცივდი შენ.

## თენგიზ ბეჟაშვილი

●  
ნატკენ გულზე ფურისულა აყვავდა,  
ფურისულა,  
გაზაფხულის მცენარე!..  
ახლა სხვა მყავს,  
მაშინ ეს სხვა არ მყავდა!..  
შენც სხვა ნახე,  
სხვასთან იწელკენარე...  
ის ედემი ხსოვნის ედემს ჩაბარდა!..  
ვერ შუშდება გათოშილი კესანე...  
შენს ბილიკზე სარეველა აყვავდა,  
სარეველა,  
უსარგებლო მცენარე!..

## სიყვარული

გამოუცვალა  
შინაარსი, სახელები, სათაურები...  
მთლიან სამყაროს!..  
გადააფასა  
ყველაფერი მნიშვნელოვანი...  
წლების მანძილზე  
უმტკიცესად დამკვიდრებული...  
და ზომიერი, პუნქტუალური  
ოჯახის კაცი  
გააგდო სუსტში  
ყვავილების მოსაგროვებლად!..

## დაბადება

საიდან მომაქვს,  
ან როდიდან და ან სად მიმაქვს  
ეს მძიმე და უცნობი ტვირთი?!.  
კუზივით

რომ დამზრდია მხრებზე  
და დღეს უეცრად,  
ასე მძლავრად რომ შემანჯლრია?!..  
...შევბარბაცდი გაჩვეულ გზაზე!..  
გავხედე ნისლში აკრძალულ ბილიკს,  
უიმედოს და უსასრულოს!..  
...და დამეკიდა  
მეც ცრემლი – შვების,  
აღმოჩენილი უხსოვარ დროში!..



ნაქარევ ქარებს  
აქარებდნენ თეთრი ქორები  
და ახსენებდნენ  
ქანცგანყვეტილ ქარებს ქარობას!..  
ჩვენ ხომ ვიყავით  
სიგიჟესთან თანასწორები?!..  
ის ტკბილი უამი ხომ მივიღეთ  
უფლის წყალობად?!..  
ნაქორალ ქორებს  
აქორებდნენ თეთრი ქარები  
და ახსენებდნენ  
ქანცგანყვეტილ ქორებს ქორობას!..  
...ვეღარ გხედავენ  
დღეს დათხრილი ჩემი თვალები  
და არც მშორდება  
იმ ქარ-ქორთა უთავბოლობა!..

## შალს, რომელმაც ცა გამოიცვალა

როცა თეთრ გზაზე  
დაგიფრთხება თეთრი მარხილი  
და გიუ თეთრ ცხენებს  
აებნევათ მარტის გზა-კვალი,  
მე იქ დაგიცდი,  
სადაც გრიგალს დარჩა ნაპირი  
და გრიგალამდე  
სადაც გვენთო ცისკრის ვარსკვლავი...  
როცა სულ სხვა გზით  
დაგიფრთხება გიუ მარხილი  
და ცირკის ცხენებს  
აებნევათ სხვა ცის გზა-კვალი,  
მე იქ ვიქნები,  
სადაც დაგვრჩა ტრფობის აჩრდილი  
...და ყელყელაობს  
სიყვარული ალალ-მართალი!..



სიყვარულს იაფად ვყიდი,  
ხომ არ შეიძენდით, მის?..  
მე მას იმედებით ვზრდიდი,  
ის მე უიმედოდ მსჯის...  
სიყვარულს უფასოდ გითმობთ,  
ხომ არ შეიკედლებთ, მის?..  
მისთვის საჭიროა სითბო,  
მე სენად სიცივე მჭირს...



ქალი შეიმოსა ზღაპრით...  
უარყო ხუნდები ქალის!..  
ფრთებზე შემოუჯდა არწივს  
და შეხსნა ლაჟვარდის კარი!..  
გაუწყრა ცხოვრებას – ვამპირს,  
სისხლის მწოვს და სულის მძრწოლავს!..  
მოსტაცა საკაბე აპრილს  
და გაჰყვა ოცნებას ცოლად!..



მაინც შეცდომა დაერქმევა ხვალე  
ფიქრს,  
დღეს რომ  
სანთლის ფრთად თრთის...  
გამიღე ფართოდ  
უსიერი ლამე,  
ჯანდაბას ბრჭყვიალი დღის!..  
მაინც სინანული  
დამრჩება მწარე  
მაგ კდემის, მაგ ცხელი მზის!..  
უნიკ ზეცას  
ჩემი ხედვის არე,  
ჯანდაბას, მე ვეგდო ძირს!..  
მაინც განბილდება  
ძალიან მაღე  
ეს სწრაფვაც – სიწრფელე ცვრის...  
საბოლოო ტყვიაც მესროლე, ბარემ,  
ჯანდაბას, მჭირდეს, რაც მჭირს!..



ტრფობის მადლი –  
რომ ვერ ვზიდეთ –  
ცხრა მთას იქით წასულა!..  
ჩამომჯდარა კიბის კიდეს  
ტარტაროზი ცხრასულა!..

## შორენა ლებანიძე

### „განანა ანუა, ტყვეობის ორმოცდათორმეტი ღლე“

(ვრაგენერალი ღოპუშენტური რომანიან)

#### დიოდოტი

— წერაქვი არ დაგვჭირდება. ნიჩბითაც იოლას გავალთ, — უთხრა ალექსანდრე რუსს დაურ ზუხბამ, მერე წერაქვი გვერდზე გადადო, სახელობი იდაყვებამდე აიკაპინა და აღმაშენებლის ჭედური გამოსახულებით შემკული კედლის გასწვრივ, დასავლეთ ფასადის კუთხემდე, ერთმანეთის მიყოლებით ამოაბრუნა შავი, ფხვიერი ბელტები.

ნიადაგი რბილი იყო, დამყოლი. ნიჩბის პირი მსუბუქად მიცურავდა მიწის სიღრმეში. სწრაფად, გულმოდგინედ მუშაობდნენ. ვხედავთ, როგორ დაალო პირი ვინწრო ნაპრალმა. პატარ-პატარა ბორცვებად როგორ ალიმართა ახალგაჭრილი სამარის ფსკერიდან ამოსროლილი გორახები. დაურ ზუხბამ საფლავის კიდეს ღონიერი მტევნები ფრთხილად დააყრდნო, იდაყვებში მკლავებგამართულმა მთელი ტანით ამოინია, მარჯვედ ამოტა, ტანსაცმელი დაიფერთხა, დროაო, გვითხრა. ტაძარში შევბრუნდით.

ბნელოდა. მგალობლების აივანი მდუმარედ გადმოჰყურებდა დაცარიელებულ საკურთხეველს. აღსავლის კართან და-



თებული სანთლის ალი ჩუმი ლიცლიცით ეფინებოდა სუდარაგადაფარებული მიცვალებულის უძრავ, ცვილისფერ სახეს. მივუახლოვდით. პლედში გავახვიერთ. სამჯერ შემოვატარეთ დარბაზის გარშემო, დაცხრილული კედლების, მინებჩამსხვრეული კიოტების, ძირს გადმომხმბილი და შერყვნილი წმინდა ლუსკუმას გასწვრივ.

მერე ეზოში გავასვენეთ, ეკლესიას სამჯერ შემოვუარეთ გარს, მიწას მივაპარეთ.

ბინდდებოდა. ახალამოვსებული სამარის ბორცვთან ჩავიმუხლეთ. მშვიდი საღამო იყო. დაურ ზუსბა მდუმარედ ადევნებდა თვალს შორიახლოს მოფუსფუსე ალექსანდრე რუსს, რომელსაც ჩაქუჩი, ლურსმნები, ორი პატარა ფიცარი მოემარჯვებინა და საფლავის ჯვრის შეჭდვას ცდილობდა.

— ჰო, მართლა, — წამოიწყო უეცრად, — ხომ არ გახსოვს, ვინ გაიყვანა მოძღვარი ტაძრიდან? რომელი შენაერთის მებრძოლი იყო? როგორ გამოიყურებოდა?

უარის ნიშნად თავი გადავაქნიე:

— ყველანი ტყუპისცალებივით ჰგავ-დნენ ერთმანეთს.

სახე მოეღრუბლა. ჩექმის წვერით მიწას დაუწყო ჩიჩქნა.

— არა უშავს, — თქვა მტკიცედ, — ჰი-რობას გაძლევ, თვითონ მოვძებნი მამა ანდრიას მკვლელს და თვითონვე გავუსწორდები.

შეშფოთებული მივაჩერდი. ერთხანს ხმის ამოღება ვერ მოვახერხე, მერე ხელი გავასავსავე, ავფორიაქდი, ვცადე, რაღაც ამეხსნა:

— აბა, რას ამბობ. შურისძიება მოძღვრის სულს შვებას კი არ მოუტანს, პირიქით, ავნებს, დაამძიმებს. განსჯის უფლება მხოლოდ ღმერთს აქვს. უფალი აწესებს ღვთიურ სამართალს. უფალი განიკითხავს. ბოროტებისთვის ბოროტებითვე მიზღვას მამა ანდრიაც აგიკრძალავდა.

მისმენდა. ფიქრობდა. ვნანობო, თქვა გაურკვევლად.

მიგხვდი, რასაც გულისხმობდა.

ცხრამეტი წლის ახალათონელი ბიჭი იყო. ომის დაწყებისთანავე გამოცხადდა გუდაუთის შტაბში იარაღის მისაღებად, რომ გასაჭირში ჩავარდნილი სამშობლო ბედის ანაბარა არ მიეტოვებინა, საკუთარი მიწა-წყალი მუხანათურად შემოჭრილი გადამთიელი დამპყრობ-

ლებისგან დაეცვა, მტრის ურდო გაენადგურებინა. მაშინ, სამხედრო მეთაურების მოწოდებებით გულანთებულს, ეგონა, იცოდა, ვის ერქვა მტერი. ახლა აღარ იცოდა. გაურკვევლობა სტანჯავდა. ეჭვები ღრღნიდა. სამართლიანობის გრძნობაზე დამყარებული ბრძოლის პათოსი, თავდაჯერება ღალატობდა. აკვიატებული კითხვა, ქვეყნის ხსნის ლოზუნგით შენილბული ფსევდოპატ-რიოტული იდეოლოგის ანკესს ხომ არ წამოვეგო, მოსვენებას არ აძლევდა.

მახსოვს, შეძრწუნებული დაჰყურებდა ავაზაკივით უმოწყალოდ დახვრეტილი მოძღვრის გასისხლიანებულ ცხედარს. ქუდი მოეხადა. თავი დაეხარა. თითის წვერები ნათლობის ჯვრისკენ წაეღო. ივლისს მონათლულიყო დიოდოტის სახელით გუდაუთაში. 4-ში კომანზე შეტევის ბრძანება მიეღო. 5-ში გუმისთა ძალადობის მოსურნე მძარცველების, მარბიელი მოლაშქრების სისხლის დასაღვრელად გადმოელახა. 6-მდე ყველაფერი კარგად იყო. ნებისმიერ კითხვაზე პასუხი მზად ჰქონდა. არაფერზე ფიქრობდა. საკუთარი არჩევანი, ომის მიზანი არ ეეჭვებოდა. მაგრამ როგორც კი 6 ივლისს თანამებრძოლების ხელით დარბეული ტაძრის აღსავლის კართან თანამებრძოლების ხელითვე მოკლული მამა ანდრიას ცხედრის პირისპირ აღმოჩნდა, რაღაც ერთბაშად დაირღვა, შეიცვალა, წესრიგი ქაოსად ექცა, ლოგიკა — აბსურდად, საყრდენი გამოცალა, სამყარო ამოტრიალდა. რახდებოდა? რას ნიშნავდა ქვეყნის ხსნა? არა უცხოტომელების, არამედ ერთმორწმუნე მოძმების მიერ, არა უნებურად და გაუაზრებლად, არამედ შეგნებულად სასულიერო პირის მკვლელობას? ვის ერქვა მტერი? მამა ანდრიას? რომელი მიწაუნდა დაეცვა? რომელიც წინამძღვრის სისხლით შეიღება?

— გამორიცხულია, ვეღარ ვიბრძოლებ, — შფოთავდა, — რა მინდა აქ? რატომ ვარ აქ? ეს ხომ ომი კი არა, ძალმომრეობაა, კაცისკვლა...

თავზარდაცემული იყო, იმედგაცრუ-  
ებული, განწილებული.

იჯდა. დუმდა. უცებ თავი ასწია, ბინ-  
დში ჩაძირულ ეზოს, ტაძრის რუს კედ-  
ლებს, სარკმლის გარშემო ნაკვეთ ვაზის  
გრეხილებს, ქვის ყვავილწნულებს მო-  
ავლო მზერა. თითქოს რაღაცის წარ-  
მოდგენას ცდილობდა. მერე ხმადაბლა  
ჩაილაპარაკა:

— სანამ კეფაში ტყვიას დაახლიდ-  
ნენ, მუხლებზე დაჩოქილს, ლოცვისას,  
ჰქითხეს, თურმე: „აბა, მოძლვარო, რას  
გვეტყვი, ვისია ეს მიწა, აფხაზების თუ  
ქართველების?“ მან კი უპასუხა: „ეს  
ლმერთის მიწაა“.

წამოდგა. ალექსანდრე რუსს ჯვრის  
შეჭედვა უკვე დაესრულებინა. ღრმად  
დაარტეს საფლავის ბორცვზე. ძირი შე-  
მოუტკეპნეს.

— ნახვამდის, დაო მარია, — მითხრა  
დიოდოტმა, — შტაბში უნდა დავბრუნ-  
დეთ. ხვალ მოგაკითხავთ.



შტაბი. ჰმ! სოფელში თავმოყრილ  
აფხაზებს სამხედრო ბინა, არც მეტი,  
არც ნაკლები, ჩვენი სახლის პირველ  
სართულზე შედარებით დაუზიანებელ  
ოთახებში ჰქონდათ მოწყობილი. რა-  
ტომ? შენობის სიდიდეს, სილამაზეს,  
ადგილმდებარეობას თავი რომ დავანე-  
ბოთ, 5 ივლისის შტურმმა ქვა ქვაზე არ  
დატოვა და ძალიანაც რომ მოენდომე-  
ბინათ, ნაწილობრივ უვნებლად გადარ-  
ჩენილ სხვა სახლს ვერსად ნახავდნენ.

კომანი დანახშირებული ნანგრევების  
სასაფლაოდ იქცა, გაუკაცურებულ ადგი-  
ლად, ჩამკვდარ ნასოფლარად, სადაც სი-  
ცოცხლის მცირეოდენი ნიშანწყალი, არ-  
სებობის ნებისმიერი გამოვლინება გაქრა.  
ყველა კარ-მიდამო გაუდაბურდა. თით-  
ქმის ყველა მებრძოლი დაიღუპა. ზოგი —  
შეტევისას, პოზიციებზე. ზოგი — ტყვედ  
ჩავარდნის შემდეგ. ოცდათორმეტიდან  
ოცდასამი მებრძოლის დახვრეტილი,  
დამწვარი, დასახიჩრებული გვამისთვის

საერთო სამარე გათხარეს. ოცდასამი და-  
ხოცილი მიაპარეს მიწას (განსაკუთრებით  
ადამ გვიჩინი დაენანათ: მარჯვენა ფეხში  
დაჭრილი თავგანწირვით გვეწინააღმდე-  
გებოდა, საკუთარი შეუპოვრობითა და  
გმირობით გვაოცებდა, პატივს ვცემთო,  
ამბობდნენ აფხაზები). ცხრამ სამშვიდო-  
ბოზე გააღწია. ოცდათორმეტივეს ვი-  
ნაობა, ბედი და გზა-კვალი თავიდანვე  
დადგინდა. ყველასი, გარდა ერთისა. ის  
ერთი მამაჩემი, იური ანუა იყო.

სად წაიყვანეს? რა დამართეს? როგო-  
რი განაჩენი გამოუტანეს? — აი, მთელი  
დღის მანძილზე მიყუჩებული, ყოველწა-  
მიერ ორომტრიალსა და საზრუნავში ჩა-  
კარგული კითხვები, რომლებიც ახალჩათ-  
ვლემილს გიუჯივით წამომაგდებდა ხოლმე  
ფეხზე და ვინ მოთვლის, უკვე მერამდენე  
ღამეს თეთრად მათენებინებდა. ყელში  
მოწოლილ კივილს ძლივს ვუმკლავდებო-  
დი. მუჭებს ვიჭამდი. ვცდილობდი, დედა  
არ გამელვიძებინა. თუმცა, არ ვიცოდი,  
ეძინა კი?

გაიხსენე, გაიხსენე-მეთქი, ჩავჩიჩი-  
ნებდი საკუთარ თავს. უკან დაბრუნდი.  
ნებისმიერი წვრილმანი ალიდგინე. საბე-  
დისწერო წუთები გააცოცხლე, ტაძრის  
კარზე გამეტებით დაშენილი წიხლები-  
სა და მუშტების ხათქასუთქის ხმა რომ  
მოისმა, მამამ წინამძღვარს სწრაფად  
შეხედა, თანხმობის მიღების მერე შე-  
სასვლელისკენ გასწია, კარი გააღო.

დარბაზში არ შემოსულან. ზღურბლზე  
ტორტმანებდნენ. მგლის ხროვასავით  
გარს შემორტყყნენ მამას. ჩახმახშეყე-  
ნებული ავტომატების ტყე აღმართეს:

— მიდი, მიდი, ფეხი გადაადგი! სწრა-  
ფად-მეთქი!

თვალთ დამიბნელდა. ყველაფერი  
აირია. ყაყანი. ბლავილი. ვედრება. მუ-  
დარა. საკუთარი მუდარა:

— დალოცე, აკურთხე, მამა ანდრია!  
— უფალი შეგეწიოს!

გმადლობ, მოძღვარო! მოასწრო  
კურთხევა, პირჯვრის გადასახვა, სანამ  
ცალთვალა ახმახი იური ანუას კონდა-

ხის ცემით წინ გაიგდებდა. პო, სახიჩარი იყო. ერთ მხარეს ქუთუთოები შესწებებოდა...

გაიხსენე, გაიხსენე! ხელჩასაჭიდი მოძებნე, ფიქრით, გონებით მისდიე, მზერა გააყოლე მამას!

კარს იქით ბურუსი იწვა. ცა ლამის ფეხად ჩამოსულიყო. კოკისპირულად ასხამდა. წვიმაში ჩაიკარგნენ. იური ანუას კვალი გალავანთან შეწყდა.

საით წაიყვანეს: ინვალიდთა ყოფილი თავშესაფრისკენ, გუმისთის ხეობისკენ? რა მიზნით: ანგარიშის გასასწორებლად, საქმის გასარჩევად, გუდაუთის სამხედრო შტაბიდან ბრძანების მიღებამდე საიდუმლო საკანში გამოსამწყვდევად? იური ანუას მძევლად აყვანის განზრახვა ამოძრავებდათ თუ შურისძიების სურვილი?

იაზროვნე, ლოგიკურად იმსჯელე, დასკვნები გამოიტანე! თუ გინდა, ყველაზე სასურველი, მაგრამ ნაკლებსავარაუდო ვერსიის განხილვით დაიწყე. წარმოიდგინე, რომ მოხდა სასწაული და გაათავისუფლეს. ხომ შეიძლებოდა, მფარველი გამოსჩენდა? რატომაც არა. მაგრამ ცოლ-შვილს მიატო-

ვებდა? გამოხსნას, ხმის მოწვდენას არ შეეცდებოდა?

— გამაგებინე რამე, დიოდოტ...

დიოდოტი დუმდა. ბოლო დღეებში ხმას თითქმის არ იღებდა. ჩაფიქრებული ისრესდა შუბლს. იატაკს თვალს არ აშორებდა. იშვიათად მისწორებდა მზერას.

— აბა, რა გითხრა, დაო მარია...

რა უნდა ეთქვა? იური ანუას კვალს ვერც მიცვალებულებს შორის მიაგნო, ვერც საერთო საცხოვრებლის დილეგად ქცეულ ბნელ ჯურლმულებში, ვერც სარდაფ-ბუნკერებსა და გუმისთისპირა ტყე-ლრეებში, რომლებიც ფეხდაფეხ შემოევლო, საფუძვლიანად გაეჩხრიკა. ყველა მებრძოლი გამოეკითხა. მთელი სოფელი აეწრიალებინა. ვერაფერს გამხდარიყო. მოიერიშების ნაწილს კომანი უკვე დაეტოვებინა. დარჩენილებმა ან არაფერი იცოდნენ, ან სიმართლის გამხელისგან თავს შეგნებულად იკავებდნენ. რატომ? იქნებ, იმიტომ, რომ იური ანუას უგზო-უკვლოდ დაკარგვის განგებ მიჩქმალული ამბავი რაღაც დიდ საიდუმლოს იტევდა? იმიტომ, რომ ჯარისკაცებს სურდათ, მხოლოდ თანამებრძოლების საქციელზე ხელის დასაფა-



რებლად კი არა, საკუთარი ტყავის გა-  
დასარჩენადაც დაედოთ იური ანუას  
სახელისთვის ტაბუ?

საიდუმლოს ამოხსნა! – გამიელვა  
თავში უეცრად.

აი, ახალი მიზანი. აი, რისთვის უნდა  
ვიცოცხლო.



- დილა მშვიდობისა, დაო მარია!
- გამარჯობა, დიოდოტ!

ახალამოწვერილ მზეს მთის კალთე-  
ბიდან წამოკრეფილი ნისლი ბოლომდე  
არ გაეფანტა, დაურ ზუხბა კი უკვე თავს  
დაგვდგომოდა პატარა აპგით ხელში. და-  
ფოთლილი, ხაკისფერი სამხედრო შარ-  
ვალი და ლურჯზოლებიანი გიმნასტურა  
ეცვა. მაღალი იყო, წარმოსადეგი, ძავ-  
გვრემანი. ნათელი შუბლი, მკვირცხლი  
მზერა, სწორი, დახვეწილი ნაკვთები  
ჰქონდა. სახეზე წვერი წამოზრდოდა.  
გრუზა თმა აჩერვოდა. ქუდი მოეხადა.  
ქუდსა და იარაღს გარეთ ტოვებდა ხოლ-  
მე, შესასვლელთან.

– როგორ ხართ? ხომ ყველაფერი  
რიგზეა?

– კი, არა გვიშავს. რამ შეგანუხა,  
დიოდოტ?

– საგუშაგოზე წასვლამდე შემოგი-  
არეთ, საუზმე მოგიტანეთ, – აბგიდან  
ამოღებულ კონსერვის ქილას, პურის  
ნაჭრებს, რამდენიმე ვაშლს მაგიდაზე  
დებდა. თავის წილ თევზის კონსერვს.  
თავის ულუფა პურს. ჩვენს ეზოში ჩა-  
მოკრეფილ ხილს, – აი, მიირთვით.

- გმადლობ, დიოდოტ!

მაინც რა ოქროს გული ჰქონდა აფ-  
ხაზების თვალისჩინს, ცხრამეტი წლის  
ახალათონელ დაურ ზუხბას. დიდს და  
პატარას მასზე ამოსდიოდა მზე და მთვა-  
რე. გარეგნობის გამო ვარსკვლავბიჭუნას  
ეძახდნენ. ასაკის გამო უმცროს ძმასავით  
მფარველობდნენ. თვალში რომ ჩავარ-  
დნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ.

- არაფრის, დაო მარია... იცი?..

ვიცოდი, რომ ჯიბეში ხატები და

ჯვრები ჰქონდა გადანახული. აფხაზების  
შტაბ-ბინად ქცეულ ჩვენს ჭერჩამონგრე-  
ულ, კედლებგამომწვარ სახლში იატა-  
კიდან მალულად წამოკრეფილი ყველა  
ნივთი, რაც თავსხმა წვიმებს, ზაფხულის  
ხვატს, აქეთ-იქით უსაგნოდ მოყიალე ჯა-  
რისკაცების ჩექმებს გადაურჩა.

– მინდოდა, წიგნებიც გამომეყოლე-  
ბინა, მაგრამ...

თვალწინ წარმომიდგა ბათქაშის  
გროვაში ჩამარხული ბიბლიოთეკა. ირ-  
გვლივ ნაკუნებად მიმოფანტული ტო-  
მეულები. სქელი, უხეში ლანჩა, რომ-  
ლის ქვეშაც ძირს გადმომხმბილი ავე-  
ჯის ნამუსრევს ლანალუნი გაუდიოდა.  
მინები ჭახანით იფშვნებოდა. სიცოც-  
ხლით მფეთქავი უკანასკნელი უჯრე-  
დები სულს ღაფავდნენ. სტრიქონებს  
შორის ამოსაკითხი მისტიკური სიბრძნე  
უკვალოდ იკარგებოდა. თუკი რამ მთე-  
ლი იყო, პირწმინდად ნადგურდებოდა.

– ჯობს, ხატები და ჯვრები ტაძარში  
შეინახოთ. შინ დატოვებას აზრი არა აქვს.  
შინ.

ჩვენი „შინ“ ახლა ტაძარი იყო. „ჩვენ“  
ახლა მე და დედა ვიყავით. მას, რასაც  
ოდესლაც იური ანუას სახლი ერქვა, ძველ  
ბინადართაგან მხოლოდ ძალლი შემორ-  
ჩენოდა, ჰო, ათასი ნაიარევით დასერილი  
ცის ქვეშ, დანგრეულ პარმალთან მოდა-  
რაჯე კეთილი, ბომბორა ნაგაზი...

გახსოვს? – ვეკითხებოდი საკუთარ  
თავს. მწვანე ეზო. ვარდ-ყვავილებით ნა-  
ირფრად მოფარდაგული ბალჩა. მსხმოი-  
არე ხეხილი. ჰამაკი. მწიფე ნაყოფს და-  
სეული ფუტკრების ბზუილი. ფოთლებს  
შორის მოჭიატე ოქროსფერი ათინათები.  
და უცებ ცეცხლი, წვიმა, ნისლი. საკუ-  
თარი ხმა, რომელიც ყურს მჭრიდა: „არა-  
ბი, აპაჩი!“

– იქნებ, ძალლის შესახებ მიამბო  
რამე, დიოდოტ.

რა უნდა ეამბნა? ის, რომ დაურ  
ზუხბას საგუშაგოზე ყოფნისას უჩვეუ-  
ლოდ გაავებული ნაგაზი მდუღარეგა-  
დასხმულივით წამოიჭრა, ათვალწუნე-

ბულ ჯარისკაცს საკბენად გამოენთო, უკანა თათებზე ატოტილი ზურგში დაეძერა, ძირს დასცა, ჯერ მკლავზე წაეტანა, მერე წვივში სწვდა და ბასრი ეშვები ღრმად ჩაასო?

— წარმოუდგენელია, — გავოგნდი.

როგორ? ცელქი, მოსიყვარულე ნა-გაზი, დღემდე მხოლოდ პეპლებს, ჭია-ლუას, პალმის ფესვებს რომ ეომებოდა, კბენა რა იყო, არ იცოდა, არავისთვის არაფერი დაუშავებია, ახლა უეცრად ადამიანებს დაესხა თავს? რატომ?

როგორ თუ რატომ? რასაკვირვე-ლია, იმიტომ, რომ თითოეული წამი იარაღის ჟღარუნით, ჩემების ბრაგუ-ნით, ყაყანითა და გნიასით იყო სავსე. საითაც უნდა გაეხედა, ყველგან უცხო სახეებს, გაბურდგნილ წვერს, შეკრულ შუბლს, მრისხანე, მსუსხავ მზე-რას ხედავდა, ბაგეებს, რომლებსაც მხოლოდ ბრძანების კილოზე ლაპარა-კი შეეძლოთ... ჰო, ყოველი წამი ამაო მოლოდინით, გაცრუებული იმედებით, მტანჯველი ძიებებით იყო სავსე. ძვირ-ფასი ადამიანების აჩრდილებს ადევნე-ბული არაბის მოუღლელი ძიებებით. სად წავიდნენ? სად დაეკარგნენ? ხომ არ დაბრუნდნენ? აი, დაბრუნდნენ... აფორიაქებული და დაძაბული მცირე ჩეამზეც კი ყურებს ცქვეტდა ხოლმე, იმედმოცემული წკავწკავებდა, მერე განბილებული ატეხდა ყეფას, უეცრად აიწყეტდა, კარს გამოგლეჯდა, გარეთ შურდულივით გაიჭრებოდა, უთავბო-ლოდ დაქროდა, ადგილს ვერ პოულობ-და, ხან ჭიშკარს ეცემოდა, ხან უკან გამოქანდებოდა, მოულოდნელად ზედ გადაანყდებოდა, გულს გაუხეთქავდა ვინმეს. ატყდებოდა ლანძღვა-გინება. განახლდებოდა სირბილი. ეზო, პარ-მაღი, დერეფანი, კიბე, ოთახები... სად იყვნენ? სად დაეკარგნენ? ისევ ეზო და პარმაღი. ისევ დერეფანი და კიბე. ისევ. და ისევ... და არაფერი. მხოლოდ ფე-ხებში გაბლანდული ცხოველის დასაფ-რთხობად მოქნეული, მთელი ძალით

ჩაზელილი წიხლი. მოღერებული მუშ-ტი. მყვირალა ბგერები. და...

სანამ გამწარებული ჯარისკაცი შუბ-ლში დამიზნებული იარაღიდან მიჯრით ესროდა, ცოტა ხანს გაირინდა, ღრე-ნა შეწყვიტა, თურმე, მერე თავი აწია, დარდიანად ამოიყმუვლა, მოწყლიანე-ბული გუგები ადამიანური ტანჯვით, მუდარანარევი სინანულით აევსო, უკა-ნა თათებზე ჩაჯდა და...

— წინა თათები სახეზე აიფარა, — თხრობა დაასრულა დიოდოტმა.

ხმაამოუღებლად შევხედე. 4 ივლი-სის ლამე გამახსენდა.

მარტო არ უნდა დამეტოვებინა, — გავიფიქრე, — არაფრით არ უნდა და-მეტოვებინა მარტო. შევპრუნდი, დარ-ბაზის სიღრმისკენ წავლასლასდი და კედელს მიკრულ სკამზე ძალაგამოც-ლილი დავეშვი.



დიოდოტს მამა ანდრიას ნაქონი წმინდა წიკოლოზის ხატი და სახარება ვაჩუქე. წასვლას აყოვნებდა.

— რალაც უნდა გაგიმხილო, — მითხრა.

ღამდებოდა. უხილავი ღრიჭოებიდან შემოპარული ლანდები ფეხაკრეფით დასრიალებდნენ ტაძარში.

უეცრად ტყვიამ იწივლა. ავტომატე-ბის კაკანს არტილერიის ბათქი მოჰყვა. დარბაზი ფოსფორისფრად განათდა. მერე წითლად იელვა. სივრცე ათას ნა-წილად დაიბზარა. ცის თაღი ყურთას-მენის წამლები ხმაურით გასკდა. მინა-ჩამსხვრეული სარკმლის ჩარჩოში შე-მოჭრილი ნაპერწკლები საფანტივით მიეფრევა, შორეული ხანძრის არილი კი მეწამული ქაფივით შეეშხეფა კედლებს.

უნებურად გვერდზე გადავქანდი, რომ საგანგებოდ დამიზნებული და ლა-მის ზედ ყურთან აფეთქებული ჭურვის ანასხლეტის, მეტიც, ნაღმსატყორცე-ბის, ყუმბარმშენების, ტყვიამფრქვევე-ბის ცეცხლისთვის თავი ამერიდებინა. დიახ, გულწრფელად მჯეროდა, სახმე-

ლეთო-საზენიტო ქვემეხებისა და მთელი ძალით ამუშავებული არტილერიის სამიზნე ვიყავი. თითქოს მცირე თუ მსხვილკალიბრიანი იარაღის უკლებლად ყველა ლულა ტაძრის შესასვლელისკენ ჰქონდათ მომართული, რომელთანაც სამხედრო მანევრის დაწყებისას ვისხედით.

— ადგილს ნუ იცვლი. ნუ წრიალებ. დარჩი, სადაც ხარ, — უკვე გონისმოსულს ჩამესმა დიოდოტის ხმა. საფრთხეს გადაევლო, თუმცა ჰქონდი ტრუსის სუნი იდგა და წუთის წინანდელი აფეთქებების ინერციით მიწა ირყეოდა, შენობა ზანზარებდა, — რაც მეტად გაურბიხარ ტყვიას, მით ნაკლებია მისი აცდენის შანსი. შეგიძლია, მოიკუნტო, თავი დახარო, სახე ხელებში ჩარგო ან კეფაზე მკლავები წაიფარო, მაგრამ ინსტინქტურ, მკვეთრ მოძრაობას, მით უმეტეს, გადაადგილებას ყველანაირად უნდა ერიდო. გასაგებია, დაო მარია?

— გასაგებია, დიოდოტ.

ერთხანს ვდუმდით.

— ჰო, მართლა, — მომაგონდა ბოლოს, — რაღაც უნდა გეთქვა.

სახე მოელრუბლა, შეიშმუშნა.

— არც კი ვიცი, საიდან დავიწყო, — ძლივსგასაგონად, უხალისოდ წაიბუტბუტა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, თხრობას შესდგომოდა თუ არა, — იცი, ძველი ამბავია. წესით, უნდა დამვიწყებოდა. დამავიწყდა კიდეც, მაგრამ დილიდან ამეკვიატა. მოსვენებას აღარ მაძლევს. სინდისის ქენჯნა მტანჯავს... როგორ აგიხსნა... გუდაუთის საპყრობილე მიდგას თვალნინ. სისხლი. ოფლი. მტვერი. ძირს მფორთხავი უფორმო არსება, ხორცის საზარელი გუნდა, გამხეცებული ბრბოს შუაგულში მოქცეული ცხვირპირდანაყული, ძვლებდაჩეჩქვილი ქართველი სამხედრო ტყვე, რომელსაც... — გაჩუმდა, გახვითქული შუბლი გიმნასტურის სახელოთი შეიმშრალა, ხმაშეცვლილმა განაგრძო, — შორიდან ვადევნებდი მზერას. ვხე-

დავდი, როგორ უმოწყალოდ სცემდნენ. ფეხქვეშ გაეგდოთ. ლამის ლუკმა-ლუკმა დაეგლიჯათ. საცოდავს წინააღმდეგობის გაწევის კი არა, თითის გატოკების უნარიც არ ჰქონდა. ძალაგამოცლილი, ტანსაცმელშემოფლეთილი, კუნძივით ეგდო მიწაზე. სახე დალილავებოდა. ჩამსხვრეული ცხვირიდან და კბილებჩალენილი პირიდან სისხლს ანთხევდა. მთელი ძალით მოქნეული წიხლის ჩაზელისას ყრუ კვნესა აღმოხდებოდა ხოლმე. ცოცხალ-მკვდარი იყო, უმოძრაო, უგრძნობელი. მაინც ურტყამდნენ. წიხლებს. მუშტებს. კონდახებს. ხელებნაფარებულ თავში. მოკუნტულ ბეჭებში... „რას უყურებ?“ — შემომიღრინა უცებ ერთ-ერთმა, — „რომ დამდგარხარ და მოგვმტერებისარ, რატომ არ სცემ? ჩასცხე, მაგრად სთხლიშე, სული გააცხებინე არამზადას, ნაბიჭვარს!“ „ჰო, ჰო“, — აყაყანდნენ დანარჩენებიც, — „ახლოს მოდი! გაინძერი! ვერ გაიგე, რას გეუბნებიან?“ არ შემიღლია-მეთქი. აი, მაშინ კი გადაირივნენ. ბლავილით შემომერტყნენ გარს. ნაკვთები მორღვეოდათ. თვალები წითლად ულაპლაპებდათ. სახეებზე უანგისფერი ედოთ. კისრის ძარღვები დაბერვოდათ. ოფლში ცურავდნენ. „ეე, ციდან ხომ არ ჩამოვარდი?!“ — კბილებს აღრჭიალებდნენ, — „ყურიც არ მოგირავს, აზრზე არ ხარ, რაებს სჩადიან?“ — ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, მზერით მბურღლავდნენ, ათას დაუჯერებელ, ენით აუწერელ სისასტიკეს ცხვირწინ წითელი ალამივით მიფრიალებდნენ, — „ქალებს გვიუპატიურებენ, გესმის? მერე, ცეცხლწაკიდებულ საბურავებზე დაკრულებს, ნამებით კლავენ და ზღვაში ყრიან. ორსულებს ფატრავენ. მუცლიდან ამოგლეჯილ ნაყოფს, ახალშობილებს, ჩვილებს სარზე აცვამენ... გაიგე! ადამიანები კი არა, ჯალათები არიან, ცოფიანი ძალები, პირუტყვები...“ ალმური წამეკიდა. გონება დამიბნელდა. გული ყელში მომებ-

ჯინა. თვალის დახამხამებაში გავჩნდი მიწაზე მფორთხავ, გასისხლიანებულ ტყვესთან. წიხლი მოვუქნიე... აპა, მიიღე! უხ შენი, უხ! ეს გაუპატიურებული დების, დედების და ცოლებისთვის! მუცელგამოშიგნული ორსულებისთვის! სარზე წამოცმული პატარებისთვის! დახოცილი მეგობრებისთვის! გადამწვარი სოფლებისთვის!.. „ეგრე, ყოჩალ! მიდი, მიდი, კიდევ ჩასცხე!“ – ტვინისამხდელი ყიუინით, გამკივანი შეძახილებით მაქეზებდნენ...

უეცრად გაჩუმდა. თავი ხელებში ჩარგო.

– აი, ხომ დარწმუნდი, – თქვა ბოლოს, – მართალია, კაცის ცოდვა არ მადევს, ჯერ არავინ მომიკლავს, მაგრამ მაინც არ ვარ სხვაზე ბევრად უკეთესი.

შევხედე. ძალიან უბედური იყო. ნუგეშს ეძებდა. მოძღვრის საფლავზე განმარტოება ვურჩიე.

– წადი, დიოდოტ, ესაუბრე, დარდი გაუზიარე, წუხილი ალსარებასავით ჩააბარე. მჯერა, ყველაზე მეტად ეს დაგამშვიდებს.

კარგიო. გარეთ გავიდა. შემობრუნებულმა, დამშვიდობების ნიშნად, გამიღიმა. ვიცოდი, რამდენიმე საათით, განთიადამდე გვტოვებდა, როგორც გვტოვებდა ხოლმე ათდღიანი ნაცნობობის მანძილზე ყოველ საღამოს. მაგრამ რაღაც მაინც მეუცხოვა. რა? ერთბაშად გამიჭირდა საკუთარ თავში აღმოჩენილი უჩვეულო განცდის, უსაფუძვლო ფორიაქის მიზეზის ამოცნობა. ვერ გამეგო, რატომ ვშფოთავდი. აღელვების კონკრეტული მიზეზი, წესით, არ უნდა მქონოდა. დიოდოტი მიდიოდა, რომ დილას ისევ დაბრუნებულიყო. ყველაფერი უცვლელად მეორდებოდა. მსგავსი სიტყვები. მსგავსი უესტები. მსგავსი განწყობილება. მაგრამ, აი, იერი, მზერა და გამომეტყველება კი... და უცებ მივხდი, თითქოს გონება გამინათდა: ღი-

მილი, ჰო, სწორედ ღიმილი იყო განსაკუთრებული, სახეს უდარდელ ხალისს კი არა, ღრმა კაეშნის არაამქვეყნიურ შუქს რომ ჰავენდა. ასე ხომ მხოლოდ სამუდამო გამოთხოვებისას იღიმიან-მეთქი, გავიფიქრე.

– შტაბში უნდა წახვიდე? – ვკითხე სწრაფად.

– არა, საგუშაგოზე. დილას შემოგვლით... გპირდებით.

სკამზე დაგდებულ სამხედრო ქუდს დასწვდა. გასასვლელისკენ გაემართა.

– ნახვამდის, დიოდოტ.

– ნახვამდის, დაო მარია.

16 ივლისი იყო. 17 ივლისის დილას დიოდოტი ტაძარში არ მოსულა. არც შუადლისას გამოჩენილა, არც საღა-მოს. მხოლოდ ღამით შევიტყვეთ, რომ, თურმე, კომანის აფეთქებულ ხიდქვეშ, ბეტონის ნანგრევებსა და მიწის გორა-ხებს შორის აფხაზ მებრძოლებს ძლივს მოუძებნიათ და შეუკონინებიათ ცხრა-მეტი წლის ახალათონელი დაურ ზუხ-ბას დანაწევრებული სხეული. სოხუმი-დან ნასროლ „ტურსს“ საგუშაგო მი-ნასთან გაესწორებინა. სამი ჯარისკაცი ნაფლეთებად ექცია. ერთი ცოცხლად დაემარხა.

– ეს სასჯელია, – თქვეს აფხაზებ-მა, – მაგრამ რაღა მაინცდამაინც ჩვენ შორის საუკეთესოს დაღუპვა გახდა აუცილებელი მოძღვრის მკვლელობის ცოდვის გამოსასყიდად?

...მახსოვს, 16-ში, ღამით, დამშვი-დობებისას ვკითხე:

– შტაბში უნდა გამოცხადდე, დიო-დოტ?

– არა, საგუშაგოზე, – მიპასუხა, – დილას შემოგვლით და აქედან გაგიყ-ვანთ. ჩუმად გაგაპარებთ. გპირდებით.

– ღმერთს ებარებოდე, დიოდოტ.

– ამინ, დაო მარია.

## რაციპ აჩბა

მამა ანდრიას საფლავთან ფსალ-მუნს ვკითხულობდი.

ნათელი დღე იდგა. მართალია, სად-ლაც რალაც ხრჩოლავდა და ირგვლივ დამწვრის სუნი ტრიალებდა, მაგრამ შავად აკვამლებული გაუდაბურებული ნასოფლარის თავზე ცა ლაჟვარ-დისფრად იყო მოკრიალებული. აღარც ყუმბარები ღმუოდა, აღარც აფეთქებებისგან ავარდნილი მტკრის ბული გმა-ნავდა მზის შექით გაბრდლვიალებულ სივრცეს. უკვე თავისუფლად შემეძლო სიმშვიდის ნაჩუქარი წუთებით ტკბობა, ძვალ-რბილში გამჯდარი ფორიაქის მი-ყუჩება, აღქმა, თუ როგორ დამლივლი-ვებდა სინათლის უხვ ჭავლში გახვეუ-ლი ტაძრის ოქროსფერი სილუეტი.

ცხელოდა. მხურვალებისგან გათან-გულ მიდამოს თითქოს სუნთქვა შეეწ-ყვიტა. ჰაერი არ იძროდა. ფოთოლი არ ირჩეოდა. ტაძრის შემოგარენი უჩვეუ-ლო სიწყნარეს მოეცვა. და სწორედ ივლისის თაკარა ნაშუადლევს ჩამოვარ-დნილი გარინდებისას მოულოდნელმა შფოთმა შემიცყრო, განგაშმა ამიტანა. ჯერ ვერ დამედგინა, გამახვილებულ ყურთასმენამდე მოლწეული პირველი ფრთხილი, შემპარავი ჩქამი მოვლენე-ბის დინების მაუწყებელი ნიშანი იყო, ვთქვათ, ნაბიჯების ხმა თუ ბუნების სუსტი, დახშული ფეთქვა, აი, თუნდაც ნიავის ქროლა, ბალახებში გახლართუ-ლი მწერების ფუთფუთი. ვითომ აბე-ზარი კალიების დაძარლვული ფრთები და სახსრები გამოსცემდნენ ერთ დროს უწყინარ, ახლა კი გამაღიზიანებელ ბერებს, ყურადლებად ქცეულს, მეხის გრგვინვასავით რომ ჩამესმოდა? ვი-თომ გულს ტყუილად ვიხეთქავდი და გაზვიადებული წარმოიდგენების, გამ-ძაფრებული მგრძნობელობის მთავარი მიზეზი თვითგადარჩენის ინსტინქტი იყო, შიში, რომელსაც დიდი თვალები ჰქონდა? არა, რა თქმა უნდა, არა.

ჩქამი, რომელმაც სულ რამდენი-მე წუთით ჩამოვარდნილი მშვიდობის ილუზია გაფანტა, მიწის სიღრმიდან ან ეზოს რომელიმე კუნჭულიდან კი არა, გალავნიდან მოიწევდა. და არა მარ-ტო მოიწევდა, თანდათან მატულობდა, ძლიერდებოდა, რუსულ-აფხაზურ ფრა-ზებად, ყიუინად, შეძახილად, გინებად, მუქარად ნაწევრდებოდა...

სანამ რაიმეს გააზრებას მოვასწრებ-დი, ნაცნობმა კადრებმა ელვისუსწრა-ფესად ჩამიქროლა თვალწინ. გონებამ დაუნდობლად, შემზარავი სიცხადით გააშიშვლა ახლო წარსულის სურათები:

აი, იპოდიაკვნად ნაკურთხი იური ანუა გაუვალ ტყედ აჯაგრული ჩახმახ-შეყენებული ავტომატების ფონზე. სა-კუთარი სისხლის გუბეში მფორთხავი სონია. სკამის საზურგეზე თავგადაკი-დებული, მკერდდაცხრილული ალექ-სი. თითქოს მდინარიდან გამორიყულ მკვდრებს შორის მობორიალე, არაყით და სისხლით მთვრალი ჯარისკაცები. მამა ანდრია, მამა ანდრია...

წუთით ვიფიქრე, იქნებ, მეხსიერე-ბა მღალატობს, ყური ან თვალი მატ-ყუებს-მეთქი. არა, ნამდვილად ისინი იყვნენ, ვინც მამა ანდრია დახვრიტა, იური ანუას არსებობის კვალი გააქრო, ალექსის სხეულს ავტომატის ჯერი გა-დაატარა, სონიას მკლავი მოაგლიჯა, დატყვევებული კომანელები სიცოც-ხლეს გამოასალმა...

— რა შეხვედრაა, არა, ლამაზო?! უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი, — ხორხოცებდნენ, ურცხვი ღრეჭით მიახ-ლოვდებოდნენ, თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე მსინჯავდნენ, თვალებით მჭამდნენ. მხოლოდ სამმაგ შესამოსელ-ში კი არა, კანში ატანდა მათი ავხორ-ცი, უტიფარი მზერა.

მუხლებზე ჩარჩქილი სწრაფად წა-მოვხტი, წელში გავიმართე, ნაბიჯი უკან გადავდგი, აღმაშენებლის ჭედურ გამოსახულებას ზურგით ავეჯარი და, დამფრთხალმა გასაქცევს დავუწყე

ძებნა, მაგრამ თავის დაძვრენა შეუძლებელი იყო. გარს შემომრტყმოდნენ, ალყაში მოვემზყვდიეთ.

- აჰაა, ჩაგიგდეთ თუ არა ხელში?!.
- ვეღარსად წაგვიხვალ...
- დროა, მამაშენის ცოდვები გამოისყიდო...

ვიგრძენი, როგორ გამეყინა სისხლი გაგანია სიცხეში. მუხლი მომეკვეთა. სუნთქვა შემიგუბდა. უკვე დანამდვილებით ვიცოდი, რომ ადრე რეალური განსაცდელის წინაშე მარტო არასდროს ვმდგარვარ. 5 ივლისს, 5 ივლისამდე, შემდგომ ანგარიშსწორება-განუკითხაობისა და ცხელ გულზე ამონთხეული პირველი ემოციის სისასტიკე მოძლვარმა, მამამ, ტაძარს შეფარებულმა ინვალიდებმა, სამხედრო ტყვეებმა, რიგითმა კომანელებმა უშუალოდ საკუთარ ტყავზე იწვნიეს. ფიზიკური ძალმომრეობისგან მამა ანდრიას სისხლით შეღბილმა სახემ, სამოსმა, ყოვლისშემძლე გულთამხილავის, გრძნეულის სახელმა მიხსნა. დღემდე უახლოესი ადამიანები დამცავ ფარად მევლინებოდნენ. დღეს კი ჩემი ჯერიც დადგა.

შეიძლებოდა თუ არა, დანდობა მლირ-სებოდა ჯარისკაცების, უფრო სწორად, გაველურებული არსებების საზარელი მოდგმისგან, ვის ყოფასაც მხოლოდ ერთი – ბნელი მხარე შერჩა და ეს მხარე, ანუ მთელი ცხოვრებისეული უბედურება და ტრაგიზმი პირმოუკრავ იარებად ალიბეჭდა მათ სახეებზე? არა, რა თქმა უნდა, არა.

მამა ანდრია, მიშველე-მეთქი, წავიბუტბუტე. უძლური ვიყავი, განნირული. ან სასწაულის იმედი უნდა მქონოდა, ან ბედისწერას შევგუებოდი.



პირველი ბომბი ტაძრის შორიახლო ჩამოვარდა, მეორემ გალავნის ნაწილი მოანგრია. როცა მრავალსართულიანი სახლის სიმაღლეზე ამოტყორცნილი მიწის შადრევნები ძირს ხრიალით ჩა-

მოშვავდა. გონსმოსულმა მტვრის ბუქ-ში მოძრავ, სხვადასხვა მხარეს მიმოფანტულ სილუეტებს მოვკარი თვალი. ჯარისკაცები თავს გაქცევით შველოდნენ. გარშემო არავინ ჩანდა. კედელს მოვწყდი, ტაძარში შევვარდი, მიმოვიხედე, მაგრამ – არ ვიცი, მღელვარების ბრალი იყო, თუ მკვეთრი სინათლიდან სიბნელეში გადანაცვლების – თვალებზე თითქოს ლიბრი გადამეკრა. გარემოს აღქმის უნარი დავკარგე. ხატები გაბუნდოვანდა, მონაცრისფრო ნისლში გაზავდა თუ აითქვიფა. ერთადერთი, რაც არ შეცვლილა, მეტიც, თითქოს განსაკუთრებული ძალმოსილებითა და ბრწყინვალებით გამუქდა, გასხივოსნდა, წაშლილი კონტურების, გახუნებული ფერების, ჩამქრალი შარავანდებების ბინდიდან სასწაულებრივი სისწრაფით ამოიზარდა და მაგნიტივით მიმიზიდა, ცეცხლისმფრქვეველი ურჩეულის თავზე შუბშემართული მხედრის სახე იყო.

– წმინდა გიორგი! – განნირული ხმით შევდალადე, ხატს მივეჭრი, მუხლებზე დავემხე და ცრემლად დალვრილმა, აცახცახებულმა მთელი სასწარკვეთა, შიშის ზაფრა გულიდან ამომსკდარ მუდარაში ჩავაქსოვე, – ტყვეთა განმათავისუფლებელო, დამეხმარე, გევედრები! გიორგი! გიორგი! გიორგიიიი!

და უცებ მოხდა რაღაც, რისი ახსნა ერთბაშად ვერ შევძელი. ტაძარში ბიბილი, ხავერდოვანი ბარიტონი შემოიჭრა, სივრცეს მოედო და ექოსავით გაიშალა:

– დაწყნარდი, გოგონი... რა ფერი გადევს?.. ვინ შეგაშინა?.. სინდისს ვფიცავ, ღერი თმა არ ჩამოვარდება... ამას მე გეუბნები, რაფიკ აჩბა...

შევკრთი. მთელი არსება შფოთიან მოლოდინად მექცა, არასასიამოვნო განცდად, რომ ყველანაირი ემოცია იდუმალი სამაღლავიდან მოდარაჯე უცნობის თვალინინ მქონდა გამოფენილი. მიყურებდა და ვერ ვხედავდი. არ ჩან-

და, თავად უმნიშვნელო მოძრაობას, ნაკვთების რხევას ვერ გამოვაპარებდი.

სულ რაღაც ერთ წუთს გაგრძელდა ასე. სულ რაღაც ერთი წუთით მომეჩვენა, თითქოს საკუთარ თავს გავცდი და ცხადად, გარკვევით დავინახე იატავზე ჩამხობილი, გაფითრებული გოგონა, რომელიც ძრწოლით და რწმენით, ეჭვით და კრძალვით სავსე მზერას აქეთიქით აწყვეტდა. შავ ხილაბანდქვეშ მოხაზული მქრქალი ცისფერი თვალები ხან ტაძრის ბენელ ლაბირინთებში ცდილობდნენ გზის განებას, ხან კედლებს ელურსმებოდნენ, ხან საკურთხევლის გასწრივ დაქროდნენ.

— ვინ ხარ? — წავიჩურჩულე, თუმცა პასუხის მიღების იმედი არ მქონდა. ვფიქრობდი, ნამდვილად მისტიკური ხილვების ტყვეობაში აღმოვჩნდი, შეშლილობის ზღვრამდე მისულს ყველაფერი მომელანდა-მეთქი.

— რაფიკ აჩბა.

— ვინ?

კაცს ნათქვამი აღარ გაუმეორებია, ტაძრის მცირე დარბაზს გამოსცდა, მარცხენა მხრიდან მომიახლოვდა და ორიოდე ნაბიჯის მანძილზე შეჩერდა.

მომეჩვენა, თითქოს სასწაულის მომსწრე გავხდი, ხახადაფჩენილი ურჩხულის თავზე შებშემართულ კაპადოკიელ დიდებულს უფლის სხივი დაეცა და ხატი გაცოცხლდა, განსხეულდა. კარგა ხანი დაჭირდა გონს მოსასვლელად და გასააზრებლად, რომ წმინდანი კი არა, თოფ-იარაღში ჩამჯდარი ჩვეულებრივი აფხაზი მეომარი იყო, სანთლის ასანთებად შემოსული რაფიკ აჩბა. აი, იდგა, მკვეთრი პლასტებით ნაძერწი, ბრინჯაოსაგან ნაქანდაკევი თუ ფოლადისაგან ჩამოსხმული ნაკვთების ფონზე უეცარი ღიმილით მზერაგანათებული. გრუზა თმა. ხშირი, შავი ულვაში. მკაცრი პროფილი. მთის ამაყი შვილის ოდნავ ქედმაღლური იერი. სიმტკიცე და სითბო, შეუპოვრობა და ლმობიერება ერთად.

— რა გქვია? — ალერსიანად, დაყვავე-

ბით მკითხა. მივხვდი, თითოეულ სიტყვას საგულდაგულოდ წონიდა, თითქოს სულს მიბერავდა, რომ უნდობლობის ფორიაქი, მიუღებლობა-უარყოფის სიცივე დიდი სიფრთხილით გადაელახა. რატომ მელოლიავებოდა? მხოლოდ სიბრალულის გამო? უცნობს? მტრად მიჩნეულ მძვალს, ვისაც უკიუინებდნენ: მოძღვრის საფლავთან ფსალმუნის კითხვისას სოხუმში მყოფ მონინააღმდეგეს აფხაზური შენაერთების ადგილსამყოფელის შესახებ საიდუმლო მონაცემებს გადასცემ, რისი წყალობითაც მიზანმიმართულად დაშენილი ჭურვები კომანის საგუშაგო-პოზიციებს პირნმინდად აცამტკვერებსო? როგორ შეუფასებდნენ თანამებრძოლები „ჯაშუშის“ მფარველობას?.. არაფერი მესმოდა.

— რა გქვია, გოგონი? — დაიხარა, ნიკაპი ამინია, თვალებში ჩამხედა და წყნარად ჩამომიმარცვლა, — სახელი, სახელი მითხარი.

— მა... — წამოვიწყე და გავჩუმდი, მერე ნერწყვი გადავყლაპე და სწრაფად დავასრულე, — მარია... შეგიძლიათ, და მარია დამიძახოთ.

— და მარია? — გაიმეორა, — მორჩილი ხარ?

— ჰო, — ჩავიღაპარაკე.

ჯიქურ შემომხედა:

— მართლა? — ხმას დაუდაბლა, მზერა მოულბა, — თუ...

კრინგი არ დამიძრავს. კერპივით გავქვავდი. რისი თქმა უნდოდა? არ ვიცი, არ ვიცი. ან რიტორიკული შეკითხვა იყო, სიტყვის მასალა, ან ზრდილობის გამო შეუზე შეწყვეტილი ფრაზა. რომელი ფრაზა?.. გულთამხილავი! „მართლა?“ — წამოიწყო და უხმოდ დაასრულა, — „თუ ღვთისმსახურობა დაიბრალე, ძალადობისგან თავდასაცავად, შეურაცხყოფის ასარიდებლად სასულიერო პირის სახელს, ანუ სიცრუის ცოდვას ამოეფარე?“

სიცრუის ცოდვა...

გახსოვს? — ერთ მოგონებას ჩავებ-

ღაუჭე, – 5 ივლისი იყო. ძირს ჩამჯდარ მამა ანდრიას მკლავები სახსარში მოხრილ და მკერდს მიკრულ წვივებზე შემოქმდო, ნიკაპით მუხლისთავებს ებჯინებოდა, ამბობდა:

– მარადისობას მივუგდოთ ყური. იქნებ, უფლის ხმა შემოგვესმას.

– მამაო, – ენა ძლივს მოვაბრუნე, უხერხულ თხოვნას დიდი წვალებით მოვაბი თავი, – ვიცი, მაინცდამაინც გამართლებული არ არის, მაგრამ... ვიფიქრე, თუკი დამცირების და შეურაცხყოფის საფრთხე დამტკიცება, ხომ არ ჯობს, ვთქვა, ვითომ მორჩილი ვარ?..

მზერა ამარიდა. საუბრის გაგრძელება ვეღარ გავბეჭე. თემა ამოწურული იყო, საკითხი – განხილული. მორჩა, დამთავრდა. უპასუხოდ დამტკიცა? ესე იგი, შემიპრალა, საკუთარი ბედის გადაწყვეტის უფლება თავად მომანდო, ნათქვამს წაუყრუა, ტყუილს თვალი მოუხუჭა. საშუალება მომცა, დუმილი თანხმობის ნიშნად მიმეღო.

სიცრუის ცოდვა?

თვითმკვლელობისაც?

მაგალითი – რამდენიც გინდა.

სოხუმელმა მონაზვნებმა ეპარქიის მთავარებისკოპოსისგან განსაკუთრებული კურთხევა მიიღეს. გაუპატიურების საფრთხის შემთხვევაში, მათ სამრეკლოებიდან გადმოხტომის ნებართვა ეძლეოდათ. თვითმკვლელი მონაზვნები. ქრისტეს პატარძლების სუიციდი უფლის წმინდა სახლში. სასულიერო პირის დასტური სიცოცხლის ხელოვნურად შეწყვეტის, არსებობისთვის ზღვარის დაწესების, ღვთის ნების წინააღმდეგ, საკუთარი სურვილისამებრ თვითგანადგურების განზრახვაზე. წარმოუდგენელი კომპრომისია, არა? ცნებების აღრევა. მრავალსაუკუნოვანი წარმოდგენების იძულებითი ნგრევა.

მოუნანიებელი ცოდვის სიმძიმე. ღირსება, რომლის დაცვის მიზანი სიცოცხლის წყურვილს, მცნების სიწმინდესაც კი აჭარბებს. ნაბიჯი, რომლის გადად-

გმამდე კონკრეტულ ამბებს მივყავართ. საფრთხეს, რომელმაც საერო და სასულიერო პირი არ იცის.

ჰო, ასეა... იმ დღის მერე, რაც მედავითნე გულნარას ამბავი შევიტყვე, მივხვდი, მამა ანდრიას საზამთრო-საზაფხულო კაბების, სახის გარშემო შავ ჩარჩოდ მოვლებული ხილაბანდის, თვითნებურად შერქმეული „და მარიას“ იმედი ყოველთვის არ უნდა მქონოდა. ომის ტალღას შეიძლებოდა, ნებისმიერ წუთს გადმოესროლა ათასი ჯურის მოძალადე, ვის სულში ჩაბუდებულ მხეცს მონაზვნის სახელითა და სამოსით ვერ შეაკავებდი.

მედავითნე გულნარა ვახსენე. რა დაემართა? შინ შეუცვივდნენ, ღვთის-მშობლის ხატი ხელიდან წაგლიჯეს, კაბა შემოაფლითეს, გააუპატიურეს, დახვრიტეს, დაწვეს და, საბურავზე მიკრული ზღვაში გადააგდეს გაუპატიურებულ, დახვრეტილ, დამწვარ დედამთილთან ერთად.

მეგონა, მონაზვნობა დამიფარავდა. ფუჭი იმედი გამოდგა. წელან, მამა ანდრიას საფლავთან ფსალმუნის კითხვისას, გაველურებული არსებების საზარელი მოდგმა შემომერტყა გარს. აფეთქებამ მიხსნა. წმინდა გიორგიმ. რაფიკ აჩბამ.

რაფიკ აჩბა.

– მაშ, და მარია, არა? – დათმო ბოლოს, – ასე იყოს. როგორც გინდა, – მიმოიხედა, – მოდი, ჯერ სანთლებს ავანთებ, მერე შტაბში წავალ და პროდუქტს მოგიტან. მარტო ხარ? დედას-თან ერთად? ახლა სად არის? არ იცი?.. კარგი. შევთანხმდით. წავალ და მალე დავბრუნდები. ნუ გეშინია. ყველაფერი კარგად იქნება.



ოცდათორმეტი წლის რაფიკ აჩბამ, დუშმანად წოდებულმა გუდაუთელმა მაჰმადიანმა, დროებითი საცხოვრებელი ადგილი – რუსეთი, ქალაქი როსტო-

ვი – ქართულ-აფხაზურ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის მისაღებად დატოვა. შინ დაბრუნებულს დედამ უმცროსი ძმის ამბავი დაახვედრა:

ბიჭს ომმა სოხუმში მოუსწორო. ქალაქიდან წასვლა არ ისურვა. მხედრიონელებმა მიაგნეს, დაატყვევეს. გაქცევა მოახერხა. ესროლეს. დაჭრეს. ფორთვით მიაღწია სახლამდე. მეზობლებს მიუკაუნა. ქართველებს. სანამ კარს გაუღებდნენ, გონი დაკარგა. შეიფარეს.

ბინდდებოდა. გარეთ ყაყანი ისმოდა. უგზო-უკვლოდ გამქრალი აფხაზის ხელში ჩასაგდებად დაგეშილი მხედრიონელები აქეთ-იქით დაბრნოდნენ, ბუჩქებს ჩხრეკადნენ, სარდაფებს ამონ-მებდნენ. ცოტაც და, გაქცეული ტყვეს ძებნას სართულ-სართულ შეუდგებოდნენ, სადარბაზოს ჩექმების ბრაგუნით და იარაღის უღარუნით გააყრუებდნენ, ხიზანს მიაგნებდნენ, მასაც მოკლავ-დნენ და ზედ გულმოწყალე მასპინძლებსაც მიაყოლებდნენ.

მეზობლები შავ დღეში ჩაცვივდნენ. დაბნეულებმა ტუჩქების კვნეტით და თითების მტვრევით გადახედეს ერთმანეთს. ყოყმანის დრო არ ჰქონდათ. გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მიეღოთ: ან დაჭრილი აფხაზი გაეწირათ, ან მასთან ერთად მომკვდარიყვნენ, ან... რა? ვითომ სხვა გამოსავალიც არსებობდა? დიახ, დიახ! გონება გაუნათდათ. თვალები გაუბრნებინდათ. ხიზანს ეცნენ, მხრებსა და ფეხებში მოებდაუჭნენ, ტახტზე დააწვინეს, გულხელი დაუკრიფეს, თეთრი ზენარი გადააფარეს, გარშემო სკამები შემოუწყვეს. სკამებზე ქალები ჩამოსხეს. თვითონ, კაცები, თავჩაქინდობულები და ზურგზე ხელებშემოწყობილები გამწკრივდნენ ღია კართან.

მერე რაც მოხდა, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. ბინაში შეჭრილ ჯარისკაცებს, რომლებმაც, არც მეტი, არც ნაკლები, შუა „პანაშვიდზე“ ამოყვეს თავი, „მგლოვიარეებით“ გარ-

შემორტყმული „მიცვალებულის“ დანახვისას ფერი ეცვალათ, ცივი წყალი გადაესხათ.

– რა ამბავია? – იკითხეს.  
– აფხაზებმა ვაჟკაცი მოგვიკლეს. იმას დავტირით.

სახელდახელოდ გამომცხვარი ტყუილის შინაარსს, ინსცენირებული რიტუალის დრამატულობას, „ჭირისუფლების“ ცრემლებსა და მოთქმას, „გარდაცვლილისადმი“ რიდსა და პატივისცემას უკვალოდ არ ჩაუვლია. მხედრიონელებს სისხლისლვრის უინი კი გაუნელდათ, გაღიზიანების საფუძველი გამოეცალათ, მაგრამ სადღაც, გულისგულში ეჭვის პანაწინა მარცვალი მაინც უღვიოდათ. ვერც წასვლა მოეფიქრებინათ, ვერც – დარჩენა. არც ოთახების ჩხრეკის თავხედობა ჰყოფნიდათ, არც – მწუხარების გაზიარებისა და თანაგრძნობის გამოხატვის კეთილშობილება. ზღურბლზე ტორტმანებდნენ. იბლვირებოდნენ.

ამასობაში მასპინძლებს შიშისაგან გულები უსკდებოდათ: გონდაკარგული ბიჭი რომ გამოფხიზლდეს, დაიკვნესოს, წამოახველოს ან შეირხეს, რა გვეშველება? ყველანი დავილუპებით. მტრის მფარველობის ბრალდება, დედაბუდიანად ამონყვეტა არ აგვცდება. გამხეცებული მეომრები ქვას ქვაზე არ დატოვებენ. რა ვიღონოთ, როგორ მოვიქცეთო? თუმცა მღელვარებას ოდნავადაც არ იმჩნევდნენ. პირიქით, იმ ადამიანის თავზეხელაღებული სიმამაცით აქეზებდნენ, ნამუსზე შემგდები ფრაზებით უტევდნენ მდევარს, ვისაც მსხვერპლად შეწირვის, უკიდურეს რისკზე წასვლის გარდა სხვა გზა არ დარჩენია და დასაკარგიც აღარაფერი აქვს:

– რა, არ გვენდობით? გგონიათ, ვცრუობთ და რამეს გიმაღავთ? ა, ბატონო, მობრძანდით, ნუ გერიდებათ, შეგიძლიათ, სუდარა გადასწიოთ, საკუთარი თვალით დახედოთ მკვდარს, შეამონმოთ, დარწმუნდეთ...

მებრძოლები შეყოყმანდნენ. რომე-

ლილაცამ მართლა გადადგა ნაბიჯი წინ, სკამებშემომწკრივებულ ტახტზე დასვენებული „მიცვალებულისკენ“, მაგრამ დანარჩენებმა შეაჩერეს, უკან დაწიეს:

— მაიცა, თუ ძმა ხარ. ახლა მკვდარი გვამოწმებინე კიდევ ვერ ხედავ, რა ხდება? აბა, დავახვიეთ აქედან. წავედით, წავედით.

წავიდნენ.

აგვისტო იყო. სექტემბრის შუა რიცხვებში უკვე საბოლოოდ განკურნებული და ჭრილობამოშუშებული ხიზანი, რომელმაც მეზობლების ჭერქვეშ მთელი თვე დაჰყო, მასპინძლებმა ქვეყნიდან გააპარეს.

— ქართველებთან ვალში ვარ, — თქვა რაფიკ აჩბამ, — ძმის სიცოცხლე მაჩუქეს. ვალს კი გასტუმრება სჭირდება. ვიცი, ომია და სხვა გზა არ მაქვს, უნდა ვიბრძოლო. მაგრამ თუ შემთხვევა მოიტანს, ქართველებთან მტრობას დავივინებ, ძმის გადარჩენის ამბავს კი — არასოდეს. ყველას დავეხმარები, ვისი ხსნის საშუალებასაც ღმერთი მომცემს. ხოლო როცა რჩეული დუშმანი, სულით ხორცამდე ნამდვილი აფხაზი პატიოსან, კაცურ სიტყვას იტყვის, დამიჯერე, მოკვდება და იმ სიტყვას არაფრის ფასად არ გადავა, ფიცს არ უღალატებს.



რაფიკ აჩბამ მოძღვრის საფლავი შეგვაღობინა. ჯარისკაცებს უმისამართოდ სროლა, ტაძრის რბევა, სარკოფაგის და ხატების არამცულ დაცხრილვა-ნაბილწვა, მათთან მიახლოებაც სასტიკად აუკრძალა. მცველები მოგვიჩინა. ორი ბერძენი ტყვექალი, ამზარელი ვერა და ანფულა, შემოგვისახლა. კვების საკითხი მოგვიგვარა. დილა-საღამოს პური და თევზის კონსერვი მოჰქონდა. ხანდახან ჯიბიდან თაფლის სანთელ-საც ამოაცოცებდა და დედას გაუწვდიდა, აპა, ზოია, დაანთეთ და ილოცეთო. მარტო იშვიათად გვტოვებდა. გვირჩევ-

და, ტაძრიდან ფეხი არ გაგვედგა, კარჩარაზულ დარბაზში, პლედებდაგებულ იატაკზე გაგვეთია ბამე, დღე კი გალავანს არ გავცილებოდით. საკმარისია, გარეთ დაგიგულონ, დამშეული მეომრები შუაზე გაგლეჯენ, გვაფრთხილებდა. როგორც კი დროს გამონახავდა, სასაუბროდ შემოივლიდა. საფლავთან ჩამოვსხდებოდით. მამა ანდრიასა და იური ანუაზე ვუყვებოდი, მაცხოვრის ხატის წინ გვერდიგვერდ ჩაჩოქილ ქართველ მოძღვარსა და აფხაზ იპოდიაკვანზე. იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილების პოვნის ადგილას ასაგებ ბაზილიკაზე, სადაც მიწიერ ცხოვრებას სამუდამოდ მოწყვეტილ ორ ბერს, ერისკაცობაში ბალდათელ პაატა ყურაშვილსა და ოჩამჩირელ იური ანუას, დარჩენილი დღეები ერთად უნდა გაეტარებინათ...

რაფიკ აჩბამ ჩაფიქრებული მისმენდა. მეტწილად დუმდა. ღროდადრო 5 ივლისის მოვლენებს უბრუნდებოდა, კითხვებს სვამდა, ვერსიებს აზუსტებდა, ადრე ნაამბობს ახალ დეტალს ამატებდა. თუმცა სათქმელი ძალიან ცოტა ჰქონდა.

თვე იწურებოდა, მომხდართან დაკავშირებით კი თითქმის არაფერი ვიცოდით. ჰო, არაფერი, რაფიკ აჩბას მიერ გუდაუთის სამხედრო შტაბიდან მოპოვებული ოფიციალური ცნობის გარდა, რომლის თანახმადაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ძეგლის, იოანე ოქროპირის სახელობის ტაძრის და ეკლესიაში მყოფი პირების სიცოცხლის ხელყოფა, თურმე, კატეგორიულად იკრძალებოდა. ანუ შენობა უვნებლად უნდა დაეტოვებინათ. მონასტრის მსახურებსა და ხიზნებს (როგორც სასულიერო პირებს, ისე მრევლს) ფიზიკურად არ უნდა შეხებოდნენ. რატომ? ცხადია, იმიტომ, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში ბარბაროსებად არ გამოჩენილიყვნენ. ვინ გასცა განკარგულება? აფხაზურმა სარდლობამ. როდის? არც მეტი, არც ნაკლები,

5 ივლისს. დიახ, აფხაზურ-რუსული ბატალიონების კომანში შემოჭრის დღეს, როცა თვალამოთხრილმა, ცალ მხარეს ქუთუთოებშენებებულმა ახმახმა ეშერელმა იპოდიაკვანი იური (გიორგი) ანუა კონდახის ცემით გაიგდო წინ თავსხმა წვიმაში, ტაძრიდან კარიბჭისკენ, სადაც მერი პაკელიანის ნაფლეთებად ქცეული გვამი ეგდო. როცა პატრიარქის რეზიდენციის ერთ-ერთ ოთახში გამომწყვდეულ მამა ანდრიას, უკანასკნელი ლოცვის წარმოთქმისას, მცირე კალიბრის ცენტრდაკარგული ტყვია პირდაპირ კეფაში დაახალეს. როცა ეკლესიაში შეფარებულ საბრალო ინვალიდებს საშინელი სამსჯავრო მოუწყეს და კაცისკვლის ცოდვით გაჟღენთილი აპოკალიფსური ღამის სისხლიანი მდუღარება თითებგაშლილი მტევნების წებოვან, ბლანტ ნაკვალევად ჩამომეკან-რა სახეზე. როცა...

— დამშვიდი, დაო მარია...

ვკანკალებდი. ცივ ოფლს მასხამდა სამმაგი შესამოსელის ქვეშ, გაგანია სიცხეში. ვკანკალებდი. წყეული ომი! 5 ივლისის ბრძანება. ღმერთო ჩემო! სამხედრო შტაბიდან მოსული განკარგულება ხელშეუხებლობის შესახებ. და შედეგი? ჩახოცილი ადამიანები. დაცხრილული ხატები. სისხლის გუბეში მოტივტივე დაჭეჭყილი მასრები, ცარიელი მჭიდები. მკლავი... მოგლეჯილი მკლავი...

— დაწყნარდი, გთხოვ!..

ნელა, ძალიან ნელა ვუბრუნდებოდი საკუთარ თავს.

— როგორ ხარ?

— კარგად.

— მაშ, მომისმინე.

თურმე, გუდაუთის მთავარი სამხედრო შტაბის მიერ 1993 წლის 5 ივლისს გაცემული დოკუმენტი მოიერიშებს, უპირველესად, აფხაზი მამულიშვილის — იური ანუას — ცოცხლად შეპყრობას ავალებდა. ნებისმიერი სხვაგვარი, ანუ ძალადობრივი საქციელი (ტყვეს წამება, დახვრეტა) დაუმორჩილებლობად,

დანაშაულებრივ თვითნებობად შეფას-დებოდა, რასაც უყურადღებოდ არ დატოვებდნენ. მოძალადეს სამხედრო ტრიბუნალს გადასცემდნენ და კანონის შესაბამისად დასჯიდნენ.

— რა დასკვნის გამოტანა შეგვიძლია აქედან?

თუ ეშერის ბატალიონის მებრძოლები ალალბედზე კი არა, ინსტრუქციის თანახმად მოქმედებდნენ, გამოდის, ტაძარში შემოჭრის უმთავრესი მიზანი იური ანუას დატყვევება იყო და არა მისი წამება ან მკვლელობა. კარგი, ვთქვათ, მკვლელობა განზრახული არ ჰქონდათ. მხოლოდ ცოცხლად შეიძყრეს და, გარკვეული ბრალდებების საფუძველზე, ციხეში გამოამწყვდიეს. მაგრამ რომელ ციხეში? მამას ხომ ვერც კომანის, ვერც გუდაუთის, ვერც რომელიმე სხვა სოფლის თუ დაბის საპყრობილები მიაგნეს?

დავუშვათ, აფხაზ მამულიშვილად მოხსენიებული ცნობილი ქველმოქმედი, ვისაც, წარსული დამსახურებების გამო, ხელისუფლების მაღალჩინოსნები (ომამდეც, ომის დაწყების მერეც) დიდ ანგარიშს უწევდნენ, უდანაშაულოდ სცნეს და გაათავისუფლეს. მაშინ სადმე ხომ უნდა წასულიყო? იური ანუას გათავისუფლებისა და სავარაუდო ადგილსამყოფელის შესახებ სანდო წყაროებისგან მოპოვებული, წერილობით ან სიტყვიერად დადასტურებული ერთი ცნობა, გადაწყვეტილების ასლი მაინც ხომ უნდა შემოენახა შესაბამის უწყებებს? არა. არაფერი ამის მსგავსი.

რჩება ორი ვერსია. პირველი: იური ანუასადმი გამოჩენილი ხაზგასმული შემწყნარებლობა-ლოიალობის ფონზე, აფხაზური სარდლობის ფარული წაქეზებით გათამამებულმა ჯარისკაცებმა თუ სატუსალოს გუშაგებმა „საპატიო ტყვეს“ ხელიდან დასხლტომის, გაპარვის შესაძლებლობა მისცეს, ან გაქცევის ფაქტზე თვალი განგებ დახუჭეს. მეორე: მათ, ვინც მამა ტაძრიდან გაიყვანა, 5 ივლისის განკარგულების შესა-

ხებ ძალიან გვიან, დანაშაულის ჩადენის მერე გაიგეს (გამორიცხული არ არის, ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ ტყვე შემოაკვდათ, ან სამხედრო ხელმძღვანელობის გაფრთხილება არად ჩააგდეს), ბოლოს კი, სასჯელის თავიდან ასარი-დებლად, ძალადობის კვალი წაშალეს, გვამი გააქრეს, თანამონაწილეებსა და თვითმხილველებს გაჩუმება აიძულეს.

– სულ ეს არის? – სასოწარკვეთილი მივჩერებოდი რაფიკ აჩბას, – რამის დაზუსტება, უტყუარი ფაქტებით, სარწმუნო ცნობებით დასაბუთება გამორიცხულია? მხოლოდ ეჭვების, ვერსიების და ვარაუდების დონეზე ვრჩებით?

– ჰო, სამწუხაროდ...

– კი მაგრამ, ხომ არ შეიძლება, ადამიანი ასე ერთპაშად, თვალსა და ხელს შუა აორთქლდეს, ვერც ცოცხალს მივაგნოთ, ვერც მკვდარს, ვერც ამბის

მთქმელს? – გულს ვასკდებოდი.

რაფიკი დუმდა.

– ამიხსენი, – ვემუდარებოდი, – თავად თუ გჯერა, რომ არავინ არაფერი იცის?

– ალბათ, იციან, მაგრამ... – შეყოყ-მანდებოდა, – ვფიქრობ, დუმილის ალ-თქმა აქვთ დადებული. პირზე ბოქლომი ადევთ. ტყავიც რომ გააძრო, სიტყვას ვერ დააცდენინებ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მათი სიჯიუტე, შიშის გარდა, ფიცის ძალაზე, ფიცისადმი ერთგულებაზეა დამყარებული.

– აბა, რა ვქნათ?

– ლოდინს უნდა გავუძლოთ. ლოდინს და დროს, რომელიც თანდათანობით ყველაფერს გამოაჩენს, ადრე თუ გვიან საიდუმლოს ფარდას ახდის. სხვა გზა არ გვაქვს, დაო მარია. უნდა დავიცადოთ.



## თამარ გელიტაშვილი

### ვანო ჩხილვაძის „ქულა“

ახალთვალახელილი ლევი იყო, მწყემსებმა ეკლესიის წინამძღვარს, მამა პავლეს რომ აჩუქეს – სუფთა ქართული ჯიში, ჭკვიანი, დამჯერე, პატრონისა და ფარეხის ერთგული, თეთრი, ქათქათა. ბამბის ქულასთან მსგავსების გამო მოძღვარმა „ქულა“ შეარქეა.

ქულა ვანო ჩხილვაძის მოთხრობის პერსონაჟია, მოთხრობისა, რომელშიაც ჩვენი ქვეყნისთვის საბედისწერო ეპოქის კატაკლიზმები ძალის განცდებითა და ემოციებით არის გადმოცემული. მყეფარის თვალით დანახული რეალობა განსაზღვრავს „ქულას“ მთავარ სიუჟეტურ ხაზს. ნაწარმოები მტკიცნეულად ასახავს ჩვენს თანადროულობაში გაბატონებულ ზნეობრიობისა და სულიერების კრიზისს, სადაც ადამიანებს დაუკარგავთ საკუთარი სახე და მხოსავი ემპირიზმის (აქ: სულიერ ღირებულებებს მოკლებული ეგრისტური ქმედება) ტყვეებად ქცეულან. ამ გაგანიაუტილიტარიზმის პირობებში თითქოს მხოლოდ ცხოველებშიღა შემორჩენილა ჭეშმარიტი ქართული ჩამომავლობაცა და ჯიშიც. სწორედ ამიტომაც ირჩევს ვანო ჩხილვაძე მთავარ პროტაგონისტად კეთილშობილური სისხლის მქონე ქათულ ნაგაზს.

უახლესი ქართული ლიტერატური-

სათვის უცხო არ არის მთავარ მოქმედ პირად ძალის შემოყვანა. ზოგადკავკასიური წარმოდგენით, ძალს მხოლოდ კონკრეტული ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული – ის ან დარაჯი იყო, ან – მაძებარი. ამგვარ ხედვას მკვეთრად დაუპირისპირდა XX საუკუნის 60-ინელთა ქართული პროზა. ნოდარ დუმბაძის („ძალი“) თუ არჩილ სულაკაურის („ბიჭი და ძალი“) მოთხრობებმა ჩვენს მწერლობაში თემატური სიახლე შემოიტანა – ძალი ცენტრალურ ფიგურად აქცია და ადამიანური გრძნობების აღმისა თუ გამოხატვის უნარი მიანიჭა. ამ მოთხრობებში ძალი-პერსონაჟები მკაფიოდ ავლენენ თავიანთ შინაგან ბუნებასა თუ სიტუაციასა და მოვლენებთან შესაფერის ემოციურ დამოკიდებულებას. ამგვარ თემატიკას კიდევ უფრო აღრმავებს და აფართოებს ვანო ჩხილვაძის „ქულა“. მეტიც, აქ ქართული ჯიშის ნაგაზს კონკრეტული სიმბოლური დატვირთვაც აქვს, ოლონდ ამაზე ცოტა მოგვიანებით გვექნება საუბარი.

ვანო ჩხილვაძის მოთხრობა ერთ ჩანაფიქრს, ერთი საერთო იდეის წარმოჩენას ემსახურება. განსაცდელთა დაძლევის, ცოდვათა შეცნობისა და მონანიების გზით, ადამიანის/ერის გან-

წმენდასა და ზნეობრივ ამაღლებას ისახავს მიზნად. მოთხოვობაში, ავტო-რის გამონაგონთან ერთად, არაერთ რეალურ მოვლენასა თუ ფაქტს ამოიცნობს მკითხველი, რომელიც მხატვრულად არის გარდათქმული. მძაფრი ემოციური იმპულსით ირევა ერთმანეთში წარსული და ანმყო, რა დროსაც მკაფიოდ იგრძნობა მწერლის შემფოთება არსებული რეალობის გამო.

●

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძალი მხატვრულ თუ ცხოვრებისეულ სინამდვილეში ერთგულების, უდალატობის სიმბოლოდ მოიაზრება. სწორედ ასეთი ძალლია ქულაც, თუმც მისი ფერით – ქათქათა თეთრით – მწერალმა გარკვეული მინიშნებაც გააკეთა. თეთრი, როგორც სიმბოლოთა ლექსიკონი გვამცნობს (ზაზა აბზიანიძე, ქეთევან ელიაშვილი), უმანქოების, სიწმინდისა და ღვთაებრიობის სიმბოლოდ მოიაზრება სახარებასა თუ საზოგადოდ ქრისტიანულ სახისმეტყველებაში. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ქულას პატრონი სასულიერო პირია, რომელიც განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ზრდის მას, ხოლო როდესაც მამა პავლეს შესთავაზებენ, მეტი სიავისთვის, ყურები დააჭრას ნაგაზს, მოძღვარი კატეგორიულად შეიცხადებს: „ამის სიავე რაში მჭირდება, პირიქით, თვინიერი და ყველას მოყვარული მინდა იყოსო“.

მთელი ნაწარმოების განმავლობაში, ყველგან და ყველა სიტუაციაში, სწორედ ღვთისნიერი პატრონის ჰუმანურობა და კაცომოვარება ასაზრდებს ცხოველის ქმედებასა და ცნობიერებას: „თვალები შერჩა ძველებური, ნათელი, გულუბრყვილო. საკმარისი იყო, მღვდელს შუბლი შეეკრა და ქულაც მოიწყენდა, მკერდზე მიაყუდებდა ხავერდივით თავს და ზურგზე გადას-მულ მამა პავლეს ხელს გაუტვრინდე-

ბოდა, ნაცნობი სურნელით ტკბებოდა“.

●

მამულის მძაფრი განცდა – ეს მოთხოვობა „ქულას“ და, ზოგადად, ვანო ჩხიკვაძის შემოქმედების წამყვანი მოტივია. ქვეყნის სიყვარული, მასზე ზრუნვა და ფიქრი მწერალთან ერთი ნიშნის ქვეშ ერთიანდება და მკითხველს თვითჩაღრმავებისკენ მოუწოდებს.

მოთხოვობა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ცხოვრების მხოლოდ ერთ, კონკრეტულ მონაკვეთს არ ასახავს, ამიტომაც ეს ნაწარმოები, კომპოზიციური სირთულიდან გამომდინარე, ქმნის შთაბეჭდილებას თემატური მრავალფეროვნებისა. მასში თითქოს საფეხურებად არის განლაგებული ჩვენი უახლესი ეპოქა – ტკივილითა და ტანჯვით აღსავსე წლები – XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისისა. თავიდან მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ მოთხოვობაში ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, შინაარსობრივად გათოშულ სიუჟეტთან გვაქვს საქმე, თუმც ფინალურ პასაჟებს აბსოლუტური სიცხადე შემოაქვს და ნათელი ხდება, რომ ამ ვრცელ თხზულებას ერთი საერთო იდეურ-აზრობრივი შინაარსი აქვს.

„ქულა“ 2008 წლის აგვისტოს ომის უმძიმესი ამბების თხრობით იწყება, რასაც ბუნებრივად ერწყმის დროში უკან დახვა, XX საუკუნის 90-იანი წლების ავბედითი პერიოდის რეტროსპექტივა თუ გლობალური გამოწვევების ქაოსში გახვეული ჩვენი თანადროული ყოფითი რეალობა.

მოთხოვობა ერთგვარ კინოქრონიკას ჰგავს, სადაც ჩვენ თვალწინ კიდევ ერთხელ ცოცხლდება ყველა ის უბედურება, რაც ბოლო ათწლეულებში დაატყდა თავს საქართველოს და რომელიც დიდ-ხანს დარჩება ქართული საზოგადოების დაფიქრებისა და განსჯა-გაანალიზების თემად.

●

მკითხველზე განსაკუთრებულ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს ძალლი ქულა. კაცთა სიძულვილში გაუჩვეველს, ადამიანებზე უფრო მეტად გაუჭირდა ომის დაწყებისას – ზოგადად მიმნდობი, დაიბნა და გაირიყა. ქულა, თუ შეიძლება ითქვას, ანთეოსის კომპლექსმა შეიძყრო – როგორც კი მშობლიურ გარემოს მოსწყდა და ეკლესის ზარების საამო, ურუანტელისმომგვრელი ხმებიც ავისმომასწავებლად ჩაჩუმდნენ, თითქოს სადღაც დაიკარგა მისი შინაგანი სიძლიერეცა და თვითგადარჩენის ინსტინქტიც.

ყოვლისმომცველ ქაოსში გახვეული ქულა უმიზნოდ და უმისამართოდ ინწყებს წანწალს. ბოლოს შიმშილის დაუკებელი გრძნობა მტრის სამხედრო ბაზაზე ამოაყოფინებს თავს. ამ მომენტიდან იწყება მოთხრობის უმთავრესი მხატვრული თავისებურება – ძალლის თვალით დანახული გარესამყარო და მომხდურის სახე ამ სამყაროში.

„ქულას“ აუტორი არ მიაწერს ძალლს ადამიანურ თვისებებს. აქ ცხოველის გაადამინურობასთან არ გვაქვს საქმე, მსგავსად ბუნების გასულიერებისა, რომლის არაერთი ბრწყინვალე ნიმუში იცის ქართულმა მწერლობამ. ქულას ყოველი მოქმედება გაპირობებულია მისი შინაგანი ინსტინქტით. მეტიც, ეს უკვე ინსტინქტი კი არა ცნობიერებაა, რომლის მეშვეობითაც გრძნობს ხიფათს, თავს აღწევს გამოუვალ მდგომარეობას და ასხვავებს მტერ-მოყვარეს.

ვანო ჩეკივაძე, თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული სტილით, არსებითად, რეალური სინამდვილის მხატვარია, ესაა ოღონდ, მასთან რეალობა ხშირად, ქვეტექსტებისა და მინიშნებების მეშვეობით, შინაარსობრივად გაღრმავებული და მკვეთრად გამძაფრებულია, რაც უდავოდ აძლიერებს ტექსტისადმი მკითხველის აზრობრივსა და ემოციურ დამოკიდებულებას. „ქულაში“ ემოციას

ისიც ამძაფრებს, რომ, როგორც ითქვა, მწერალი ცხოველის ინტუიციურ-ასოციაციური აზროვნების მეშვეობით გადმოგვცემს სათქმელს. გავიხსენოთ, როგორ არის დახატული ომის შედეგად დაცარიელებული სოფლის ავისმომას-წავებელი სიჩუმე, რასაც ნაგაზი ადეკვატურად და ძალზე ემოციურად აღიქვამს: „დაცლილი სახლების, კარ-მიდამოს, ბალჩებისა და ბაღების, სოფლის სალაყბოების შემაშფოთებელი დუმილი გამეფდა, რომელიც თან თითქოს ხმაურობდა, მოსვენებას უკარგავდა [ქულას]... ანკმუტუნდა, მკერდიდან გაბმულმა ყმულმა ამოხეთქა. მოთქვამდა, მაგრამ ვინ იყო მისი მომსმენი და ჯავრის გამზიარებელი“.

ქულას ყნოსვის ორგანოებს მკვეთრად აღიზიანებს მყრალი, აუტანელი სუნი. სწორედ ამის მეშვეობით გრძნობს, რომ საძულველი მტრის ბანაკში მოხვდა: „ბათინკების და ბათინკის ყელში ჩატანებულ ყვითელ-მწვანე სამხედრო შარვლებს ოფლის, ვაქსის და კიდევ რაღაცის გულისამრევი სუნი ასდიოდათ“. გვიან მიხვდა ნაგაზი, რისი სუნი იყო ეს: „ამის მსგავსი სუნი იქ, მინდორში, შეიგრძნო პირველად, დაფლეთილ კაცს რომ ეწვა გვერდით – გადამსკდარი კიდურის ძარღვებიდან სისხლმა და ოხშივარმა რომ იფეთქა“.

მომხდურთა ველურ ჟინსა და ტეპერამენტზე მეტყველებს მათი ქცევაც: „მაგიდა ახმაურდა, თუნუქის ჯამებს კოვზები შეესივნენ, ვიღაცები თავშეუკავებელი ხრუპუნით ნთქავდნენ წვნიანს, მაგიდის ქვეშ კი, ქულას ირგვლივ თავმოყრილი, პატრონების ემოციებს აყოლილი ბათინკები ტოკავდნენ, ცმუკავდნენ, თითქოს ადგილს ვერ პოულობდნენ... ბათინკები ყაყანებდნენ, ბრაზდებოდნენ, იღრინებოდნენ, იმუქრებოდნენ...“

გამხეცებული მტერი ქართული ჯიშის ნაგაზზე იყრის ჯავრს. ქულას სხეულზე მიყენებული თითოეული დარ-

ტყმა ქართველების მიმართ გამოხატულ ზიზლსა და სიძულვილზე მეტყველებს.

როცა ქულას უცხო ჯიშის ნაგაზთან, ე.წ. ავჩარკასთან აჩხუბებენ, აქაც ქართველების მიმართ სიძულვილს გამოხატავენ. ლმობიერ ქულას თავიდან გაუჭირდა ავ და სასტიკ ქოფაკთან ორთაბრძოლა. სითბოსა და სიყვარულში გამოზრდილს ვერაფრით აეხსნა, რატომ ავლენდნენ მის მიმართ ასეთ ზიზლსა და დაუნდობლობას. გაცოფებული მტერი, რომელიც გაგულისებით უქსევდა ქულას კბილებდაღრჭენილ ავჩარკას, არაფრით განსხვავდებოდა სისხლის სუნს დახარპებული მხეცისაგან: „სისხლნანას სამხედროებს თუ არაფორმალ მოხალისეთა ჯგუფებს ომის გაგრძელება, ხორცის გლეჯა და კბენა-ღრენა სწყუროდათ, რადგან ეშ-ხში რომ შევიდნენ და „გემო“ გაუგეს, ომი სწორედ მაშინ შეწყდა“. ასმაგად გაბოროტებულებმა, ქართველები რომ ვეღარ მოიხელთეს, ქართული ჯიშის ნაგაზზე დაიწყეს გულის მომხება – მისი წამება სანახაობად აქციეს, რადგან „ასეთი სანახაობა ერთგვარად დაუკებდათ, დაუცხრობდათ დაუკმაყოფილებელ ჟინს“. განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული ჩოფურა კი ისე არ ჩაუვლიდა დატყვევებულ, პალოზე გამობმულ ქულას, რომ მისთვის „ბათინების“ ჭვინტი არ ეთავაზებინა. მეტიც, თავისი სიმხეცეაშლილი ჟინი რომ დაერკებინა, მეტისმეტი სიამოვნებით დამდულრა საცოდავი, დაუცველი პირუტყვი. ამიტომაც არის ჩოფურა ნახევარსახიანი. ის, ზოგადად, მომხდურს განასახიერებს, რომელსაც ადამიანური სახე წაშლილი აქვს. ამ მონდოლოიდური წარმოშობის, კაცის ტყავში გახვეული ეშმაკის ვიწრო თვალებიდან აშკარად გამოსჭვივის, რომ მისთვის სრულიად უცხოა სიტყვა – კაცომყვარეობა. მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს – რაც შეიძლება ბევრი სისხლი

შესვას ქართველებისა. ამიტომაც არის ის ზეზეურად ამყრალებული, ამიტომაც უდის აქოთებული სუნი მის საავ-კაცო გზებზე ნათრევ ფეხებს. სწორედ ამ „ბათინკიანი“ ფეხებიდან იწყებს ქულა შურისძიებას – იმ კოჭისძვლებს უმსხვრევს მტარვალს, რომლითაც მოინდომა ქართველების გასრესვა: „ქულასაც თანდათან აემღვრა თვალები, გაახსენდა ყველაფერი, მიძინებულმა ინსტინქტმა მოულოდნელად გაიღვიძა, ზიზლმა ზიზლი შობა, გულ-მუცელში დაგუბებული მრისხანება მთელ სხეულში გაუჯდა, აჯაგრა, იგრძნო ენერგიით დაბურთული ვება თათები, აქამდე ამოუთქმელი ყეფა ტალღასავით მოაწვა ყელში, მოაწვა და ისეთმა ავის-მომასწავებელმა ბუხუნმა ამოხეთქა... ჩამხმარი ყამირი უკანა ფეხების ღონიერი გასმით აამტვერა... მაგრამ გეზი შეიცვალა და, მოულოდნელად, ავჩარკის მაგივრად, ჩოფურას ეცა – ჯერ ერთი ბათინკი გაგლიჯა, მერე წაფორხილებულ კაცს მეორე ბათინკის ყელში ჩაფრინდა, ყბები მაგრად მოუჭირა და კბილებმა კოჭის ძვლები „გაიარეს“.

ქულა თავდაუზოგავად იბრძვის თავისუფლებისათვის. ის არა მარტო ქვეყნის ბედის თანაზიარი ხდება, მეტიც, თავად განასახიერებს საქართველოს.

მოთხოვთაში აშკარად საცნაურდება მწერლის ჰუმანურობა. ვანო ჩხიკვაძე, ჟღალნვერიანი მზარეულის სახით, გვიჩვენებს, რომ გამხეცებული მომხდურის ბრძოშიც კი შეიძლება იყოს კაცომყვარე, კეთილშობილი ადამიანი, რომელიც თავის კუთვნილ ხორცის ნაჭერსაც კი უზიარებს ქულას და მის მიმართ განსაკუთრებული სითბოთიც გამოიჩინება. მეტიც, ის კარგად იცნობს ქართველთა ბუნება-ხასიათს და ავ ვნებებს აყოლილ ქართველთმოძულებებს გონიერებისაკენ მოუწოდებს: „ქართულ წაგაზთან ხუმრობა არ შეიძლება!“

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წარმოებში ოსი მტრად არ არის მოხ-

სენიებული. მწერალი ზოგადად ერიდება რომელიმე ეროვნების პერსონაჟთა აუგად ხსენებას. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ კონკრეტული ნაძირლები მთლიანი ერის სახეს არ ნარმოადგენენ. თვით საძულველ ჩოფურასაც კი არა აქვს ეროვნება. ის არც ოსია, არც – სუფთა სისხლის რუსი. ამიტომაც სახელიც კი არა გააჩნია. ავტორი მისი წვრილი თვალებით, ყვრიმალებამობერილი სახითა თუ მომცრო ტანით რუსულ-მონღლოლოიდურ პიბრიდულობაზე მიანიშნებს. რამ განაპირობა ამ პერსონაჟის ნანარმოების სიუჟეტში შემოყვანა? ამით მწერალს იმის ხაზგასმა სურს, რომ ეს მონღლოლოიდური არსება გადამთიელია. მისთვის უცხოა არა მარტო ქართული ან ოსური, არა-მედ ყოველივე ზოგადკავკასიური: ბუნებაც, ადამიანებიც, მათი ტრადიციებიც, ღირსეული მტრობაც და, რაღა თქმა უნდა, ერთობაც. ის ქართველთა და ოსთა ერთობის დასანგრევად მოსულა და გამუდმებით სწყურია სისხლი. ეს ორსახოვანი იანუსი კრეიისერ „შმიდტის“ კაპიტანს, კუზმა კილგას გვაგონებს ლეო ქიაჩელის მოთხოვობიდან „ჰაკი აძბა“. ჩოფურას სახე ზედმიწევნით ჰგავს ასეთსავე მტარვალის, მომხდურისა და კაცთმოძულე კილგას ნახევარსახეს:

„რომ გაიცინა, ცეცხლით თუ მდუღარე წყლით დამწვარი პროფილე და-ეჭმუჭნა, თითქოს ერთის ნაცვლად ორი სხვადასხვა ადამიანი მიყურებდა“ („ქულა“).

შდორ:

„ამ კაცის ერთ ტანზე ორ პირისახესა და თვალებს ხედავდნენ... სახის ეს კან-შემოქმული ნახევარი უძრავი და უცვლელი იყო, სულ ერთნაირი გამომეტყველების მქონე, რომელიც უცვლელად უსასტიკესი რისხვის გამოხატულებას ატარებდა“ („ჰაკი აძბა“).

●  
ქულას ცხოვრების პირველი ეტაპი მტრის ბანაკიდან გაქცევით სრულდება. ნანარმოებში ვკითხულობთ: „ბოლო დღეების სატანჯველმა ქულა თითქმის თავიდან შობა“. ამის შემდგომ მოქმედების არეალი ლიახვის ხეობიდან თბილისში ინაცვლებს და ტანჯვის ქურაში გამოწრობილ ნაგაზსაც წინ ახალი განსაცდელი ელის.

ქულას დედაქალაქში ჩამოსვლის შემდეგ მოთხოვობის სიუჟეტში სიტუაცია რადიკალურად იცვლება. თუ პირველ ნანილში გადამთიელი მოდის საქართველოს სისხლის სახვრეპად, მეორე ნანილში თავად ქართველივე ხვრეპს მას ჩვენი ქვეყნის ისედაც დაცლილ-გამომხმარი სისხლძარღვებიდან. აქ თითქმის მთელი საზოგადოება ერთნაირად დეგრადირებულია. ამიტომაც ამბობს ქულას ახალი პატრონი მახო: „არაკაცი ვიყო, ამის [ქულას] კეთილშობილება თუ ჩვენი ქალაქის მოქალაქეების ოთხმოცდაათ პროცენტს ჰქონდეს“.

როგორც ითქვა, საკუთარი მიწანყლიდან გამოძევებული, ნატანჯ-ნანამები ქულა ალეგორიულად ჩვენს თანადროულ საქართველოს ასახავს. მტრის კლანჭებიდან ვაი-ვაგლახით თავდალწეულ მყეფარს თბილისში ტანკების გრუზენისა და ავტომატების კაკანის ხმა აღარ ესმის. აქ, ერთი შეხედვით, სიმშვიდეს დაუსადგურებია, მაგრამ ამ მოჩვენებით სიმშვიდეში უფრო დიდი განსაცდელი ელის ნაგაზს – კასტრაცია! ამ კასტრაციის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები კი ჩვენი „კეთილისმყოფელები“ არიან, რომელთაც არ დაზარებიათ და საქართველოში გახსნილი საძალლის შესამოწმებლად ევროკომისიის წარმომადგენელი მოუვლენიათ. მანანწალა ძალების უფლებადამცველი თავგამოდებით ცდილობს დაარწმუნოს ქართველი საზოგადოება, რომ ცხოველების დასაჭურისება ჰუმანური აქტია, ანუ,

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი მისის შინაარსი ასეთია – იცოცხლე, მაგრამ გადაჯიშდი!

მოთხოვძაში განვითარებული დრა-მატული მოვლენების ფონზე აშკარად თვალშისაცემია ავტორის სარკასტული ტონი, რომელიც ევროპელი კურატორების ჩვენდამი დამოკიდებულებაში ვლინდება: რადგან უპატრონო ცხოველებზე ზრუნვა დაიწყეთ, ეს ადასტურებს, რომ თქვენი ქვეყანა მზად არის ნამდვილ, საკაცობრიო ფასეულობებს უერთდებოს.

საძალლე ქვეყნის მიკრომოდელია: „ზუსტად ადამიანებივით იქცევიან [ძალლები] – ჰყავთ რჩეული, რომელსაც ემორჩილებიან, ელაქუცებიან, საჭმელ-თან პირველს უშვებენ, ზოგჯერ უჯანყდებიან კიდეც. ჩამოაგდებენ ტახტიდან და არის ერთი შეხლა-შემოხლა... სუსტი აქაც დაჩაგრული და უუფლებოა...“ საძალლეში დაუნდობლად „იღვწიან“ მამრების გადაჯიშებისათვის. აქ უკვე ორი უკიდურესობა იჩენს თავს: რომელი რომელს სჯობს – მტრის ხელით სიკვდილი თუ „მოყვრის“ ხელით გადაგვარება?! აი, ასეთი დილემის წინაშე აღმოჩნდება ქულა (ქვეყანა), რომელსაც დაცვა და მოვლა-პატრონობა სჭირდება. მოთხოვძაში ასეთ დამცველად მალხაზ ფერაძე გვევლინება.



მალხაზ ფერაძე იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც საკუთარ თავზე ინვნია ჩვენი უახლესი წარსულის ყველა უბედურება. ოდესლაც სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლს საკუთარი ხალხის ზნედაცემულობამ ერთბაშად წაართვა ცხოვრების ხალისი. მის სულში ყოვლისმომცველმა სკეპსისმა და უიმედობამ დაისადგურა, ყოველივე ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ სასმელს მიეძალა და თავით გადაეშვა იმ ჭაობში, რომელმაც ქართველი ახალგაზრდობის უდიდესი წანილი ან

შთანთქა, ან დაუნდობლად აყურყუმელავა თავის ამყრალებულ წიაღში.

ვანო ჩხიკვაძე კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ავადსახსენებელ 90-იან წლებს. ტექსტში თანმიმდევრულად არის ასახული ის მტკიცნეული პროცესი, თუ როგორ იხრწნებოდა ჩვენი საზოგადოება. ამ პერიოდის დაწვრილებით აღწერა აფიქრებინებს მკითხველს, რომ „ქულაში“ გადმოცემული ამბები უკვე კარგად ნაცნობი ძველია – გაცვეთილი და გადაღეჭილი, მაგრამ საგულისხმოა, რომ მოცემულ მოთხოვძაში საქმე გვაქვს მრავალშრიან და მრავალგანზომილებიან სიუჟეტთან, რომელიც თითქოს პატარ-პატარა რგოლებად ნაწილდება, სადაც თავმოყრილია სევდითა და ტკივილით აღსავსე ჩვენი უახლესი წარსულიც, აწმყოც და ჯერ კიდევ გაურკვეველი მომავალიც. კვანძის გახსნის შემდეგ ეს „რგოლები“ ერთიანდება და მოთხოვძაში იდეურ-აზრობრივი შინაარსის ერთი მთლიანი ჯაჭვი იქმნება.

„ქულა“ იმ ყაიდის ნაწარმოებია, რომლის ქრონოტოპიც მთლიანად ზოგადეროვნული სატკივრით არის გაჯერებული. აქ ფოტოგრაფიული სიზუსტით არის ასახული წარკომანიის, ლოთობისა და უსაქმერობის ტყვეობაში მოქცეული ქართული საზოგადოების სასტიკი რეალობა. მალხაზ ფერაძის თვალებდასიებული თანამეინახეების სახეებში მკითხველი უმალ ამოიცნობს ჩვენი „დაკარგული თაობის“ ზოგად სახეს, დროისა და გარემოების სამსხვერპლოზე რომ აღმოჩნდნენ. ყოველივე ამას რელიეფურობას სძენს კიდევ ერთი პერსონაჟი **რობე**. ახალგაზრდა კაცი იმდენად გადაუგვარებია სასმელს, საკუთარ ფოტოსურათს ვეღარ სცნობს და მის შესანდობარს სვამს. არ ვიცი, რამდენად შეიძლება ვუწოდოთ ამ ფაქტს სიტუაციური კომიზმი ან რა სახელი უნდა მოუქებნოთ იმას, რომ ადამიანს ისე დაუკარგავს საკუთარი სახე, ფხი-

ზელი თვალით ვეღარ იყურება და მხოლოდ სათანადო „დოზის“ მიღების შემდეგ ხვდება, რომ მახოს მიერ ნაჩვენებ ფოტოზე ვინმე ახლახან გარდაცვლილი მისი სეხნია კი არა, თვითონ რობეა გამოსახული, ოღონდ ამჟამინდელ რობეს აღარაფერი აქვს საერთო ფოტოსურათიდან მომზირალ ჯანსაღ კაცთან. არადა, სიუჟეტის განვითარების პროცესში თანდათან ვრწმუნდებით, რომ რობე კეთილშობილი, სამართლიანი და ვაუკაცური პიროვნებაა, რომელიც დროისა და ვითარების მსახვრალმა ხელმა გადააგვარა. რობე, მახოსთან ერთად, აქტიურად იბრძვის ქულას გადარჩნისათვის – იცავს ძაღლს და ზრუნავს მასზე.



როგორც აღინიშნა, „ქულას“, მხატვრულ გამონაგონთან ერთად, ექსპრესიულობას მატებს უახლოეს წლებში ჩვენს ქვეყანაში არსებული განუკითხაობისა და ქაოსის ამსახველი რეალისტური სურათები. აქ ბევრი ჩვენთვის კარგად ნაცნობი თუ უცნობი პერსონაჟია, რომლებმაც „საქართველოს სახელით“ მიჰყვეს ხელი ქვეყნის ნგრევას; აქ ყავლი გასვლია თავისმოსაწონებელ პოეტურ პათეტიკას: „სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი“. შევადაროთ ახლა ამას ვანო ჩხილვაძის მოთხრობის პერსონაჟის სიტყვები: „სულ ნანილ-ნანილ გაყიდული სამშობლო გვაქვს... ამ ნაკუნებს ვინ შეკრებს და შეაკონინებს ანდა რა „ნებო“ ეყოფა...“ ფსევდოპატრიოტებისა და „უცხო ქვეყნის მიერ დავერბორებული“ მაღალი ჩინის აგენტების საქციელმა ათქმევინა მაღხაზ ფერადეს: „როცა სიყალბები ანგრევენ ქვეყანას და ადამიანთა სულებს, მიდი და გამოადექი“. სწორედ ასეთმა ადამიანებმა მოუსპეს მახოს თაობას ცხოვრების ხალისი და მოქალაქედ ყოფნის განცდა. ტექსტში თვალნათლივ ჩანს,

რომ საზოგადოებისთვის უცხო გამხდარა პიროვნული მეობის განცდაც და ეროვნული ერთიანობის გრძნობაც. ასე რომ არ იყოს, ქვეყნის პრეზიდენტის მეხოტებენი ძნელბედობის უამს ორად გახლებილი ქვეყნის ბედზე ზრუნვით დაკავდებოდნენ და არა იმაზე ფიქრით – სახელმწიფოს პირველი პირის სამეცნიერო სტატია ევროპის რომელ ქვეყანაში ითარგმნა. ერთი სიტყვით, ქვეყნის დაქცევაში მტერს არც თავად ქართველები უდებენ ტოლს. ამიტომაც არის ნათქვამი მოთხრობაში: „ქართველებთან ომი რა საჭიროა, მივცეთ, რაც შეიძლება მეტი ნარკოტიკი და თავისით გადაშენდებიან“.

ულიორსებო, ზნედაცემულ ადამიანებს განასახიერებენ ძმები ხახიშვილები. მათგან ერთ-ერთმა, ჭინკამ, საკუთარი და ე.ნ. ზალოგში დაუტოვა ნარკომოვაჭრე მტერს, მეორემ კი, ახალ დროებას მორგებულმა გაქსუებულმა ბიზნესმენმა, გროშიც არ გაიღო საიმისოდ, რომ ღვიძლი და თავისზე უფრო ნაძირდებისაგან გამოესყიდა. გარდა ამისა, ქულა მოაწამვლინა და სასიკვდილოდ გაიმტა დაუცველი ნაგაზი. სწორედ ასეთების შესახებ ამბობს მახო: „გაბოროტებულების, ყველაფრის მკადრებლების მთელი არმია!.. ტექნიკური ცივილიზაცია წინ მიდის, ჩვენი ზნეობა კი...“

სულისშემძვრელია ხახიშვილების დის ისტორია. ეს ქალი მალხაზ ფერაძეს უყვარდა, ამიტომაც ორმაგად შეურაცხყოფილი მახო იძულებული ხდება, მომხდურის დამამცირებელი ცინიზმი აიტანოს: „ვალი თუ მოიტანეს, გაგატანთ, ცოლად ხომ არ წავიყვანთ, თანაც რომელმა უნდა ვირგუნოთ, აქ ყველანი სიძეები ვართო“. ამ შემაძრნუნებელ ეპიზოდში ყველაზე მტკივნეული და გამაოგნებელი ის არის, რომ თავად ქართველებმა მისცეს მტერს დაცინვისა და საკუთარი თავის აბუჩად აგდების უფლება. როცა მახოს ხახიშვილების და

მოჰყავს, ამბობს: „ასე მეგონა, ის კი არა, დაჩენჩხილი, შეურაცხყოფილი, გაუპატიურებული საქართველო მოგვყავდა“, – ეს არ არის სასახვათაშორისოდ ნათექვამი ფრაზა. ამ სიტყვების მიღმა კიდევ უფრო ღრმა ქვეტექსტი და სატკივარი იმაღება. ეს ნაწამები, გაუპატიურებული და შეურაცხყოფილი ქალი ქვეყნის სამწუხარო სიმბოლოა, მსაგვსად მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებისა“ და ოთარ ჭილაძის რომანის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ პერსონაჟი ქალებისა. მარგო და ანა – შეურაცხყოფილები, უუფლებოები და დაბეჩავებულები ამ თხზულებებში, ალეგორიულად, დამცირებული ქვეყნის სახეს განასახიერებენ. ანალოგიურ მიდგომასთან გვაქვს საქმე ვანო ჩხიკვაძის „ქულაშიც“. ხახიშვილების ნამუსაყრილი და დამცირებული, დამარცხებული, მტრისა და მოყვრისგან ერთნაირად განწირული საქართველოს სახეა. ეგებ ამიტომაც აერიდა მწერალი კონკრეტიკას და მოთხრობის ამ პერსონაჟს სახელი არ დაარქვა. მახო ფერაძეს ხელში ატატებული მოჰყავს ოდესლაც საყვარელი, ან კი მისთვის უკვე მიუღებელი ქალი და გულდაწყვეტით ამბობს: შეურაცხყოფილი, გაუპატიურებული საქართველო მოგვყავდაო. ქართველების ზნედაცემულობით, მათი დაკანინება-დამცრობით გახალისებული მომხდურები კი ორ მწკრივად ჩადგნენ და გაუბედურებული ქალის ნასაყვანად მისულ ქართველებს სულ სიცილ-ხარხარში ჩაათავებინეს „სირცხვილის დერეფანი“.



ნაწარმოებში აღნერილი ყოფა ქაოსითა და პანიკით არის მოცული. ამ დრო-სივრცულ ალიაქოთში თითქოს აპოკალიფსის უამი დამდგარა. აქ ერთმანეთში ირევა სამშობლონართმეული კაცის მოთქმა და მომხდურის ღრენა-ღავლავი; ტანკების გრუბუნისა და ყუმბარების აფეთქების ხმას დაუცველი, დაბნეული ლიახვისპირელების ვაი-ვიში

ერწყმის; პანიკა და შიში წარმართავს მოხუცებული თომას ქმედებასაც მასთან თავშეფარებული ქართველი რეზერვისტის დაუნდობლად ცემის დროს. ეს კიდევ ერთი გაუგებარი და გაუგონარი ეპიზოდია ჩვენი უახლესი რეალობისა – უიარალო, გამოუცდელი ყმანვილების ომში გაგზავნა და ღვთისანაბარა, უპატრონოდ მიტოვება. ამიტომაც დაუკარგავთ მოთხრობის პერსონაჟებს ადამიანების მიმართ რწმენა და კეთილშობილებას მხოლოდ ნაგაზებშიღა ხედავენ: „სწორედაც ცხოველებშიღა უფრო შემორჩა ჯიშიცა და ჯილაგიც... აბა, ჩვენს პატრონებს რა ეტყობათ ან ერთი, ან მეორე!.. ბედის ანაბარად ამ კაციჭამიებს შეგვატოვეს“.

აქ საერთო ფონს ღირსებადაკარგული საზოგადოების ზნედაცემულობა, ურწმუნოება, სკეპსისი და ღვთისგან განდგომა ქმნის. სკეპსისმა მოიცვა მალხაზ ფერაძეც, რომელიც სულიერი განწმენდისა და ზნეობრივი ამაღლებისთვის მონასტერში წავიდა, მაგრამ რწმენის სიმტკიცემ უდალატა – როგორც კი თანამეინახები დაინახა, მაშინვე პირვანდელ ცხოვრებას დაუბრუნდა. ამიტომაც ამბობს სინანულით: „ვიყავი სავლე, მაგრამ ვერ გავხდი პავლე“. ამის შემდეგ კი მის სულს ბირკასავით მოედონ უიმედობა.

ცხოვრებისადმი მახოს ნიჰილისტურ დამოკიდებულებას რადიკალურად ცვლის ქულასთან შეხვედრა. მისი მეტამორფოზა ქართული ჯიშის ნაგაზის გამოჩენამ გამოიწვია; მასში პასუხისმგებლობის გრძნობა იღვიძებს – ხვდება, რომ ქულას სასწრაფოდ თუ არ უშველის, კაცთა მოდგმის მახინჯ იდეებს შეწირული ჩვენი ქვეყანა სამუდამოდ გადაგვარდება და გადაშენდება. „მონინავე ქვეყნებში აპრობირებული მეთოდის შესაფერისი გადაწყვეტილებით“ (კასტაციით) იმ უსახელო, უუნარო, პოტენციადაქვეითებულ ხროვად გადაიქცევა, მოთხრობის საძალლეში

რომ ბინადრობს: „მათთვის არც წარსულია და, რა თქმა უნდა, აღარც მომავალი. უმეტესობა ერთნაირად გაზანტებული დადის თუ დალასლასებს.

ღვიძავთ და მაინც თვლემენ“. ივლის მერე ასე მთელი საქართველო – დალდასმული, „დაპეტლილი ყურებით“ (ჩიპებით?!). ასე რომ არ მოხდეს, ქვეყანას აუცილებლად ესაჭიროება მხსნელი და პატრონი. ასეთი, როგორც არაერთგზის აღინიშნა, მალხაზ ფერაძეა – სულიერად განახლებული და სახარების მადლით მოსილი. აკი ამბობს კიდეც – ციხეში ბიბლიამ გამაძლებინაო. ამ მეტამორფოზაში მას სახარება დაეხმარა – სარწმუნოება და ქულა, რომლის დამცველად და პატრონადაც იგრძნოთავი. აქედან იწყება მისი ფერისცვალება. ასე იქცა ცოდვილი სავლე პავლედ, რითაც კეთილშობილ, ღვთისმოსავ მამა პავლეს დაემსგავსა. სწორედ ეს მსგავსება განაპირობებს, რომ მასოს ყოველი მოფერება ქულას ცნობიერებაში თავისი პირვანდელი პატრონის ალერსის ასოციაციას იწვევს. მისთვის ეს ორი ადამიანი – მამა პავლე და მალხაზი ერთმანეთს შეერწყა, გაერთიანდა და ერთ მთლიან არსებად იქცა.

როგორც დასაწყისში აღინიშნა, ქულა იმთავითვე სისპეტაკესა და ღთაებრიობასთან არის დაკავშირებული – მისი თეთრი, ქათქათა ფერი სინმინდისა და ღვთაებრიობის სიმბოლოდ მოიაზრება. მამა პავლეს ყოველი გახსენებაც მისთვის ზებუნებრივ სინათლესთან ასოცირდება. ამიტომაც არ არის შემთხვევითი ქულასთან ურთიერთობამ რომ განაპირობა მალხაზ ფერაძის სულიერი და ზნეობრივი ამაღლება.

ნაგაზზე ზრუნვამ ცხოვრების ხალის და სიყვარული დაუბრუნა მალხაზს.

მას ერთბაშად შესძაგდა მარტოობაცა და თავისი უაზრო, უშინაარსო ყოფაც – ოჯახი მოუნდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს.

ღვთისა და მამულის სიყვარული იქცა ორიენტირად მახო ფერაძისათვის. დეგრადირებულმა მახომ წარსულში ვერ შეძლო უმწეო ქალის დაცვა და პატრონობა, მაგრამ სულიერდ გარდაქმნილმა, ყოვლისმომცველი ღვთაებრივი სიყვარულითა და რწმენით აღვსილმა ბოლომდე დაიცვა ქულა – მამა პავლესთან ერთად, სულზე მიუსწრო მას და ხელიდან გამოგლიჯა ნაგაზი მისი კასტრაციის მსურველთ. გულუბრყვილობა იქნება იმაზე ფიქრი, რომ ქულას დასაჭურისება პირდაპირი მნიშვნელობით გავიგოთ. აქ გაცილებით ღრმა ქვეტექსტთან გვაქს საქმე. ქულამ/ქვეყანამ თავი უნდა დაიხსნას, როგორც ლიახვისპირს შემოსული მტრისგან, ისე კასტრაციის/გადაჯიშების მოსურნე „მოკეთებისგან“. ამისათვის მისი პატრონი/საზოგადოება ჯერ ცოდვის მორევიდან უნდა ამოვიდეს, ზნეობრივად ამაღლდეს, რწმენის გზას დაადგეს და პასუხისმგებლობით განიმსჭვალოს; სხვისი მოიმედე კი არ იყოს, ისევე იხსნას და უპატრონოს ქვეყანას, როგორც მამა პავლემ და მალხაზ ფერაძემ იხსნეს ქულა განსაცდელისგან. ამიტომაც შეიძლება იმის დაბეჯითებით თქმა, რომ ქულა ვანო ჩხიკვაძის მოთხოვნისაში ორ წყალს შუა მოქცეულ ჩვენს ქვეყანას განასახიერებს, რომელსაც, თუ არ ვუპატრონეთ, იმ მამაპაპეული გზიდან გადახვევა ემუქრება, ჯერ კიდევ VIII საუკუნეში იოვანე საბანისძე „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“ რომ უწოდა.

## ლევან ბრეგაძე

### სონეტი და რობაი

#### რაულ ჩილაჩავას შემოქმედებაში

რაულ ჩილაჩავას მდიდარი და მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედება ორიგინალურ, თამამ, მახვილგონივრულ მხატვრულ-მეტაფორულ აზროვნებასთან ერთად, დახვეწილი სალექსო ტექნიკით შესრულებული პოეტური ტექსტებითაც იქცევს ყურადღებას. ენის არაჩვეულებრივი გრძნობა და ვერსიფიკაციული ოსტატობა პოეტს საშუალებას აძლევს, წარმოაჩინოს ქართული სიტყვისა და ლექსის მოულოდნელი შესაძლებლობები და პოეტური ხელოვნების მაღალესთეტიკური ნიმუშები შექმნას.

საუკუნოვანი ტრადიციების მქონე მყარი სალექსო ფორმებიდან რაულ ჩილაჩავას განსაკუთრებულ ინტერესს ევროპული სონეტი და აღმოსავლური რობაი იწვევს. მას რამდენიმე ათეული სონეტი და რობაი აქვს დაწერილი, რომელთაგან ჩვენ ამჟამად იმათ გამოვარჩევთ, რომლებსაც ჩვენი ეპოქის დალი ატყვიათ, ფორმით ან შინაარსით რამდენადმე განსხვავდებიან ტრადიციული სონეტისა და რობაისაგან.

რაულ ჩილაჩავას ზოგიერთი სონეტის უკვე სათაური მეტყველებს, რომ უძველესი სალექსო ფორმის ახლებურ ვერსია-ვარიაციასთან გვაქვს საქმე: „ტკბილქართული სონეტი“, „გამომწვევი სონეტი“, „უსასოო სონეტი“, „მოკლე სონეტი ახოვან ქრისტაფის“ და სხვ.

ერთობ ორიგინალურ მხატვრულ იდეას ეფუძნება „ტკბილქართული სონეტი“. ბოლო სტრიქონის, ანუ ე.ნ. „სონეტის გასაღების“ გამოკლებით. იგი ქართული ტოპონიმების ჩამონათვალს წარმოადგენს. ლექსში არ არის არც ერთი ზმნა-შემასმენელი, არც „გასაღებში“ (ცხადია, სოფლების სახელები – აშენდა და არაშენდა – ზმნებად არ ჩაითვლება!), რის გამოც ამ სონეტს მეტსახელად „უზმნო სონეტი“ შეიძლება ეწოდოს:<sup>1</sup>

აბასთუმანი, აბედათი, დვირი,  
დმანისი,  
დიკლო, დიდგორი, დიხაზურგა,  
როშკა, კლდეკარი,  
სვირი, სუჯუნა, სართიჭალა, ზენი,

<sup>1</sup>უზმნო ლექსი ქართულად ადრეც დაწერილა. ასეთია ნოე ზომლეთელის (1889-1938) ცხრასტროვიანი ჯვარედინად გარითმული „საქართველო (მოზიკური სურათი)“, რომლის პირველი სტროფი ასე ჟღერს: „ბრინჯაო. კრამიტი. ვაზი და სურო. / შავი ქვა. ნახშირი. კვარი და ნავთი. / მარხილი. ურემი. ცული და ურო. / ნავი და ბორანი. ტივი და კავთი“ (ქართული... 1971: 48).

ზეკარი,  
ზანა, ზუგდიდი, ზენობანი, კურზუ,  
კრწანისი,

თაბორი, თაგო, თარიგონი და  
თამარისი,  
ურბნისი, ურთა, უშაფათი,  
ოხვამეკარი,  
ბაში, ბარლები, ბაღმარანი,  
ბაბალეკარი,  
აფშო, აშენდა, არაშენდა, არბო,  
აბისი,

თბილისი, თეზი, თეძმისხევი, თხინა,  
თაია,  
რუხი, მარტვილი, ჭითაწყარო,  
ხეთა, ალერტი,  
გრემი, იყალთო, ბახტრიონი და  
ალავერდი,

დიოსკურია, ვანი, გოჯი და ქუთაია,  
გაუნყინარი, გახომელა, თორსა,  
თონეთი  
და, ჰა, ყველაზე ტკბილქართული  
ჩემი სონეტი!

(ჩილაჩავა 2012: 305)

ეს სონეტი, უპირველეს ყოვლისა,  
ცხადია, ლექსიკური თვალსაზრისით  
იქცევს ყურადღებას. ტოპონიმების თა-  
ვისთავადი პოეტურობა კარგა ხანია  
შემჩნეულია. ამ მხრივ, მეტადრე ის ტო-  
პონიმები ჩანს შთამბეჭდავი, რომელთა  
სემანტიკა ბუნდოვანი ან სულაც უც-  
ნობია, რის გამოც ისინი იდუმალების  
ბურუსით არიან მოცულნი. ლადო ასა-  
თიანს ერთი ასეთი ჩანაწერი აქვს:

„კარგი სიტყვებია: ლაჯანური, ლაბე-  
ჭინა, ლეხიდრისთავი, ლეშკაში, ლალუ-  
მელა, ლეხიდარი, ლაილაში, ლარჩვალი,  
ლაჯანა, ლასხანა, ლახეფა, ლასურაში,  
– მთელი ლეჩეუმი“ (ასათიანი 1979: 264).

აქ ამ ტოპონიმებს, გარდა ლეჩეუმური  
წარმომავლობისა, „ლ“ ბგერაზე და-  
ფუძნებული აღიტერაციაც აერთიანებს,  
რაც მაგიური ტექსტების მსგავს ზემოქ-

მედებას ახდენს მსმენელზე. ამ მიზნით  
ალიტერიორებას რაულ ჩილაჩავაც მიმარ-  
თავს განსახილავ ლექსში: „ბაში, ბარ-  
ლები, ბაღმარანი, ბაბალეკარი“, „თბილი-  
სი, თეზი, თეძმისხევი, თხინა, თაია“ და  
სხვ., აქაც, გარდა კეთილხმოვანებისა,  
ალიტერაციები ირაციონალური გან-  
წყობის გაჩენასაც ემსახურება, ისევე,  
როგორც მაგიურ ტექსტებში ხდება ეს  
(მაგალითად, „სანავთე, სოფუთე, ჯანაფ-  
თა, ასამთა, თოფთა, თაქარ...“; „....ანთე,  
მანთე, სანთე, ხანთე, ოხტურ, ტაბახ-  
ტურ...“ (გაგულაშვილი 1986: 139).

ზემოთ ტოპონიმების თავისთავა-  
დი პოეტურობა ვახსენეთ. მათი ერთი  
ნაწილის სემანტიკის ბუნდოვანებით  
გამოწვეული იდუმალების გარდა, რაზეც  
ახლახან ვილაპარაკეთ, იგი (ეს პოეტ-  
ურობა) ტოპონიმებთან დაკავშირებულ,  
ასოცირებულ ისტორიულ მოვლენებსაც  
ეფუძნება, რომელთა ოდენ გახსენებაც  
კი ემოციათა ნაკადს აღძრავს (გავიხ-  
სენოთ ისევ ლადო ასათიანის „თორემ  
მტერს ისიც კი შეაშინებს, / ერთხელ  
ხმამაღლა რომ ვთქვათ – „მარაბდა“.–  
(ასათიანი 1979: 132).

ტოპონიმთა ამ თავისებურებებსა  
თუ შესაძლებლობებს ეფუძნება რაულ  
ჩილაჩავას ეს ორიგინალური ლექსი ში-  
ნარსობრივად.

ფორმით კი ის ყოვლად წესიერი სონ-  
ეტია:

ტაპები თოთხმეტმარცვლიანია (5/4/5),  
რაც ყველაზე შესაფერისი საზომია ქარ-  
თული სონეტისთვის, კატრენები რკალ-  
ური რითმითაა შესრულებული (აბბა) და  
მათში ორი სახის რითმაა გამოყენებელი,  
ანუ ოთხ-ოთხი რითმა-ტოპონიმია დაძე-  
ბნილი, ტერცეტები კი ასეა გარითმული:  
ცდდ ცეე; ყველა რითმა დაქტილურია,  
ისინი ან ზუსტია, ან ზუსტ რითმას მეტად  
მიახლოებული ასონანსებია; არც ერთი  
სიტყვა არ მეორდება (ამასაც ექცევა  
ყურადღება სონეტის შეფასებისას),  
სტრიქონის ბოლო ამავდროულად სინ-  
ტაქსური პერიოდის ბოლოც არის, ანუ არ

ხდება გადატანა, ანუანბემანი (თუმცა ეს პირობა ძნელი დასაცავი არ იყო ლექსში, რომელიც ტოპონიმების ჩამონათვალია). სონეტს აქვს ჩინებული „გასაღები“ – ბოლო სტრიქონი – რომელიც სავსებით ნათელს ჰქონის ამ უცნაური ლექსის მხატვრულ იდეას: „და, ჰა, ყველაზე ტკბილქართული ჩემი სონეტი!“.

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ამ ლექსის ავტორი 20 წლის ასაკიდან უკრაინაში ცხოვრობს, ეს ბიოგრაფიული მომენტი დამატებით აზრობრივების ნიუანსს შეჰქმატებს ამ ორიგინალურ პოეტურ ქმნილებას.

აი, ასეთი უჩვეულო ფორმით შეიძლება პატრიოტული მოტივის თემატიზება მოდერნის შემდგომი ხანის პოეზიაში. ცხადია, საქმე გვაქვს პოეტურ თამაშთან, იმის მსგავს თამაშთან, „ფაზლი“ რომ ჰქვია: თითქოს ყუთში გვიწყვია ქართული ტოპონიმები, რომელთაგან უნდა შეირჩეს სათანადო სიგრძისა და უღერადობის სიტყვები და მათგან აინყოს კარგად ალიტერირებული, ჩინებულად გარითმული და, ცხადია, მეტრულად გამართული ისეთი მყაცრად მონესრიგებული ფორმის ლექსი, როგორიცაა სონეტი.



უნინარეს ყოვლისა, ლექსიკური თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას რაულ ჩილაჩავას ის სონეტიც, რომელსაც „გამომწვევი სონეტი“ ჰქვია:

ანურე ნიმბო კვადრიკულის  
ცისფერი სურით,  
სად უშმურ უამთა დაუანგული  
უღრო ავუანდები  
უუფავენ უალტამს უანდარმების  
უღალი შანთებით  
და ნორჩ ნიამორს გასკვდომია რძით  
სავსე ცური.  
გინევს აფრეშით ფლანგებიდან  
ცოდვა ციური,  
ფასკუნჯის ფრთებქვეშ დაიფიცე,  
რომ გაფშანდები

შოთხვის შრიალში, როცა შენთან  
შორი ანდები  
შენაქოს შურით გახდებიან  
ტენდენციური.  
ბიადროს ბარდა ბარბადურის  
ნაბორბლარშია,  
ბრბოს გაბრუებულს თვალს  
უბნელებს შავი არშია,  
არ ეყურება აყლაყუდას ძახილი:  
„სწორდით!“

შესძულდა ყველა, ვინც ყვავ-  
ყორნებს ყანჩებად რაცხდა  
და ვერ შენიშნა, მზის ჩასვლისას თუ  
როგორ განყდა  
თინა ტერნერის ძუძუებზე აზღუ-  
დის ზორტი.

(ჩილაჩავა 2012: 341)


კითხვაზე – არსებობს თუ არა ავან-  
გარდისტული (ვთქვათ, ფუტურისტუ-  
ლი ან დადაისტური) სონეტი? – პასუხი,  
ალბათ, უარყოფითი იქნება და მართე-  
ბულადაც – ფუტურისტები და დადაის-  
ტები კატეგორიულად უარყოფდნენ  
ყოველივე ძველს, ენაც კი ახალი შე-  
ქმნეს და უძველეს სალექსო ფორმებს  
როგორ მიმართავდნენ?! მათვის ეს  
სალექსო ფორმა ვერაფრით იქნებო-  
და მიმზიდველი, ვინაიდან ყოველივე  
არსებულით უკმაყოფილო ავანგარდის-  
ტების მიზანი ცხოვრების წესის ძირეუ-  
ლი შეცვლა იყო, სონეტი კი სიმყარის,  
ტრადიციების ერთგულების, მოწესრი-  
გებულობის, დისციპლინის, ჰარმონიის  
სიმბოლოდ და განსახიერებად აღიქმე-  
ბა (გავიხსენოთ იოანეს ბეხერის, სონე-  
ტის ცნობილი პრაქტიკოსისა და თეო-  
რეტიკოსის, ერთი სონეტი სათაურით  
„სონეტი“ [1945], რომელიც ასე მთავ-  
რდება: როდესაც ქვეყნად არეულობა,  
სასონარკვეთა სუფევს, „მაშინ გამოჩნ-  
დება თავისი მძიმე სიმკაცრით, ვითარ-  
ცა მომწესრიგებელი ძალის სიმბოლო,  
როგორც ქაოსისაგან გადარჩენა – სო-  
ნეტი“ [ბეხერი 1971: 332]).

იმას არ ვამბობთ, რომ ფუტურისტ ან დადაისტ პოეტებს არასოდეს, თავი-ანთი შემოქმედების არცერთ ეტაპზე არ დაეწეროთ სონეტი. სონეტებს წერდნენ: ინოკენტი ანენსკი, სემიონ კირსანოვი, იგორ სევერიანინი, ტიციან ტაბიძე და სხვა ავანგარდისტებიც, მაგრამ ეს სონეტები ავანგარდისტული სონეტები არ არის, ჩვეულებრივი სონეტებია (ავანგარდისტული სონეტის არარსებობაზე როდესაც ვლაპარაკობთ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ვერბალური სონეტი და არა ვიზუალური, რომელსაც დღემდე ქმნიან კონკრეტული პოეზიის წარმომადგენელნი), მაგრამ ავანგარდისტული სონეტის დაწერა შესაძლებელი ხდება ავანგარდიზმის შემდგომ, ანუ პოსტავანგარდისტულ ხანაში, უფრო გავრცელებული ტერმინით პოსტმოდერნიზმს რომ უწოდებენ, ოღონდ ეს იქნება სალექსო და მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმებით თამაში, ესოდენ დამახასიათებელი პოსტავანგარდისტული ეპოქისათვის, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, სწორედ თამაშის ელემენტის წინ წამოწევით განსხვავდება წინამორბედი, ერთობ სერიოზული, მეტიც – მკაცრი, პირქუში და ელიტარული ავანგარდიზმისაგან.

როგორც ვთქვით, ავტორს ამ სონეტისთვის „გამომწვევი სონეტი“ უწოდებია.

რით არის იგი **გამომწვევი?** ცხადია, არა იმ ეროტიკული სურათით, რომელიც ბოლო სტრიქონებშია წარმოდგენილი („და ვერ შენიშნა, მზის ჩასვლისას თუ როგორ გაწყდა / თინა ტერნერის ძუძუებზე აზღუდის ზორტი“), ვინაიდან ასეთი ეროტიზმი პოეზიაში კარგა ხანია „გამომწვევად“ ველარ ჩაითვლება. გამომწვევი აქ, უთუოდ, უცნაური სიტყვები და ბუნდოვანი (თუ სულაც გაუგებარი)

შესიტყვებებია, რომლითაც ეს ლექსია დაწერილი – „კვადრიკული, ულრო, აფრეში, ბიადრო, ბარბადური, „ფასკუნჯის ფრთებქვეშ დაიფიცე, რომ გაფშანდები“, „შორი ანდები შენაქოს შურით გახდებიან ტენდენციური“ და სხვ. გაგახსენდება ასეთი „ზაუმური“ ენით დაწერილი ლექსები: „ბადე ბაიდებს, / ბუდე ბაიდებს, / ცირა მუხლებზე გულ-ფილტვს დაიდებს, / აიდა ბაიდებს, აიდო ბაიდებს, / ცირა ციბა, ცირა წარბი, / ცირა წაბლი წარბენილი...“ [სიმონ ჩიქვანი, „ცირა“ (ინტერნეტი 1)]; „Динь-динь-динь, / Дини-дими... / Дио Ладо, Дио Ладо, / Лиду диду ладили, / Дида Лиде ладили, / Ладили, не сладили, / Диду надосадили...“ [Иннокентий Анненский, „Колокольчики“ (ინტერნეტი 2)]. უფრო კი ისარის გამომწვევი, რომ ულტრაავანგარდისტული შინაარსი ულტრაკლასიკური სალექსო ფორმით არის მოწოდებული. ორივე ამ ურთიერთდაპირისპირებული



მოვლენის მოულოდნელი შერწყმით ერთდროულად მახვილდება ყურადღება მათზეც და ლიტერატურული პროცესის განვითარების პარადოქსულ ბუნებაზეც; ცხადია, არა მარტო ამაზე – ძველი ფორმისა და ახლებური შინაარსის სიმბიოზი ააქტიურებს ე.წ. პოსტმოდერნისტულ მგრძნობელობას, რის შედეგადაც მრავალი ძნელად გამოსათქმელი ნიუანსით მდიდრდება ამ ლექსის წაკითხვით აღრული შთაბეჭდილება.

რობაის არსებობა ქართულ და, საზოგადოდ, ევროპულ პოეზიაში მთლად უცილობელი ფაქტი არ არის იმის გამო, რომ, სონეტთან შედარებით, ბევრად მარტივი ეს სალექსო ფორმა, სამჯერადი (ააბა), იშვიათად კი ოთხჯერადი რითმითაც (აააა) არაბულ-სპარსული პოეზისაგან დამოუკიდებლადაც შეიძლებოდა გაჩენილიყო ამა თუ იმ ქვეყანაში. მრავალი ხალხის პოეზისთვის ერთობ ჩვეულებრივ ოთხჯერადრითმიან სტროფზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ქართულ ხალხურ პოეზიაში, მაგალითად, სამჯერადი (ააბა) გარითმვის წესით შესრულებული სტროფების ნაკლებობა არ შეინიშნება. ზოგი მათგანი ფილოსოფიური განსჯის შემცველიც არის, მაგრამ რა აუცილებელია მათ ამის გამო რობაი დაერქვათ? (მაგალითად: „ნუთისოფელი რა არი? / აგორებული ქვა არი. / რა ნამს კი დავიბადებით, / იქვე საფლავი მზა არი“ (კოტეტიშვილი 1961: 25)

მაშ, რა საფუძველი აქვს ევროპულ პოეზიაში რობაის არსებობაზე ლაპარაკს? მაგალითად, რა საფუძვლით ლაპარაკობენ გერმანული რობაის შესახებ?

ერთ-ერთ გერმანულ ლიტერატურულ ლექსიკონში ვკითხულობთ:

„რობაი – არაბულ და სპარსულ ლიტერატურაში გავრცელებული სალექსო ფორმა, ამაღლებული, მახვილგონივრული და ეპიგრამული ხასიათისა, შეგონებითი (აფორიზმული ხასიათის) ლექსი,

მე-11-15 საუკუნეებში აყვავებას მიაღწია სპარსულ ლიტერატურაში, მეტადრე აბუ საიდისა და ომარ ხაიმის შემოქმედებაში. გერმანულ ლიტერატურაში ფრიდრიხ რიუკერტი იყენებდა“ (ლექსიკონი... 1986: 451. – ხაზგასმა ჩვენია. ლ. ბ.).

მე-19 საუკუნეში მოღვაწე პოეტი ფრიდრიხ რიუკერტი (1788-1866) გერმანული ორიენტალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი და აღმოსავლური პოეზიის მთარგმნელი რომ არ ყოფილიყო, სამჯერადი რითმით შესრულებული მისი ერთსტროფიანი ლექსები, შესაძლოა, არც არავის მიეჩნია რობაიდ.

ჩვენი აზრით, არააღმოსავლურ ლიტერატურაში ფილოსოფიური შინაარსის მქონე, მახვილგონივრული შეგონებითი ოთხტაებიანი ააბა სისტემით გარითმული ერთსტროფიანი ლექსის რობაიდ აღიარებას ამ აღმოსავლური სალექსო ფორმის კარგი ცნობადობა და რობაის დიდოსტატის, გენიალური ომარ ხაიმის პიროვნებით დაინტერესება უნდა უძღვდეს წინ აუცილებელ პირობად. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ევროპაში ომარ ხაიმის პოეტური და არა მხოლოდ პოეტური შემოქმედებით დიდი დაინტერესება ფაქტია.

ახლა საქართველოში გადმოვინაცვლოთ.

ომარ ხაიმის რობაიების პირველი ქართული პოეტური თარგმანი ამბაკო ჭელიძეს ეკუთვნის და მან ის 1936 წელს გამოსცა წიგნად, რის შემდეგაც ომარ ხაიმი ერთ-ერთი უპოპულარესი უცხოელი პოეტია საქართველოში. დღემდე ითარგმნება ომარ ხაიმი შესანიშნავი მთარგმნელების მიერ, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მათგან საკუთარი რობაის დაწერა არავის უცდია. პირველი ორიგინალური ქართული რობაიები ნოდარ დუმბაძეს ეკუთვნის. უფრო სწორად, ესენი რობაიების პაროდიებია, რომლებიც 60-იან წლებში გამოქვეყნდა ჟურნალ „ნიანგში“ – სატირული ლექსები გახლავთ, გამოგონილი ავტორის,

ომარ ხალიანის (სრულად: კაუჩუკ-რატინ-ომარ-ჯანსაღოლ ხალიან-ზემელელი) სახელით შეთხული. სატირა მიმართულია თბილისელი სტილიაგების წინააღმდეგ.

ერთს გავიხსენებ:

ისე არ წავალ, მიწას კვალი არ  
დავაჩინო,  
ჯერ უნდა ღვინო დაძმარებას  
გადავარჩინო.

მე ქვეყნად მოსვლა არავისთვის არ  
მითხვია  
და სანამ წავალ, მამაჩემმა უნდა  
მარჩინოს.

(დუმბაძე 1984: 379)

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ, სონეტის მსგავსად, ქართულ რობაისაც ძალიან უხდება განსჯითი (ფილოსოფიური) მსჯელობისთვის ერთობ შესაფერისი ინტონაციის მქონე საზომი 5/4/5.

იმ ქართველი პოეტების რობაიების მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებმაც ამ ფორმას მიმართეს, ნოდარ დუმბაძის რობაიების გავლენა ატყვია, იმ თვალ-საზრისით, რომ მათში ძლიერია სატ-ირულ-გროტესკული ელემენტი. ჩვენი დაკვირვებით, ეს განასხვავებს ქართულ რობაის კლასიკური და ევროპული რობაისგან. ეს ეხება, როგორც რაულ ჩილაჩავას, ასევე ჯემალ ცერცვაძის, ლადო მრელაშვილისა და ელგუჯა მარლიას რობაიათა მნიშვნელოვან ნაწილს.

ქართულ რობაიში, ჩვენი აზრით, აღმოსავლური რობაისა და დასავლური ეპიგრამის შერწყმა მოხდა. აღმოსავლურ რობაისთან ქართულს საერთო აქვს სამყაროს ფილოსოფიური ჭვრეტა, დასავლურ ეპიგრამასთან – მოვლენათა სატირული თვალით აღქმა და გროტესკული ფორმით გამოსახვა. შედეგად ირონიულ-პაროდიული ყაიდის ლექსს ვდებულობთ.

ამის დასტურად რაულ ჩილაჩავას ეს სონეტი წავიკითხოთ:

პოეტი იყო, ლექსს აწრთობდა  
სულის ქურაში,  
არ მოუკლია პეგასისთვის ქერი,  
ფურაჟი,  
ოღონდ ეგაა, რომ ვარსკვლავებს არ  
სწყვეტდა ციდან,  
გავაფუჭოო, ვაჲ, თუ უცებ ცის  
ანტურაჟი.  
**(ჩილაჩავა 2012: 434)**

იდიომური გამოთქმის – „ციდან ვარ-სკვლავებს წყვეტს“ – გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობებით თამაშის მეოხებით, მშვენიერი გროტესკი შეიქმნა. მხატვრული აბსურდის ჩინებული ნიმუშია ეს ეპიგრამა:

თუმცა დაბერდი, თაღლითობას  
მაინც არ იძლი,  
შენ ამ ბოლო დროს აგერია მთლად  
ანგარიში.  
რათა მარილი წონით მეტი  
გამოსულიყო,  
გამშრალი თოვლი გააზავე თურმე  
მარილში.  
**(ჩილაჩავა 2012: 420)**

რაულ ჩილაჩავა ლექსის ვირტუოზი გახლავთ და მის რობაიებში სახალისო განწყობა მოულოდნელი და კალამბურული რითმითაც ხშირად იქმნება:

შენი სახელი რომ არ იყოს მტერთა  
სამიზნე,  
უნდა უთუოდ მოიცილო (თუ გჭირს)  
სამი ზნე:  
გაუტანლობა, უნდობლობა და  
სიძულვილი...  
ანგელოსებმა მე სიზმარში ასე  
ამიხსნეს.  
**(ჩილაჩავა 2012: 417)**

გადამთიელს, რომელსაც მისი მთა-გორიანი სამშობლოს დაუფლების დიდი სურვილი აწვალებს, პოეტი ასეთ რობაის უნერს (კალამბურულ რითმას მია-ქციეთ ყურადღება!):

ჩვენი კბოდენი, ციცაბონი, ჩვენნი  
პლატონი,  
შენთვის შორია, ვით ბრიყვთათვის  
ბრძენი პლატონი.  
მაგრამ ნიადაგ მაინც იქით  
გიჭირავს თვალი,  
რადგან ამაყად უღერს ტიტული:  
„მთათა ბატონი!“

(ჩილაჩავა 2012: 426)

ვნახოთ კლასიკური ყაიდის რობაიც,  
რომელიც ეპიგრამად ვერ ჩაითვლება,  
მაგრამ მახვილგონივრული შეფასება  
ვითარებისა, რაც ესოდენ ამშვენებს  
აღმოსავლურ რობაის, აქაც დაგვხვდება:

თეთრს დავეძებდი, საბოლოოდ  
ხელთ შემრჩა შავი,  
კეთილს ველტვოდი – საბოლოოდ  
ხელთ შემრჩა ავი,  
თითქოს განგება ჩემს სურვილებს  
შიფრავს უკუღმა:  
კვამლს გავექეცი – ამოვყავი  
ხანძარში თავი.

(ჩილაჩავა 2012: 409)

პოეტი თვითონვე განამტკიცებს  
თავისი ამგვარი ლექსების რობაიობას  
იმით, რომ ზოგჯერ ტექსტშივე ახ-  
სენებს ლექსის სახელწოდებასაც და  
ამ ყაიდის ლექსების ყველაზე პოპუ-  
ლარულ ავტორსაც:

როცა ჩვენ შორის მოისპობა ქიშპი,  
მტრობაი,  
არ გაგვანამებს ჯანდაბაი და  
ოხრობაი,  
როცა ქართველი დაიფიცებს  
ქართველის სახელს,  
იმ დღეს შეჰერის, ხოტბას ასხამს  
ჩემი რობაი.

(ჩილაჩავა 2012: 425)

და

სერს, თოვლშემომდნარს, სალამიო,  
გასძახა იამ,  
ყვითელი ნოხი დაუფინა ზაფხულს  
ხაიამ.<sup>1</sup>

რა იყო იგი: შენმა სულმა ამოაშუქა  
თუ სიყვარულმა იყვავილა,  
ომარ ხაიამ!

(ჩილაჩავა 2012: 426)

ზემოთ სონეტზე ვთქვი და ახლაც,  
რობაიზე საუბრისას, უნდა გავიმეორო:  
ძველი ფორმისა და ახლებური ში-  
ნიარსის სიმბიოზი ააქტიურებს ე.წ.  
პოსტმოდერნისტულ მგრძნობელობას,  
რის შედეგადაც მრავალი ძნელად გამო-  
სათქმელი ნიუანსით მდიდრდება ლექსის  
წაკითხვით აღძრული შთაბეჭდილება.

მაგალითად:

ერთხელ შეცდომით ტელეფონზე მე  
მოვხვდი სხვასთან  
და გამიხარდა იდუმალი აღრევა  
ხაზთა.

გოგონას სუნთქვამ, ო, ისეთი  
განცდით ამავსო,  
არ მეორდება ცხოვრებაში იმგვარი  
განცდა.

(ჩილაჩავა 2012: 409)

ეს კონტრასტი – ძველი და სახ-  
ელოვანი ტრადიციების მქონე მყარი  
სალექსო ფორმით გადმოცემული,  
თანამედროვე თემატიკა (ტელეფო-  
ნი, სატელეფონო ხაზთა აღრევა) ანუ  
უგულებელყოფა შეგონებისა – „არავინ  
ასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებში“  
– ირონიულ-პაროდიულ შეფერილო-  
ბას სძენს ლექსს და მრავლისმეტყველ  
ქვეტექსტებსა თუ ასოციაციებს აჩენს.  
ერთი მათგანი, შესაძლოა, დროთა  
იდუმალ კავშირზე მინიშნებაც იყოს და  
თუ ამ ლექსის წამკითხველი ან მსმენე-  
ლი წარმოიდგენს ომარ ხაიამს ტელე-  
ფონის ყურმილით ხელში, ეს ეკლექ-  
ტიკურ-ანაქრონისტული სურათი ჩვენი

<sup>1</sup> ხაია (ბოტან.) – ისლი.

ეპოქის სავსებით შესატყვისი სტილის-  
ტური წარმონაქმნი იქნება.

#### დამოწმებანი:

**ასათიანი 1979:** ლადო ასათიანი. ერთ-  
ტომეული. თბილისი: „საბჭოთა საქა-  
რთველო“, 1979.

**ბეხერი 1971:** Johannes R. Becher. Wer-  
ke in drei Bänden, B. 1. Berlin und Weimar:  
Aufbau-Verlag, 1971.

**გაგულაშვილი 1986:** ილია გაგულაშ-  
ვილი. ქართული მაგიური პოეზია. თბი-  
ლისი: თსუ გამომცემლობა, 1986.

**დუმბაძე 1984:** ნოდარ დუმბაძე.  
რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 3.  
თბილისი: „მერანი“, 1984.

**ინტერნეტი 1:** <http://litklubi.ge/biblioteca/view-nawarmoebi.php?id=12174>

**ინტერნეტი 2:** <http://www.stihi-rus.ru/1/Annenskiy/119.htm>

**კოტეტიშვილი 1961:** ვახტანგ კოტე-  
ტიშვილი. ხალხური პოეზია. თბილისი:  
„საბჭოთა მწერალი“, 1961.

**ლექსიკონი... 1986:** Wörterbuch der  
Literaturwissenschaft. Herausgegeben von  
Claus Träger. Leipzig: Bibliografisches In-  
stitut, 1986.

**ქართული... 1971:** ქართული საბჭოთა  
პოეზიის ანთოლოგია. თბილისი: „მერა-  
ნი“, 1971.

**ჩილაჩავა 2012:** რაულ ჩილაჩავა.  
შნო. თბილისი: „ინტელექტი“, 2012.

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონ-  
დის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „ევროპული და აღმოსავლური  
მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში (ისტორია. თეორია. ქრესტომათია)  
ფარგლებში. ხელშეკრულება #FR/496\_2-110/14.

## ნანა კაციაშვილი

### პეთილი ნემსი

კედელზე ჩამოკიდებულ პატარა ბა-ლიშმი ახალთახალი, პრიალა ნემსი იყო ჩარჭობილი. ნემსის ყუნწში თეთრი ძა-ფი გაეყარათ – დაბლა რომ ჩამოვარ-დეს, ადვილად მოვძებნითო.

ისეთი ლამაზი იყო, ისეთი ლამაზი, რომ ვინც კი შეხედავდა, აუცილებლად გაიფიქრებდა: ნეტავ, ჩასაცმელი სადმე გამერღვეს ან გამეხეს, რომ ამ ნემსით ამოვმემსომ.

ერთხელაც ოჯახის დიასახლისს წინ-საფარი გაერღვა. გახარებულმა ახალ ნემსს დასტაცა ხელი და საკერავი ფან-ჯრისკენ მიაბრუნა – შუქზე უკეთ და-ვინახავო.

ნემსი მოიმარჯვა, ძაფი ბოლოში გა-ნასკვა და კემსვა დაიწყო.

– ვაი, ვაი! – დაიძახა დაჩხვლეტილ-მა ნაჭერმა.

მუშაობის ეშხზე მოსული ნემსი გა-ოცდა – არ ეგონა, ასეთი უცნაური სამსახური თუ ელოდა. რის ვაი-ვაგლა-ხით გაკერა წინსაფარი – ეცოდებოდა საწყალი.

– არა! – გაიფიქრა ნემსმა, – ასე ვეღარ გავაგრძელებ!.. ოჟ! ნეტავ, ამ ქალს ყუნწში ძაფის გაყრა დაავიწყდე-სო.

ბედზე, მართლაც ასე მოხდა – უძა-ფოდ ჩაარჭეს ბალიშმი..

ლამით, როცა ყველას დაეძინა, ნემ-სმა თვალები დაჭყიტა.

ბევრს ეწვალა და იმდენი შეძლო, რომ ბალიშიდან ამოხტა და იატაკის პა-ტარა ღრიფოში ჩაგორდა.

– წაპო! – ერთი კი დაიძახა დავარ-დნისას.

ვერავინაც ვერ გაიგო – შუა ძილში იყვნენ.

მეორე დღეს არავის დასჭირვებია, მაგრამ მისი გაუჩინარება მაინც ყვე-ლამ შენიშნა – რადგან ძალიან მოსწონ-დათ ახალი, ბრჭყვიალა ნემსი.

ატყდა ერთი ალიაქოთი, ძებნა და-იწყეს... ხან გამადიდებელი შუშა, ხან მაგნიტი მოავლეს იქაურობას, მაგრამ ამაოდ...

ნემსი კი არხეინად ეგდო იატაკის ღრიფოში და არაფერზეც აღარ დარ-დობდა.

### პენში

კენჭი შუა გზაზე ეგდო.

ლამაზს და სხვებისაგან განსხვავე-ბულს სახელად ჭრელას ეძახდნენ.

მაგრამ რა? – მეზობელი ქვების გარდა, მის სილამაზეს ვერავინ ხედავ-და. გამვლელები ერთნაირად ექცეოდ-ნენ ჭრელასაც და ახალგაზრდა და მა-ხინჯ ან დაბერებულ, სიძველისგან და-ხეთქილ-ხავსმოდებულ ქვებსაც.

„ჭრი!“ – ჭრიალით გადაუვლიდა ურმის ბორბალი. „ვაი!“ – დაიძახებდა

კენჭი. ხან ცხენის ფლოქვი ხვდებოდა, ხან ავტომანქანის საბურავი გადაუსრიალებდა მის თავს, ხანაც კაცის ფეხი უდიერად გადააგორებდა სხვაგან. ასე იცვლიდა მეზობლობას კენჭი და ასე იცვლებოდნენ თავად მეზობლებიც. სხვა ქვებს შურდათ ჭრელას სილამაზის და თუ მეტი მოხვდებოდა, სიხარუ-



ლით ლამის მეცხრე ცაზე დაფრინავდნენ. უფრო მეტად ამიტომ თუ სტკიოდა პატარა კენჭს თავისი სატკივარი – დარდისაგან აღარ იყო.

ერთხელ ხავსის სქელი ფენით დაფარულ მოხუც ქვას მოჰკრა თვალი – ძველი დიდების ნაშთი შერჩენდა. სულ დუმდა – ალბათ, რამდენს იხსენებსო? – მოწინებით გაიფიქრა კენჭმა.

– ვიცი, რაც გადარდებს... – მოულოდნელად დუდუნით მიმართა ლოდმა. – აქ შვებას ვერ ნახავ. წადი, იგორ... ბევრ ახალს გაიგებ, – განაგრძობდა ქვა. – ცხოვრება თვითონ გიჩვენებს, სად გაჩერდე. მაგრამ ასჯერ აწონე და ბოლო ნაბიჯი ისე გადადგი, საქმე სანანებლად არ გაიხადო... – ლოდმა მძიმედ დახუჭა თვალები, კენჭისგან პირი იბრუნა და მზეს მიფიცხებულმა უხმა-

უროდ ჩათვლიმა.

ჭრელამ ბევრი იფიქრა, იფიქრა და გზას გაუდგა.

რა არ გადახდა, რა ქარბორბალა არ დატრიალდა მის თავს. ხან მიგორავდა, ხან მიაგორებდნენ. ერთხელ ტრანსპორტითაც მოუნია მგზავრობა...

და მიგორდა ულამაზეს მდინარესათან – ფსკერი ათასფერი კენჭებით რომ ჰქონდა დაფარული.

ეს რა იხილა ჩემმა თვალმაო, აღტაცებით გაიფიქრა ჭრელამ და ბევრი არ უფიქრია, ისე ისკუპა წყალში.

...გვიან, წლების მერელა მიხვდა მოხუცი ლოდის დარიგებას – კარგად დაფიქრდი, სანამ ნაბიჯს გადადგამო... ეგდო სხვა მისნაირ ლამაზ და სევდიან კენჭებს შორის, ყველას ერთნაირი სადარდებელი გასჩენოდა – ვერავის აკვირვებდნენ თავიანთი სილამაზით.

მოიწყინა ჭრელამ, მოენატრა ის მტვრიანი და მიკარგული გზა, სადაც ფეხებში ედებოდა ყველას, მაგრამ მაინც მოწინებით შესცეკროდნენ სხვები. მოენატრა და მდინარიდან ამოხტომაც კი მოისურვა, მაგრამ იმ სილრმეს, აბა, თავს როგორლა დააღწევდა?

მხოლოდ ოცნებაში ხედავდა თურმებედნიერ წარსულს და ბედს შეგუებული უძრავად ეგდო ლამაზი მდინარის ლამაზ ფსკერზე – არც აღარავინ აწუხებდა.

## გაზაფხული

სითბომ სასიამოვნოდ შეულიტინა. ცოტათი შეიმუშნა, მაგრამ თვალის გახელა დაეზარა. მერე ისევ შეულიტინა სითბომ, მერე ისევ.

მგონი, რალაც კარგი ხდებაო, გაიფიქრა ენძელამ და თვალი გაახილა. გარშემო თითქმის ბნელოდა. ყვავილებს ეძინათ, ზოგს ხავსის საბანი გადაეფარებინა, ზოგს თავისივე ფოთლები, ზოგი გულალმა იწვა, ზოგიც პირქვე, ზოგს პანაწინა ყლორტებში ჩაერ-

გო თავი და მშვიდად ფშვინავდა, ზოგი, რაც უნდა უცნაურად მოგვეჩერებოს, საკმაოდ ხმამალლა ხვრინავდა კიდეც...

ენძელამ თვალები მოიფშვნიტა, მხრები მოისრისა, მერე სახეზე შეისხა იქვე მოწანწყარე რუს ცივ-ცივი და



ანკარა წყალი. მიხვდა ყვავილი, გაზაფხული მოახლოებულიყო და სწორედ მისი სითბო არ ასვენებდა, აღარ აძლევდა ძილის საშუალებას.

გაზაფხულის მოლოდინით გულათ-რთოლებულმა ენძელამ დანარჩენ ყვავილებს ღიმილით მოავლო თვალი და წრიპინა ხმით ნაზად შესძახა, გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, გაზაფხული მოდისო. თითო-ოროლამ თვალი ჭყიტა... ეეჟ, ნეტაი, შენაო, ჩაიქნიეს ხელი ენძელას დანახვაზე და ისევ ფშვინვა ამოუშვეს. მოკლედ, ენძელას შეძახილს არავინ უგდო ყური, ალბათ, მათი დრო ჯერ არ დამდგარიყო. ენძელამ ტანზე დაიხედა. კაბა ნაზად ჩამოიბერტყა, ნაკეცები სათუთად გაისწორა, თავზეც გადაისვა ხელი, ვარცხნილობა შეიმონმა – ალბათ, სურდა, ლამაზზე ლამაზი ყოფილიყო. მერე ზევით აიხედა – მიწის თხელი ფენა აშორებდა გაზაფხულის კამკამა ჰაერს. ენძელა ნელ-ნელა ზემოთ აიზიდა, აიწვერა, ყლორტებით ჩაეჭიდა მიწას, რბილი, ნესტიანი ნამცეცები ადვილად მისწი-მოს-

წია. ნასვრეტში მხიარულად აციმციმდა მზის სხივი. ენძელა ნასვრეტის კიდეებს ჩაეჭიდა და მეტი ხალისით შეუდგა ზევით ასვლას.

ოდნავ მოყინულ და თოვლის ნარჩენებით აჭრელებულ მიწის ზედაპირზე ენძელას კოპნია თავი გამოჩნდა. თავს პანია ღეროც მოჰყვა პანიავე ფოთლებით. წელში გაიმართა და ზემოთ, მზისკენ აიხედა. მზე სათუთად ულიმოდა. დაიმორცხვა ენძელამ. თავი დახარა. მერე მორიდებით და ცოტა არ იყოს, შიშითაც მიმოიხედა. ჯერ სულ მარტო იყო. თუმცა არა, მზე და მიწის ნოტიო ზედაპირიც ხომ აქ იყვნენ. ორივე შეჰსაროდა პანანინა ცვავილს. მიწას ხელისგულზე დაესვა ენძელა, მზე კი ციდან ათბობდა.

ენძელაც ბედნიერი იყო. საოცრად, საოცრად უხაროდა არემარეზე გამოჩენა. ხუმრობა ხომ არაა ამქეცებულის სუსხიან რიურაუზე.

## ზამთარი

ზამთარი მიაბიჯებდა და მიაბიჯებდა.

ხელჯოხის ნაცვლად ყინულის მოჩუქურთმებული ლოლო ეჭირა.

მხარზე თეთრი აბგა ჰელნდა გადაკიდებული.

შებინდებისას ხანდახან ჩერდებოდა, ამოალაგებდა თავის ბარგს და მოხერხებულ ადგილზე ბინავდებოდა. მაგრამ დიდი ხნით არსად ყოვნდებოდა. რატომლაც სულ სამხრეთისკენ განაგრძობდა გზას. უჟ, ვის და რას არ გადააწყდებოდა ხოლმე გზაზე: ადამიანებსაც, ცხოველებსაც, ფრინველებსაც, მცენარეებსაც, გაუვალ ტყეებსაც, მდინარეებსაც, კლდე-ლრეებსაც. მიდიოდა და თავის სუსხს დაუზოგავად აფრევევდა – ფუმფულა მუჭით იღებდა ქათქათა ჩანთიდან და აქეთ-იქით ფანტავდა. შემდეგ იქაურობას შეუვლიდა და მხატვარივით აკვირდებოდა, სუსხი

და ფანტელი ხომ არ მოვაკელიო. თუ საჭიროდ ჩათვლიდა, ერთ მუქსაც მი-მოაფრქვევდა ან ერთი ღრმად ჩაისუნ-თქავდა და მერე ძლიერად შეუბერავდა სულს. ყველაფერი წამში იჭირხლებოდა და ფითრდებოდა.

ძალიან სიამოვნებდა გადათეთრე-ბული გარემოს დანახვა. კმაყოფილად ისვამდა ხელს გრძელ ფითქინა წვერზე და აღტაცებული იღიმოდა.

ერთხელ დიდ ნაძვნარს მიადგა. ტყეში მცენარების საოცრად სასია-მოვნო სურნელი იდგა. ზამთარმა ერ-თი-ორჯერ მთელი ძალით შეიყნოსა – იცოდა, სუსხში ამ სურნელს ვეღარ იგ-რძნობდა და მხოლოდ ამის მერე ჩაყო ჩანთაში ხელი.

ცოტა ხანში ყველა ხე თოვლის ქათ-ქათა ქურქში გაეხვია. მსუქანა ფანტე-ლები უხმაუროდ და აუღელვებლად მოფარფატებდნენ ციდან და ხეებზე რბილად ეცემოდნენ.

ის იყო, ზამთარმა თავისი საქმე მო-ამთავრა, რომ ტყის თვალიერებას და შემონებას შეუდგა, სადმე ხომ არ მო-ვაკელი ჩემი ხელიო. უცებ იქვე, ორი-ოდ ნაბიჯზე, მაღალი, ცაში აწვერილი ნაძვის ქვეშ სულ პანაწკინტელა ნაძვი შენიშნა. თოვლის ქვეშ საცოდავად მო-ეხარა და შიშითა და სიცივით კანკა-ლებდა. ზამთარს თანაგრძნობით აევსო გული, პატარა ხიდან თოვლი ფრთხი-ლად ჩამოფერთხა და შემდეგ წელ-წე-ლა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოსცილდა, ემანდ, ჩემმა სიახლოვემ არ მოყინოსო. ნაძვმა შვებით ამოისუნთქა. მხრებშიც გაიმარ-თა. ზამთარს მორცხვად გაუღიმა და მაღლობის ნიშნად კენწერო დაუქნია.

ზამთარი უკვე გზის გაგრძელებას აპირებდა, როცა ტყისკენ მომავალი ორი მგზავრი შენიშნა. ერთი მაღალი, ახალგაზრდა და ღონიერი მამაკაცი იყო. ის წინ მოდიოდა. მის გაკვალულ გზას კი პატარა ბიჭუნა მოჰყვებოდა. ბიჭი მხოლოდ წელამდე თუ სწვდებო-და მაღალს. კაცს მხარზე დიდი ნაჯახი

პერნდა შემოდებული. ნაჯახს მარჯვე-ნა ხელით იჭერდა.

ალბათ, მამა-შვილიაო, გაიფიქრა ზამთარმა და ინტერესით დაელოდა მათ მოახლოებას.

მალე ტყეშიც შემოვიდნენ. კაცმა დაინყო ნაძვების თვალიერება. უფრო მეტად პატარა ზომის ხეებს აკვირდე-ბოდა. მალე ის ნაძვიც შენიშნა, ზამ-თარმა თოვლი რომ მოაცილა. მგზავ-რები ნაძვს მიაუახლოვდნენ. პატარა ხე ჯერ ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, მერე კი შიშით აკანკალდა და ტირილი დაინყო. მისი ცრემლები ჰაერში ყინულის ნამ-ცეცა ნატეხებად იქცეოდნენ და თოვ-ლზე კენჭებივით ეცემოდნენ.

– აი, სწორედ ასეთ პატარა ნაძვს ვეძებდი, თქვენს ოთახში ამაზე დიდი არცაა საჭირო. რას იტყვი? – კაცი ბი-ჭუნას მიუტრიალდა.

ბიჭმა მხრები აიჩეჩა.

კაცი დაიხარა და ხის სისქე ხელით მო-სინჯა, მერე თვალით ის ადგილი მოზო-მა, სადაც ნაჯახის დარტყმას აპირებდა.

კაცის განზრახვით გაბრაზებულმა ზამთარმა მგზავრებისკენ მთელი ძა-ლით შეუბერა. ჰაერში ბუქი და ნისლი დატრიალდა. ბიჭმა ხელებზე დაიორ-თქლა და ხტუნვა დაინყო, თან ლამის ცხვირამდე ჩამოიფხატა თავისი ღუნ-ღულა ქუდი. კაცი სიცივემ ვერ შეაჩე-რა. ერთი-ორჯერ ხელები მოისრისა და ეგ იყო. ისევ შეუბერა ზამთარმა. კაცმა მაინც მოიმარჯვა ნაჯახი და ის იყო, უნდა დაეკრა, რომ ბიჭუნამ მამას ქურ-ქის ბოლოზე მოქაჩა.

– მამა, გთხოვ, ნუ მოჭრი ნაძვს. სჯობს ასე იყოს, ნახე, რა ლამაზია? განა ამაზე უკეთ მოვრთავთ? თანაც, ხომ გვაქვს ხელოვნური ნაძვი? ისიც ხომ ლამაზია? მეტი რაღად გვინდა?

– რა?.. ტყუილად ვიხეტიალეთ ასეთ სიცივეში? – კაცმა ისევ მოიღერა ნა-ჯახი.

– კარგი, რა, მამა... გთხოვ. – ბიჭი მუხლებზე შემოეჭდო მამას. – ძალიან

გთხოვ... შეხედე, რა პატარა და ლამაზია... იყოს, რა... ნუ მოჭრი... ისიც ხომ ვიღაცის შვილია?

კაცს მოქნეული ნაჯახი ჰაერში გაუშეშდა. მერე ხელები ნელ-ნელა ჩამოუშვა. შვილს მოეხვია და გულში ჩაიკრა: – კარგი, იყოს ისე, როგორც შენ გინდა... კარგი, ჳო... მიხარია, ასეთი კეთილი რომ ხარ... მარა, ამ ყინვაში ტყუილად რომ ვიარეთ...

მაღლ ორივე იმავე გზით ბრუნდებოდა შინ. ახლა კაცს ბიჭუნა მხრებზე შემოესვა და რაღაცას დიდი მონდომებით უყვებოდა. მამის კისერზე ხელებ-შემოჭდობილი ბიჭი კი მხიარულად და ბედნიერად იცინოდა.

ზამთარი შეუმჩნევლად მიჰყვებოდა მგზავრებს.

მეორე დილით მათი სახლის ფანჯრების მინები ჭირხლის საოცრად ლამაზი ნახატებით იყო აჭრელებული, ეზოში კი ათასგვარად გასხივოსნებული, სათამაშოებითა და ტკბილეულით მორთული უზარმაზარი და რაც მთავარია, ნამდვილი, ცოცხალი ნაძვის ხე იდგა – ეს ზამთრის საჩუქარი იყო.

სახლის ბინადრებს კი ჯერ ისევ ღრმა ძილით ეძინათ.

## ნისლი

ნისლი მთის ფერდობებს შეჰქოდა.

რადგან ვერასოდეს აღწევდა უფრო მაღლა, მწვერვალი ისე შემოდგებოდა ხოლმე ნისლიან ზედაპირზე, როგორც ბრწყინვალე გვირგვინი თეთრთმიანი და თეთრწვერა მეფის პატივცემულ თავზე.

ნისლი არასოდეს ქრებოდა – უბრალოდ, ხანდახან მცირდებოდა... ისიც მეტისმეტი სიცხის დროს...

ნისლი ფერდობზე მოდებულ პატარა სოფელს ისე დაეფინებოდა ხოლმე, რომ სოფლის მაცხოვრებლები ერთმანეთს კი არა, ლამის საკუთარ ცხვირს ვეღარ ხედავდნენ...

ნისლი ადამიანებს ხელს უშლიდა.

ადამიანებს ძულდათ ნისლი.

თან უკვირდათ კიდეც – ჩვენი წინაპრები რატომ კარგა ხნის წინათ არ მოშორდნენ აქაურობასო...

ადამიანებმა გადაწყვიტეს ნისლის მოსპობა.

სოფლის უხუცესს – ბუნებას წინ ვერავინ აღუდგებაო, რომ გაიძახოდა – ყური არავინ უგდო...

რადგან თავად არ იცოდნენ ნისლის მოსპობის წესები, საქვეყნოდ განაცხადეს, მის მომრევს ბევრ ოქროს ვუბოძებოთ... და რაც კი ებადათ, ოქროზე წინასწარ გადაცვალეს – რომ მერე ჩვენი რჩეული არ ვალოდინოთ, სიტყვა დროულად ავასრულოთო...

ეჴ, რჩეული კი...

დაიძრა ნისლისკენ მრავალი... ზოგი ხმალმომარჯვებული ეკვეთა ნისლის ბოლქვებს, ზოგმა ალაგ-ალაგ კოცონები დაანთო – ნისლი გავაშროო, ზოგმა ნისლს პეპლების საჭერი ბადით დაუწყო დევნა – მოვაგროვებ, თავს ერთად მოვუყრი და მერე ადვილად გავანადგურებო... ვიდაც ოხუნჯმა სოფელს ისიც კი განუცხადა: ამ ნისლს თუ მოსპობთ, მე თქვენს დაპირებულ ოქროზე ორჯერ მეტ ტრიოს მოგცემთო; ახლა ამაზე ატყდა ერთი ამბავი, ახლა თავად სოფლელებმა უწყეს ნისლის ქულებს დევნა... რა თქმა უნდა, ნისლის მოსპობა ვერავინ შეძლო....

ესე იგი, ნისლმა გვაჯობაო, – ამბობდნენ გულდაწყვეტილი და შერცხვენილი სოფლელები; რადგან ასეა და ჩვენი ერთად ყოფნა არ იქნება, უნდა ავიყაროთ და სხვაგან გადავსახლდეთო, – ასე გადაწყვიტეს... დაიწყეს ბარგის შეკვრა, ვინც უფრო სწრაფად შეაგროვა ნასაღები ნივთები, სახლის დაშლა დაიწყო – ახალ ადგილზე მშენებლობისთვის დამჭირდებაო...

სოფლის უხუცესს – რა გაგვიჭირდა ასეთი, ნისლს ვერ ვგუობთ... ფერფლი, ჭვარტლი და მური ხომ არაა, ასე რომ შევიძულეთ, ქათქათა და უვნებელი

ნისლიაო... მასთან ერთად ცხოვრება ვისწავლოთო... რომ გაიძახოდა – არა-ვინ მოუსმინა...»

ერთმა ველურმა და კაციჭამია ტომ-მა ყური მოჰკრა, ერთ ნისლიან სო-ფელში ბევრი ოქრო ჰქონიათო და მათ-ზე თავდასხმა გადაწყვიტა.

შეიარაღებული, კბილებალესილი და ცხენებზე ამხედრებული კაციჭამიები ნისლიანი სოფლისკენ გაემართნენ.

იარეს, იარეს... დაინახეს ნისლიანი მთა და სოფლისკენ მიმავალ ფერდობს საშინელი ყიუინითა და ველური შეძახი-ლებით აუყვნენ.

გაიგო სოფელმა ყიუინა. მიხვდნენ, მტერი მრავალრიცხოვანიაო და, თა-ვის დასაცავად, სხვა რომ ვეღარაფერი მოიფიქრეს, ნახევრად დაშლილ სახლ-კარში შეიყუჯნენ; არადა, ეს ნახევრად დაშლილი ქოხები მტრისგან დაცვაში რას უშველიდათ...

კაციჭამიებმა სოფლის დასაწყისს თვალი მოჰკრეს და სიხარულისგან უზარმაზარ დოლებზე ბრაგაბრუები ატეხეს – ბრძოლებში დამხვდურთა შესაშინებლად ამ დოლებს მუდამ თან დაატარებდნენ.

დოლების ბრაგუნმა ბრძოლის სურ-ვილი გაუათმაგათ – კბილები აუკანკან-დათ ველურებს, მთელი ძალით გადაპ-კრეს ცხენებს მათრახები და გასუსულ და შეშინებულ სოფელს ლამის მიადგნენ კიდეც, მაგრამ... მაღლა, მთის ყველაზე მაღლ ფერდობებზე შემომჯდარი ნისლი ნელ-ნელა დაბლა ჩამოიღვენთა... ჩამო-იღვენთა და სოფელს მფარველის კალთა-სავით გადაეფარა – სოფელი საერთოდ გაქრა ნისლის ქვეშ... გაოცებული ველუ-რები და დაბნეული ცხენები – მიზანი თვალსა და ხელს შუა რომ აანაპნეს – გზაზე შედგნენ; ცხენებმა ჭიხვინი ატე-ხეს... ველურებმა იფიქრეს, გზა სულ არ აგვერიოსო, და ძველი მიმართულებით გაემართნენ... მაგრამ სოფელს ვერა და ვერ მიუახლოვდნენ – ასე ფიქრობდნენ თვითონ, თორემ სინამდვილეში სულ ახ-

ლოს, წკიპზე ჩაუარეს – ოდნავ ასცდნენ... იარეს, იარეს, იარეს...

რაც უფრო წინ მიდიოდნენ, სულ უფრო მეტად აბრმავებდათ ნისლის სქელ-სქელი ქულები... მერე ველურთა განრისხებულმა ბელადმა – ეტყობა, ნელა მივდივართ და ამიტომაც ჯერ ვერ მივუახლოვდითო – მთელი ძალით დასჭყივლა თავდამსხმელებს. ამან ვე-ლურები გვარიანად გამოაფხიზლა, ცხენებს მათრახები გადაპკრეს – მთე-ლი სისწრაფით გაქროლდნენ და... სულ ერთმანეთის მიმდევრობით გადაცვივ-დნენ ნისლით შეფარულ თვალმიუვალ უფსკრულში....

სოფელმა შვებით ამოისუნთქა.

მერე ადამიანები დასხდნენ, იფიქ-რეს, იფიქრეს... მერე ქოხებს დახსნი-ლი ნანილები ისევ მიამაგრეს, ბარგიც უკან ამოალაგეს და სულ სხვა ხალისით განაგრძეს წინაპრების მიწაზე ცხოვრე-ბა... პო, ამის მერე აღარ წუნუნებდნენ, აღარც ბუნებას ემდუროდნენ და უხუ-ცესაც ყურადღებით უსმენდნენ...

ნისლი კი ისევ ქათქათა ქუდივით ეფარა სოფელს.

## ათინათი

მზის სხივს მხოლოდ უფროსი და-ძმა ჰყავდა. ყველა სერიოზული და საჭირ-ბოროტო საქმეებით იყო დაკავებული, პატარა სხივთან სათამაშოდ არც ერთს არ ეცალა, როგორც იტყვიან, არავის სცხელოდა მისთვის.

მოძეზრდა მზის სხივს მარტოობა და სახლის ოქროსფერ კედლებში უსაგ-ნოდ ბორიალი, ძალიან, ძალიან უნდო-და თამაში და გადაწყვიტა, ადამიანებს მოვინახულებო.

ერთი სოფელი მოეწონა, სულ მწვა-ნებში იყო ჩაფლული, ხილით დახუნ-დლული ტოტები ლამის მიწამდე იზნი-ქებოდა, ბოსტნები სულ წითელი პო-მიდვრებით იყო დაწინწკლული, ცვარი ჯერ კიდევ ათასფრად ბრჭყვიალებდა

ბალახებში. ჩიტების ურიამული ცას სწვდებოდა. ნაკადულებით დასერილ მიწაზე ნაირ-ნაირი ყვავილები იშლებოდა. მშვენიერია, გაიფიქრა სხივმა, მაგრამ ბავშვები რომ არ ჩანან?..

ა-ჰააა, უკვე სკოლაში იქნებიან სასწავლებლადო, დაასკვნა ბოლოს.

ახლა სახლებს გადაავლო თვალი. ერთი ძალიან მოეწონა, ძველი იყო, ხისა... ლამაზჩჩურთმიანი აივანი ამკობდა. აივანზე ჩირის ქარვისფერი სხმულები და წითელი წინაკის აცმა ეკიდა. წინაკის დანახვაზე სხივს ცხვირზე მოეღულუნა და დააცხიკა.

იქვე, სახლის კედელზე, ზედ ფანჯარასთან, ჭუჭრუტანაც ჩანდა. მოდი, შევიჭყიტავო. რა ძალა ედგა? ფანჯრიდან შეეხედა!? მაგრამ არა, მაინცდამა-ინც ჭუჭრუტანაში უნდოდა შეძრომა.

ჭუჭრუტანა ისეთი ვიწრო აღმოჩნდა, ისეთი, რომ ძლივს შეეტია სხივი.

ოთახში შეიხედა და რას ხედავს: ფანჯარასთან ერთი მსუქანი, ცხვირის წვერზე პანაწუნა სათვალწამოკოსებული ბებო ზის და კემსავს, მის ფეხებთან კი ფისო მოკალათებულა და ზანტად თვლებს.

ნუთუ არც ფისო მოინდომებს ჩემთან თამაშსო? გაიფიქრა ათინათად ქცეულმა სხივმა. ათინათად იმ შემთხვევაში იქცეოდა ხოლმე, როცა ჭუჭრუტანაში ან სხვა ნაკლებგანათებულ ადგილას შეიჭყიტებოდა. ათინათიც იმიტომ ერქვა – ათი ნათი, ანუ ათჯერ მეტად მაინც უნდა გაანათო, რომ იქაურობა კარგად გამოჩნდეს და არ დაიკარგო, ასწავლა დედამ. ჰოდა, ჩვენმა ათინათმა ხან აქედან უარა ზარმაც ფისოს, ხან იქიდან, ხან, მოწყენილმა, ბებოს საკემშზე წაიცეკვა, ბებომ მხოლოდ გაიღიმა, ათინათთან თამაში კი აზრადაც არ გაუვლია.

ფისო ისევ ზანტად თვლემდა.

და აი, სახლის იატაკის ორიჭოდან ერთი პანაწკინტელა წრუნუნა ამოძვრა, ფისოს დანახვაზე ცოტათი შეცბა,

მაგრამ დიდად არ შეშინებია, როგორც ჩანს, იცოდა, ზარმაცი რომ გახლდათ.

წრუნუნა ფანჯრისკენ წაცუნცულდა.

ათინათს ძალიან მოეწონა წრუნუნა. მიფარფატდა მასთან და მოდი, ვითამაშოთო, შესთავაზა.

თურმე წრუნუნასაც თამაში სურდა და, როგორც აღმოჩნდა, არც მისთვის ეცალა ვინმეს.

წრუნუნამ და ათინათმა დაჭერობანაც ითამაშეს, დახუჭობანაც, ხტუნვაშიც შეეჯიბრნენ ერთმანეთს და კოტრიალშიც.

კატამ რამდენჯერმე გაახილა თვალი, მაგრამ მათთვის ხელის შეშლა არც უფიქრია.

როცა ათინათის წასვლის დრო დადგა, მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ და მეორე დილამდე დაემშვიდობნენ.

ახლა წრუნუნა ათინათს ყოველ დილით იმავე ადგილას ელოდება. ათინათიც ესტუმრება ხოლმე და ერთად თამაშობენ.

თუ თამაში გინდა და არავინ გეთა-მაშება, მოძებნე შენი სახლის კედელში ჭუჭრუტანა და დაელოდე. დილით, როცა მზე ამობრწყინდება, იმ ჭუჭრუტანაში აუცილებლად შემოძვრება ათინათად გცეული სხივი და არასოდეს, არასოდეს გეტყვის თამაშზე უარს.

## გუგუ

ერთი გუგული ძალიან ზარმაცი იყო, შვილების გაზრდაც კი ეზარებოდა. ამის გამო ზოგი სად ჰყავდა გაბარებული, ზოგი სად. ერთხელაც აიღო და თავისი ერთი კვერცხი, ჩვეულებისამებრ, ისევ ვიღაცის ბუდეში ჩადო ჩუმად, თვითონ კი ქურდივით გაიპარა.

ბუდე შაშვის აღმოჩნდა.

გავიდა დრო და დაიბადა პატარა გუგული.

შაშვები გუგულსაც თავის პატარა შაშვებთან ერთად ზრდიდნენ.

გუგული ყველასგან განსხვავებული იყო, დიდი და ძლიერი. არავის უთქვამს,

მაგრამ თავადვე მშვენივრად ხვდებოდა, რომ სხვა იყო, სხვა ოჯახს ეკუთვნოდა და წესით, დედაც სხვანაირი უნდა ჰყოლოდა. გუგულების ენაზე დედას თურმე გუგუს ეძახიან. ჰოდა, გუგულს რომ ნამდვილი დედა მოენატრებოდა ხოლმე, გუ-გუ! გუ-გუ! – იწყებდა ძახილს. და ყველა ბარტყი, რომელიც დედა გუგულს სხვის ბუდეში ჰყავდა მიტოვებული, ერთხმად აჰყვებოდა ხმაში. იმ ტყის სხვა ჩიტებმა აღმოაჩინეს, რომ გუგულს დედა ყოველ საათში ერთხელ ახსენდებოდა. ამ დროს ჩიტები საათებზე დაიხედავდნენ და დროს ასწორებდნენ. მერე გადაწყვიტეს, რაღად გვინდა, ამხელა საათებს რომ დავათრევთ, მოდით, ზედ გუგულების ბუდეებს მივამაგროთ და უფრო მსუბუქად ვიფრენთო. თან გუგულებს ჰყითხეს, ხომ არ გვიწყენთ, ასე რომ მოვიქცეთ? გუგულებს, პირიქით, ძალიან გაუხარდათ. მერე ჩიტებმა გუგულიანი საათების ფაბრიკაც ააგეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შიგნით ნამდვილი გუგულები აღარ ისხდნენ.

ეს საათები ადამიანებმაც შეიძინეს.

მეც მაქვს ერთი ასეთი. ჰოდა, ახლაც, როცა ჩემი საათი დაიძახებს: გუ-გუ! გუ-გუ! – ვიცი, რომ სადღაც, რომელილაც ტყეში რომელილაც გუგულს ძალიან მოენატრა დედა და მას ეძახის.

## როგორ ვერ ისწავლეს თევზება ზრენა და ჩიტება ცურვა.

შოშია მდინარესთან იჯდა და წყლის დინებას ნალვლიანად მიშტერებოდა. უცებ წყალში ჩასკუპდა და ფრთები ააფართხალა... კი ააფართხალა, მაგრამ... გაცურავდა თუ რა? – დაფრინილი ნისკარტი წყლით აევსო, თვალები ლიმონის ნაჭრებივით გადაუყვითლდა და ნელ-ნელა ფსკერისკენ წავიდა.

უცებ საიდანლაც პატარა და ბრჭყვიალა თევზი მოცურდა, პირდაფრინილ შოშიას ზედაპირისკენ უბიძგა. მერე დიდი

წვალებით ნაპირისკენ გააქანა და რის ვაი-ვაგლახით ამოაგდო ქვიან ნაპირზე.

შოშიამ ძლივს ამოისუნთქა, ძლივს და-იწყნარა აჩქარებული გულის ცემა. რომ მოსულიერდა, მშველელს დაუწყო ძებნა.

– ეჰეი, ჭრელო! ჭრელო! ეჰეჰეე! სადა ხარ, ჩემი მშველელო ვეშაპო? – გაიძახოდა და დაფეთხებული დარბოდა ნაპირ-ნაპირ.

როგორც იქნა, წყლიდან „ვეშაპმაც“ ამოყო თავი და შოშიას მხიარულად გაეკრიჭა.

– შენა ხარ?... წყალში უფრო დიდი ზომის ჩანდი... – დამცინავად მიუგდო შოშიამ, – თუმცა მაინც მადლობელი ვარ, დალრჩობას გადამარჩინე... რა გქვია?

– თედო ვარ, ბებიამ დამარქვა, – მიუგო თევზმა. – შენ?

– მე – ლადო... ოლონდ არ ვიცი, ვინ დამარქვა... – ჩაფიქრდა შოშია, – ამას დღესვე გავარკვევ.

– წყალში რამეს დაეძებდი? ბუმბული ხომ არ დაკარგე? – პასუხის მოლოდინში თედომ ნაპირთან გაცურ-გა-მოცურა.

– ბუმბული კი არადა, ის არ გინდა?... – ჩაიხითხითა შოშიამ, მერე კი ამაყად მიუგო: – ცურვა უნდა ვისწავლო, ასე გადავწყვიტე.

– ცურვა? – თევზმა გაოცებისგან თვალები ჭყიტა და რამდენიმე წამით წყლის ზედაპირზეც კი გაჩერდა. – თუმცა რატომ მიკვირს, მეც მინდოდა ფრენის სწავლა, მაგრამ არაფერი გამომივიდა... აი, წყლის ზედაპირზე კი ადვილად ვჩერდები, ამითაც კმაყოფილი ვარ.

– გონია, ვერ ვისწავლი? ერთი-ორი წავარჯიშება და... – ამის თქმა იყო და შოშიამ ისევ ისეუპა წყალში...

ისევ იმარჯვა თედომ, თვალებდაყვლებილი და გალუმბული ლადო ისევ ამოაგდო ნაპირზე და ზედ ქოქოლაც მიაყარა: – გონია, საქმე არაფერი მაქვს? გაგეფრთხილებინე მაინც... – ჭიჭინებდა წყლიდან, – არა, რამე რომ მოგსვლოდა, რა უნდა მეთქვა შენი მშობლებისთვის?

მაგათ კი ვერსად ვნახავდი, ალბათ, მაგრამ ჩემი სინდისისთვის რა პასუხი უნდა გამეცა?.. მომისმინე, ლადო, ეგეთი მაიმუნობა ალარ გაბედო და ჩემი იმედი ნულარ გექნება! გასაგებია? – თედო შეტრიალდა და ბუზლუნ-ბუზლუნით შეცურდა წყლის სიღრმეში.

მიკნავლებული შოშია რის ვაი-ვაგლახით წამოჯდა ქვაზე, გულდაწყვეტილმა ამოიოხრა და ისევ წყალს მიაშტერდა.

თურმე ლადო შორიდან უთვალ-თვალებდა, ემანდ, კიდევ არ გადახტესო... მიხვდა, ძალიან სდომებია ცურვის სწავლაო და შოშიასთან მიცურდა.

– მომისმინე, შოში... ერთ-ორ გაკვე-თილს ჩაგიტარებ... უურადლებით მისმინე, იქნება, რამე გამოგივიდეს?

– ვიცოდი, ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდი! – ლადო სიხარულისგან შეხტა და სახეგაბრნყინებული ნაპირთან მოახლოებულ თედოს მიუცუცქდა, – აბა, ჰე... სმენად ვიქეცი.

– ესე იგი, წყალში უნდა გაწვე, ანუ ჰორიზონტალურად მოთავსდე, ისე კი არა, წელან ლოდის ნატეხივით რომ ჩავარდი?.. მერე ნაზად გააქნიე ტანი, ფარფლებიც რიტმულად ააყოლე... უფრო სწორად, ფრთები... თითქოს ცეკვა-ვო... ცეკვა ხომ იცი?

– კიი, აბა რააა! აი, აი, ასე, აი, ასე, ხომ? – შოშია ნაპირზე აცუნცრუკდა, ფრთები და ტანი ისე აათამაშა, თითქოს მთიულურს ცეკვავსო.

– კარგია, კარგია... ახლა კუდიც გააქნიე აქეთ-იქით... პირი... ანუ ნისკარტი კალმის წვერივით წინ გაიშვირე და მიანექი! რიტმი და მოქნილობა არ და-გავიწყდეს.

შოშიამ ამაყად მიმოიხედა, თითქოს თვალით მაყურებელს ექებდა... მერე... ფეხი თამამად შედგა წყალში და მოხდენილად განვა მის ზედაპირზე; ფრთები წებიერად აამუშავა, კუდიც მიაყოლა და წყლის სიღრმეში შეცურდა.

– კარგია, კარგია... ცოტა მარ-

ცხნივ... კუდი, კუდი არ დაგავიწყდეს, – წყლის ზედაპირზე მხარ-თეძოზე წამოგორებული თედო შოშიას მოძრაობას თვალს ადევნებდა; თან პროფესიონალის რჩევებს აძლევდა, – ასე, ასე, კარგია, კუდი... მარჯვენა ფრთა!.. ნისკარტი, ნისკარტი!.. რიტმი და მოქნილობა... რიტმი... ნისკარტი... შოში! სად მიდიხარ... რიტმი და მოქნილობა! სად მიდიხარ?.. ფრთა, ფრთა... ნისკარტი მოკუმე! თვალებს ნუ ჭყეტ! შოში! შოში! ლად-ოოოოოოოოო... – ეს გრძელი „ოოოოოოოოო“ თედომ უკვე ფსკერზე ააბუყბუყა და... ისევ ამოარია წყალნაყლაპი შოშია.



– შოში, რაც გასწავლე, ყველაფერი დაივიწყე... მაპატიე, შენთვის ყური არ უნდა დამეგდო, – ბრაზობდა თედო, შოშია გაუნძრევლად განრთხმულიყ ქვიან ნაპიზე... ან, სად შეეძლო განძრევა? დაბნეულად აცეცებდა უშუქო თვალებს.

– აღარ გაბედო წყალში შემოსვლა... დედა-ბუნებას რომ სდომოდა, ფარფლებს მოგცემდა და წყალში გაგაჩენდა... ეეჟ, ნეტა, შენნაირად ფრენა შემეძლოს, რა მინდა, ბიჭო, წყალში?

აქ კი თვალი ჭყიტა შოშიამ, – თედო, ფრენა უნდა გასწავლო, – წამოიძახა და ისე წამოხტა, თითქოს წუთის წინ ის არ ამოათრიეს ფსკერიდან.

– ფრენა?.. განა, არ ვცადე?.. სასა-ცილოდ ავიგდე თავი, – მიუგო თედომ.

– კარგი, რა... რა იცი, რა ხდება? მოდი, ასე ვცადოთ – ჩანჩქერთან მიცურდი და ქვემოთ რომ გადაგაქანებს, ფარფლები და კუდი ჰაერში ისე მოუსვი, თითქოს ჩაის ჭიქაში შაქარს კოვზით ურევ?.. გიყვარს ჩაი?

– კი, ძალიან, მაგრამ... ვერ გავიგე, ეგ როგორ უნდა გავაკეთო, – თედო ჩაფიქრებული მიაშტერდა ცას.

– აი, ისე გაიქნიე, თითქოს ჰაერში ცურავო, მიხვდი?

— კარგი, ვცადოთ... ისე, ჩანჩქერი-დან გადაფრენა თვითონ რატომ არ მო-მაფიქრდა?

ჩანჩქერის სათავესთან თედო და ლადო ცურვა-ფრენით მივიღნებ.

ისეთი ხმაური იყო, შოშიამ თევზს ვერაფერი გააგონა... მერე ფრთების ნარნარი რხევით მიანიშნა, ჰაერში ასე იფრინეო.

თედომ უკან-უკან დაიხია და მერე მთლიანად დაჰყევა წყლის დინებას; თავ-ქვე დაშვებისას კი ფარფლები და კუდი გაკვეთილზე ნასწავლის მიხედვით აა-ფართხალა. შოშია ფრენით მიჰყებოდა და სწორ მოძრაობებს თედოს დასანა-ხად ნელ-ნელა ასრულებდა, ეგეპ, უფ-რო კარგად მომბაძოსო.

თედომ ჩანჩქერის ძირში გაადინა ტყა-პანი... ძლივს ამოღოლდა წყლის ზედა-პირზე. მისი მოღოლინით გულგანვრილე-ბულმა შოშიამ თევზს გასძახა: — თედო, სად დაიკარგე? სულ ესა ხარ?.. რაა ამაზე ადვილი? ერთი-ორი, ერთი-ორი... — რიტ-მულად აამოძრავა ფრთები, — ასე უნდა გექნა, ასე... შემდეგ ჩანჩქერზე უნდა ვცადოთ... აპა-პა-პა! უარი არ გამაგონო! — ლადომ ყურები ფრთებით დაიცო. — უკან ვეღარ დავიხევთ!

...მომდევნო ჩანჩქერი უფრო მაღა-ლი და სწრაფი იყო. აქ კი ისწავლის ფრენასო, გაიფიქრა შიშით გულაკან-კალებულმა შოშიამ და თედოს ერთი-ორი სახელდახელო გაკვეთილი კიდევ ჩაუტარა.

უკვე რამდენიმე წამში თედო ჰაერში იყო, გამალებით აქნევდა ფარფლებს, შოშიას ბაძავდა...

ჩანჩქერის ხმაურში ძლივს ისმოდა ლადოს განწირული ბლავილი: — მიდი, თედო, მიდი! შენ ეს შეგიძლია! შეგიძ-ლია! გესმის?.. ფარფლები მარჯვნივ, მარცხნივ... კუდი, კუდი... რიტმი არ აგერიოს! შენ ეს შეგიძლია! შეგიძლია! — ბოლო „შეგიძლია“ თედომ ჩანჩქერის ფსკერზე-ლა გაიგო, უფრო სწორად, ვერ გაიგო...

ისევ ძლივსძლივობით ამოტივტივ-და... ნაპირთან სვენებით, ნელა მიცურ-და — ემანდ, დაბეგვილი გვერდები ზო-მაზე მეტად არ გავატოკოო...



...იჯდა ლადო მდინარის ნაპირზე და წყალს უხმოდ მისჩერებოდა.

...დაცურავდა თედო შუა მდინარეში და ზეცას ნაღვლიანი თვალებით მის-ჩერებოდა.



შოშია ჭრელას ცის ამბებს უყვება... ჭრელა შოშიას — ზღვისა და ოკეანი-სას... აბა, ვის გაუგია, ჩიტმა ცურვა ისწავლის ან თევზმა ფრენა... მაგრამ, ვინ იცის?..

## ვანტელეთი

ზამთარში, როცა ფიფქი ცვივა, თუ ეზოში გახვალ, ხელისგულებს ზემოთ აწევ და ხელზე ფანტელი დაგეცა, იცო-დე, რომ ის შენია, თავიდანვე შენთვის იყო განკუთვნილი და ციდან შენს სანა-ხავად ჩამოფრინდა.

ხელისგულზე დაცემულ ფანტელს კარგად თუ დააკვირდები, და თუ შემ-თხვევით ჯიბეში მიკროსკოპიც გიდევს, მისი დახმარებით აღმოაჩენ, რომ შე-ნი ფიფქი მშვენიერია — მრავალქიმიან კაშკაშა ვარსკელავს ჰელვის, ბზინავს და თვალისმომჭრელად ლაპლაპებს... სი-ნამდვილეში ის პანაწინტელა ყინულის კრისტალია, რომელიც თოვლის ბაბუ-ამ შენთვის გამოგზავნა. თანაც, ყველა ფანტელი ერთმანეთისგან განსხვავდება, ვერასძროს ნახავთ ორ ერთნაირ ფიფქს.

არ გეგონოს, რომ ფანტელი თავისით აგნებს შენს ხელისგულს — ყოველ მათ-განს თავისი მეგზური ჰყავს. მეგზური ფიფქზე დგას, მისთვის პანაწინა თოკი გამოუბამს და ციდან სათანადო მიმარ-თულებით მოაქროლებს — ზუსტად შენი ხელისგულისკენ. თუ ვინმემ დაიზარა და

ხელი არ შეუშვირა, ფანტელი მინაზე ეცემა. მეგზურები სინამდვილეში ფანტელების ოსტატებიც არიან – მათ ჯერ ფურცელზე ხატავენ და შემდეგ ყინულის ყალიბში ასხამენ. ამ ყველაფერს ბებო ზამთრინა ხელმძღვანელობს – თოვლის ბაბუს ცოლი, იგივე თოვლის ბებო. აბა, ბაბუს სად სცალია ამისთვის, ის ხომ საჩუქრებს ამზადებს პატარებისთვის და ისედაც დიდ განამანიაშია. მაგრამ მეგზურებს თავის ფანტელებიანად თოვლის ბაბუა გზავნის – დალოცავს და მერე გზისთვის აუცილებელ ჯადოსნურ ენერგიას აძლევს.

თავიდან ფიფქი ლამის ადამიანის ოდენაა, მარა გზაში დნება და პატარავდება. თანდათან მეგზურებსაც აკლდებათ თოვლის ბაბუს მიერ მიცემული ენერგია და თვალსა და ხელს შუა პატარავდებიან. ბოლოს ისინიც ფიფქებივით პანაწკინტელები ხდებიან.

როგორც კი მეგზური მოგიახლოვდება და თვალს შეგავლებს, უკვე იცის, რომ შენ ხარ სწორედ ის, ვისაც მის მიერ ჩამოსხმული ფიფქი ეკუთვნის. შენ კი დგახარ ცისკენ ხელისგულებმიშვერილი და მის ქმნილებას ელოდება. სანამ ფიფქი დაგეცემა, მეგზური ხსნის თავის თოკს, წელზე შემოიბამს, ზემოთ ახტება და ეჰეჰეჰეჰე... სულ რამდენიმე წამში თოვლის ბაბუს ჯადოსნობით ისევ თავის სახლს უპრუნდება. მერე ისევ ახალ ფანტელს ასხამს ყალიბში და ასე შემდეგ. ზოგიერთ ფიფქს პატრონი ზედ არც დახედავს, დამეცა და მერე რაო, ვერც კი წარმოუდგენია, ამ პანაწკინტელა თეთრ წერტილში უზარმაზარი შრომა რომაა ჩადებული. ზოგი კი დაკვირვებით ათვალიერებს, ცდილობს, წამიერად მაინც დატკებს ციცქა კრისტალის სილამაზით – წამის მერე ხომ ფანტელი სამუდამოდ დნება...

და ერთხელ, სწორედ შობის წინ, საშობაო სურვილის ჩასაფიქრებლად

ეზოში სასეირნოდ გამოსულმა ნუკიმ თავისი ფანტელის მოლოდინში ხელი ცისკენ აიშვირა...



– უფ, მშვენიერი გამოდის, ამის-თანას მართლა ვერ ნარმოვიდგენდი. ნიჭიერი ვარ, აბა, რააა!!! – ფანტიამ ფიფქი ყინულის ყალიბიდან ამოილო და კმაყოფილმა შეათვალიერა. — როგორ გავახარებ პატარა ნუკის. ამის დახატვას მთელი ლამე მოუწნდი... თვალიც არ მომიხუჭავს.

– მართლაც მშვენიერია, ყოჩალ! – ზამთრინა ბებომ ფანტიას მხარზე ხელი მოუთათუნა. – ჩემო ნიჭიერო და ბეჯითო!

იქვე მდგარმა მტვირთავმა, ფანტიას საქმიანობას ნამძინარევი თვალებით ზანტად რომ აკვირდებოდა, ფიფქი ურიკაზე ფრთხილად დადო და გარეთ გაიტანა.

– ბაბუსაც ძალიან მოეწონება. გემრიელი ჩაი და შოკოლადის ნამცხვარი სამზარეულოში გელოდება. აბა, შენ იცი... წინ დიდი გზა გიდევს. მშიერი ნუ წახვალ. ამასობაში სხვებიც მოემზადებიან. – ზამთრინა ფანტიას სამზარეულოსკენ გაუძლვა.

ფანტიამ სასწრაფოდ შესვლიპა ჩაი და შოკოლადის ფუმფულა ნამცხვარი. ბებოს სიყვარულით ჩაეხუტა, აკოცა და გარეთ გამოვიდა. იქვე, ნაძვის ქვეშ, მისი ფიფქი ბრჭყვიალებდა.

მეგზურები უკვე მოგროვილიყვნენ და თავიანთ ფანტელებს კაზმავდნენ – დედამინაზე ჩასაფრენად ემზადებოდნენ.

თოვლის ბაბუ ეზოში გამოვიდა, კმაყოფილმა გადავლო ყველას თვალი.

– ყოჩალ, კარგად გიმუშავიათ. ძალიან გაახარებთ ადამიანებს. მშვიდობით მგზავრობას გისურვებთ. არ დაგავინყდეთ, რომ დროზე აფრინდეთ ფანტელიდან. ფიფქებს მიაცილებთ თუ არა, უკან დაბრუნდით. ხომ გახსოვთ, შობამდე რამდენი სამუშაო გველის?

— გვახსოვს, ბაბუ. აბა, რააა... მაშინვე მოვპრუნდებით, — ახმაურდნენ მეგზურები.

— აბა, თქვენ იცით. ყურადღებით იყავით, ერთმანეთს ნუ დაკარგავთ. კეთილი მგზავრობა.

მეგზურები ფიფქებზე შესხდნენ და შხუილ-შხუილით აფრინდნენ ჰაერში.



კოსმოსში მშვენიერი ამინდი იდგა. არც ციონდა, არც ქარაფშუტა წიავი დაჰქეროდა ალმა-დალმა, როგორც დედამიწაზე იცის ხოლმე.

ფანტელების ქარავანი კარგა ხანია სახლს მოშორებოდა. მეგზურები ყოჩალად იდგნენ თავიანთ ფიფქებზე და მთელი სიჩქარით მოაგელვებდნენ. იყო ერთი გადაძახილი, ხმაური, ზოგი მღეროდა, ზოგი სასაცილო ამბებს ჰყვებოდა, ზოგი გულიანად ხითხითებდა და ზოგიც, უბრალოდ, ყურადღებით გაჰყურებდა ვარსკვლავებს შორის გასავლელ გზას.

შორიდან ფიფქების ნაკრები მოციმუმიე ვარსკვლავების გუნდს ჰეგვდა, რომელიც ელვისებურად მიექანებოდა პლანეტებს შორის. ზოგ ასტრონომს ასეთი გუნდი რატომლაც მეტეორიტი ჰეგონა.

ფანტიამ კიდევ ერთხელ მოწონებით შეათვალიერა თავისი ფიფქი, ერთ-ორ ადგილას ფაქიზად გადაუსვა ხელი და მტვერი ააცალა, მერე ერთი მაგრად დაამთქნარა, ბიჭებო, ადგილზე რომ მივალთ, გამალვიძეთო, გასძახა სხვებს, სადავეები ისე მოჭიმა, რომ ფანტელს მიმართულება არ არეოდა, ფიფქზე კარგად მოკალათდა, თავქვეშ თავისივე ქუდი ამოიდო და ხმაურის მიუხედავად, მშვიდი ფშვინვა ამოუშვა.

მალე დედამიწასაც მიუახლოვდნენ.



ფანტიამ გაიზმორა. თვალები გაახილა და რას ხედავს: თავის ფანტელთან ერთად ნუკის ხელისგულზე ზის,

გოგონა კი გაფართოებული თვალებით დასჩერებია და ყურადღებით ათვალიერებს.

— ვაიიიიი!!! — წამოხტა ფანტია, — ეს რა დამემართა?

— რა მოხდა? ვინ ხარ? — წამოიძახა შეშინებულმა ნუკიმ.

— მე მეგზური ვარ. ფიფქზე ჩამეძინა. მთელი ლამის უძილო ვიყავი და... ნეტა, რატომ არ გამალვიძეს?

— ვის უნდა გაელვიძებინე?

— ჩემს მეგობარ მეგზურებს.

— შენი მეგობრები სადღა არიან? — ნუკიმ შიშით მიმოიხედა.

— ეეეჭ, საუბედუროდ, ფიფქიც აღარ ცვივა, რომ ვინმეს ხმა მივაწვდინო... ეს რა დამემართა?.. ეგენი უკვე სახლში იქნებიან. მე რა მეშველება, მეეე... — ფანტია უკვე ნახევრად დამდნარ ფანტელზე ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

— საცაა შობაც დადგება. — ამოიკვნესა ხმამალლა — ასაფრენი ენერგია აღარ მაქვს. ძალა სულ გამომეცალა, სუულ. აი, ნახე. — რამდენჯერმე ახტა ნუკის ხელისგულიდან, მაგრამ უშედეგოდ — ისევ ზედ დაენარცხა.

ცოტა არ იყოს გაოცებულმა გოგონამ მხრები აიჩეჩა — პირველად ნახა ასეთი პანია მეგზური, თან მოლაპარაკე, თან გზაბნეული, თანაც, — ცაშია ახტომას რომ ცდილობდა, ისეთი.

— ჰმ! — თქვა ნუკიმ. მერე ფიფქს დააკვირდა. — რა ლამაზიაააა!!!

— რაზე ამბობ?

— რაზე და ფანტელზე! ნახე, რა ლამაზია!

— ზეპირად ვიცი, როგორიცაა... მეგავაკეთე. — ამაყად წამოდგა და ცალი ფეხი ფიფქზე შემოდგა.

— ეს ფიფქი?.. ყოჩალ! მართლა ძალიან ლამაზი და საყვარელია.

— ჰოდა, მაგიტომაც არ მიძინია — ლამაზი და საყვარელი მინდოდა ყოფილიყო და მთელი ლამე მაგას ვხატავდი. ახლა კი... ვაიმე, რა უნდა ვქნა?

— ნუ გეშინია, შენი მეგობრები გი-

პოვნიან. ისე, შენ ნამდვილი მხატვარი ყოფილხარ, ფიფქების მხატვარი. კიდევ დახატავ?

- კი, თუ უკან დაბრუნება მეღირსა.
- სად უნდა დაბრუნდე?
- ჩემს სახლში, თოვლის ბაბუსთან...

ისე, რომ იცოდე, თოვლის ბაბუ კი არა, ჩემი ბაბუაა.

— მართლა? თოვლის ბაბუა შენი ბაბუა?

— აბა, რააა? საშობაოდ იმდენი საქმეები გვაქვს... საჩუქრების დარიგებაში უნდა დავხმარებოდი... თანაც, შობამდე თუ არ დავბრუნდი, ვერც ველარასოდეს დავბრუნდები... — ფანტიას თვალები ცრემლებით აევსო.

— ნუ გეშინია, ბაბუა მოგეხმარება.  
— ვერა... ვერ მიპოვნის... მე ხომ ძალიან პატარა ვარ.

— ჰო, ეგ სულ დამავიწყდა. აბა, რას იზამ?

— არ ვიცი. წარმოდგენაც არ მაქვს.  
— თავი გადააქნია ფანტიამ.

— უი, ნახე, დადნა. — თქვა ნუკიმ სევდიანად და წყლის წვეთს თითო გადაუსვა, — დადნა. რა სამწუხაროა.

— ჩემი ფიფქი... — ამოიოხრა ფანტიამ — არასოდეს ენახა, როგორ იქცეოდა ფიფქი წყლად. — ეჲ...

- შენ რა გქვია?
- მე?.. ფანტია ვარ.
- მე — ნუკი.
- ვიცი.
- საიდან?

— შენს ფანტელს ხომ მე ვამზადებდი. ყველამ იცის იმის სახელი, ვისთვისაც ფანტელს ამზადებს.

— მართლა?.. მაშინ ისიც გეცოდინება — სურვილი ამისულდება თუ არა? საშობაო სურვილი.

— რა თქმა უნდა? თოვლის ბაბუმ ყველას ოცნებები იცის.

- ესე იგი, დედა მიპოვნის?
- დედააა? დედა გეძებს? ...
- ალბათ. პატარა რომ ვიყავი...
- ახლა რა, დიდი ხარ?

— არა, მაშინ უფრო პატარა ვიყავი... ზღვის ტალღამ გამიტაცა. დედა მას მერე არ მინახავს.

— მერე?

— მერე სადღაც ნაპირზე გამომრიყა. მას შემდეგ ამ სახლში ვცხოვრობ.

— ნუკიმ უკან მდგარ სახლზე მიუთითა. ათასფრად განათებული შენობიდან ბავშვების ჟივილ-ზვილი გამოდიოდა.  
— აქ კარგია, მაგრამ დედასთან მირჩევნია. ძალიან, ძალიან მომენატრა. ჰოდა, უნდა ჩავიფიქრო, რომ დედა დამიბრუნდეს. ნეტა, მიპოვნის?

— გიპოვნის, აბა რააა? ალბათ, დღემდე გეძებს. აუცილებლად გიპოვნის.

— მართლა?

— ეჭვიც არ მეპარება.

— არ მეხუმრები?

— რა თქმა უნდა, არა.

— უფ, იცი, როგორ გამახარე? დღემდე არასოდეს მიფიქრია ამ ოცნების ჩაფიქრება. მეგონა, ისედაც მიპოვნის-მეთქი. ახლა კი აუცილებლად ჩავუთქვამ. ცოტას თოვლის ბაბუც წაეხმარება. შენ კი რისი გეშინია — თოვლის ბაბუა თუ ბაბუაშენია, აუცილებლად მოგძებნის. რა გადარდებს? მერე რა, რომ პანაწკინტელა ხარ? სურვილი ჩაიფიქრე და...

— ოჲ, ნეტავ, მასე იყოს... სურვილის ჩაფიქრება ჩვენზე არ ჭრის. ჩვენი მოძებნა კი არც ისე იოლია. სანამ დედამიწაზე დავეცემით, მანამდე უნდა მოვასწროთ აფრენა, ასეთი წესი გვაქვს და ბაბუაც სულ ამას გვაფრთხილებს. ახლა როგორმე შობამდე უნდა დავბრუნდე, თორემ სამუდამოდ დედამიწაზე მომიწევს დარჩენა.

— მერე რა? აქ ცუდია?

— მითხარი, აბა, აქ რა უნდა ვაკეთო? სახლში კი ათასი საქმე და ჩემი ოჯახი მელოდება. უჩემოდ ახალი წელიც არ იქნება ისეთი კარგი და მხიარული.

— მართლა?

— აბა რაა?? საახალწლო დღესასწაული მთელ ეშხს დაკარგავს.

- ჰმ. ძალიან ცუდია. მაშ, რა ვქნათ?
- წარმოდგენა არ მაქვს.
- ესე იგი, სხვა გზა არ არსებობს?
- არანაირი! – ამოისლუკუნა ფანტი-ამ, ისევ ჩაქინდრა თავი და ცრემლიან თვალებზე ხელი აიფარა.
- არ იტირო, რააა, ფანტიი... – ას-ლუკუნდა ნუკიც. – არ იტირო.
- ფანტიას კი უკვე ღვარად სდიოდა ცრემლები.
- ნუკი ძალიან დადარდიანდა.

●

თოვლის ბაბუს სასახლეში ფაცი-ფუცი არ წყდებოდა. იყო ერთი ური-ამული და აქეთ-იქით სირბილი. ბაბუა სურვილებისა და ოცნებების სიას ხმა-მალლა კითხულობდა — დანარჩენები ბრჭყვიალა ყუთებში სხვადასხვა ნივ-თებს აწყობდნენ და კოხტა ბაფთებით კრავდნენ. მერე ალაგებდნენ და ალა-გებდნენ საჩუქრებს უზარმაზარ ტომ-რებში. ამ საყოველთაო აურზაურში ფანტია არავის გახსენებია — რა გა-საკვირია — არც არასდროს ყოფილა, რომ მეგზურთაგან რომელიმე დედა-მიწაზე დარჩენილიყოს — ყველა დათ-ქმულ დროზე ბრუნდებოდა უკან.

მაგრამ რა არ ხდება?..

●

ნუკი გულდათუთქული დაჰყურებ-და თავის ახლად შეძენილ მეგობარს, ფანტია კი ჩაფიქრებული მიშტერებო-და ზეცას.

გოგონა გრძნობდა, რომ მისი დახმა-რება არ შეეძლო და უმწეოდ ჩამოეყა-რა მხრები... მაგრამ...

უცებ ნუკიმ წამოიძახა: – იცი რა, დედა ძალიან მენატრება. ძალიან მინ-და მიპოვნოს... და მჯერა კიდეც, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ოთახის კარი გაიღება და დედა დამიძახებს: – ნუკი!.. შენ კი, თუ ახლავე არ დაბრუნდი, სა-მუდამოდ აქ მოგიწევს დარჩენა, ხომ მართალია?

- კი, ზუსტად ეგრეა.
- იცი რა?.. მე შენ საშობაოდ... მე შენ ჩემს სურვილს გაჩუქებ.
- ეგ როგორ? – მხრები აიჩეჩა ფან-ტიამ.

– როგორ და აი, ასე. – გოგონამ ზე-მოთ აიხედა და დაიძახა: – ჩემი საშო-ბაო სურვილია, ფანტია სახლში დაბ-რუნდეს! – მერე ისევ ფანტიას და-აცქერდა და სიხარულით მიაყარა: – თოვლის ბაბუ ხომ ყველას სურვილს ასრულებს – ჩემთანაც ჩამოფრინდება და ასე გიპოვნის.

– ვამე, ეს რა ჩაიდინე? მერე შენი სურვილი? ვაითუ, დედას გაუჭირდეს შენი მოძებნა.

– ერთი წლის შემდეგ ჩავიფიქრებ, ერთი წლის მერე, შობაზე. მანამდე მაინც ნიშანი მქონდა გამოსასწორე-ბელი არითმეტიკაში, ჰოდა, ცოტათი მრცხვენოდა კიდეც დედიკოსთან.

დალონდა ფანტია, არადა, წესით, უნდა გახარებოდა. ფეხის წვერით უხერხულად დაიწყო ნუკის ხელისგულ-ზე ფიგურების მოხაზვა.

– რა მოხდა, ფანტი?

– არაფერი, უბრალოდ, ასეთი ძვირ-ფასი საჩუქარი არავისგან მიმიღია და... გული ამიჩუყდა... რომ შემეძლოს, ძა-ლიან მაგრად ჩაგეხუტებოდი. ამისთვის ახლა ძალიან პატარა ვარ.

– ახლა? რატომ ამბობ ახლაო?

– იმიტომ, რომ სინამდვილეში ჩვეუ-ლებრივი ბიჭი ვარ... უბრალოდ, ფანტელს რომ მოვყვებით, ბაბუ გვაპატარავებს – ჩვენს ფრენას დიდი ენერგია რომ არ დასჭირდეს... ჩვენც და ფანტელებსაც... თანაც წარმოიდგინე, ადამიანის ხელა ფიფქები რომ ცვიოდეს ციდან? – და ფანტია მხიარულად ახითხითდა.

– უუუფ, საშინელება იქნებოდა. – ახითხითდა ნუკიც.

●

როცა ფანტელებში ფანტია მოი-კითხეს, თოვლის ბაბუ უკვე საჩუქრე-

ბის დასარიგებლად ემზადებოდა. ატყდა ერთი ამბავი. ახლადა გაასხენდათ მეგზურებს, ფანტის ფიფქზე რომ დაეძინა. ივიშვიშეს, იტირეს, მაგრამ რაღას იზამდნენ – წინ ძალიან გრძელი ღამე ელოდათ – პატარები თავიანთ საჩუქრებს ელოდნენ.

– ბავშვებს ვერ დავალალატებთ, – თქვა დადარდიანებულმა თოვლის ბაბუამ. ამაღამ ყველას ოჯახი უნდა მოვინახულოთ...

მთელი ღამე მუხლჩაუხრელად შრომობდნენ. თოვლის ბაბუას ტომრებს ტვირთავდნენ და საჩუქრებს პატრონებთან ატანდნენ. ბაბუაც მიფრინავდა, მიჰქონდა სავსე ტომრები, უკან კი ტვირთისგან ხელდაცლილი ბრუნდებოდა, მიფრინავდა და მოფრინავდა. მიფრინავდა და მოფრინავდა... მაგრამ ბაბუ აღარ იყო ძველებურად ხალისიანი – სახეს არც კეთილი ღიმილი უნათებდა და არც მხიარულად უციმციმებდა თვალები.

ფანტელეთშიც ყველა მოწყენილი იყო. ზამთრინა ბებომ იმ საღამოს ჩაიზე მისაყოლებელი შოკოლადის ნამცხვარიც კი აღარ გამოაცხო. მეგზურებმა ფრენის ხალისი დაკარგეს, მაგრამ დაკისრებულ მოვალეობას მაინც პირნათლად ასრულებდნენ – ბაბუმ განუცხადა, ნამდვილი პროფესიონალი მაშინ ხარ, როდესაც შენი განწყობა საქმეზე გავლენას ვერ ახდენსო. თავადაც ხომ აძლევდა მაგალითს – დაუზარლად არიგებდა ნანატრ საჩუქრებს.

და სწორედ მაშინ, როცა უკვე ყველას ხელი ჰქონდა ჩაქნეული ფანტიას მოძებნაზე, მაშინ, როცა ყველა საბოლოოდ შეგუებოდა აზრს – ფანტიას ველარასოდეს ვნახავთო, ბაბუა ამ ახალი წლის ბოლო მოგზაურობიდან დაბრუნდა. კარი შეაღო. საახალწლო სუფრასთან მსხდომ მეგზურებსა და ბებოს თავიც არ აუწევიათ – სულაც არ იყო საზეიმო განწყობა. ბაბუმ ცარიელი ტომარა საკიდზე ჩამოკიდა. თვალებში

მხიარული სხივები უთამაშებდა.

– აბა, რას ჩამოგიყრიათ ყურები? რამ დაგაღონათ? ახალი წელი დგება!

– ერთი-ორმა ნაღვლიანად ასწია თავი. თოვლის ბაბუა მარტო არ იყო – მის გვერდით სახეალენილი, ცოტა დაბნეული და მორცხვად მოღიმარი ფანტია იდგა...



ზუსტად ერთი წლის შემდეგ ნუკის ოთახის კარზე კაკუნი გაისმა.

– ნუკი. ნუუუკი... – ჩუმად დაიძახა ვიღაცამ. ხმა ძილში მოესმა გოგონას. ეს დედა იყო.

## თუთიყუში

ბუმბულებზე შიგადაშიგ თეთრი და შავი ზოლები კი დაჟყვებოდა, მაგრამ ძირითადად მაინც ნაცრისფერი იყო. პატარა თუთიყუშს არ მოსწონდა თავისი ნაცრისფერობა. ან მწვანე ვყოფილიყვი გაზაფხულის ფოთლებივითო, ან ლურჯი – ზღვასავითო, ან წითელი – ბრონეულივითო, ან ყვითელი – ქვიშასავითო, – ასე ოცნებობდა გაუთავებლად. რას არ აკეთებდა თავისი ოცნების ასასრულებლად – ხან ზღვაში ჭყუმპალაობდა, ხან ქვიშაში ეფლობოდა, ხან ხის ფოთლებით იზელდა ტანს და ხანაც ბრონეულის წვენით, მაგრამ უშედეგოდ.

ერთხელ ურჩიეს, მზისგულზე დიდ-ხანს თუ გაჩერდები, გაირუჯები და მოყავისფრო-მოსტაფილოსფრო გახდებიო... დაიჯერა საცოდავმა და მზეს მიეფიცხა.

საღამომდე არ განძრეულა, იდგა და ხეითქი გადასდიოდა, წყალსაც კი არ სვამდა, ახალი ფერი არ გამიფერ-მკრთალდესო. მაგრამ რა? – მწველ მზეზე მხოლოდ ბუმბულები შეეტრუსა, ფერი კი საერთოდ არ შესცვლია... ჰო, ცოტა თავბრუც ეხვეოდა სიცხისგან.

თუთიყუში საგონებელში ჩავარდა. ეჱ, არ ყოფილა ჩემი საშველიო, დაასკვნა ბოლოს და ის იყო, ოცნებაზე ხე-



ლი ჩაიქნია, რომ ცისარტყელა შენიშნა – მდინარეზე გადაჭიმულიყო და უდარ-დელად თვლემდა.

თუთიყუში აღფრთოვანდა. ცისარ-ტყელასთან მიფრინდა, მასთან ახლოს, ქვაზე დასკუპდა და ინტერესით დაუწყო თვალიერება.

რას მომჩერებიხარო, ჰკითხა ცისარ-ტყელამ.

შენი ფერები მომწონს და ვტკბებიო, უპასუხა ნაცრისფერმა ჩიტუნამ.

აირჩიე, რომელიც მოგწონს და ცო-ტას გინილადებო.

ლამის გადაირია თუთიყუში სიხარუ-ლით, ხტუნვას და ტაშის ცემას მოჰყვა, მერე, ოდნავ რომ დამშვიდდა, ფერის შერჩევა დაიწყო... ხან წითლისკენ გაუ-ნია გულმა, ხან ლურჯისკენ, ხან იის-ფერმა მოხიბლა, ხანაც სხვა ფერმა...

დროზე, თორემ ახლა სხვაგან უნდა წავიდე და მერე ვეღარ დაგეხმარებიო, უთხრა ცისარტყელამ.

თუთიყუშმა ისევ გადავლო ფერებს თვალი, მაგრამ რატომძაც ძალიან მო-იწყინა – ჩანს, არ იცოდა, საბოლოოდ რომელი ფერი შეერჩია. იდგა ფრთებ-ჩამოყრილი და ხმას არ იღებდა.

ცისარტყელა კი ნელ-ნელა გაილია, გაილია და ის იყო, უნდა გამქრალი-ყო, რომ თუთიყუშის თვალებზე პანია ცრემლები შენიშნა.

ცისარტყელას შეეცოდა თუთიყუში

და თანაგრძნობით გადა- უსვა თავზე ხელი, მერე კი გაქრა.

ნამოვიდა აცრემლებუ-ლი ჩიტი, სლუკუნ-სლუ-კუნით მივარფატებდა, ეს რა ჩავიდინე, უოლოსფერი მაინც შემერჩია, ნახე, რა ლამაზად იჭყიტება უო-ლო ფოთლებიდანო, ანდა ყვითელი... ამ ნარცისი-ვით ლამაზი ვიქნებოდიო. ან მწვანე... მწვანე მაინც მეტქვა, ამ ხასხასა ბალახს მაინც დავემსგავსებოდიო.

ჰოდა, ცრემლები რომ მოეწმინდა, ფრთა ანია და რას ხედავს, სულ ასჭრე-ლებია, მერე მეორე ფრთაზე დაიხედა, მერე ტანზე და კუდზე. არ სჯეროდა ნანახის. ტბისკენ გაფრინდა და შიგ ჩა-იჭყიტა – თუთიყუში ჭრელი იყო. არც ასეთი ლამაზი ფერები ენახა ოდესმე.

ბედნიერებისკენ აჭიკჭიკდა და თან – მადლობა, ცისარტყელაო, გაიძახოდა მთელი ხმით.

ასე გახდა თუთიყუში ჭრელაჭრუ-ლა ფერის. აი, ადამიანივით ლაპარაკი როდის ისნავლა, ამის შესახებ არაფე-რი ვიცი და თუ რამე შევიტყვე, თქვენც აუცილებლად მოგიყვებით.

## სათბური

შემინული დიდი სათბური ყვავილები-თაა მოფენილი. ვარდები, ფურისულები, ტიტები, ბეგონიები, ზამბახები, მიმოზე-ბი... იქაურობა სამოთხეს ჰგავს...

მაგრამ ყოველი დილა ყვავილებს შორის კამათით იწყება:

– ოჳ, რა ლამაზი ვარ! – იტყვის ერ-თი, მაგალითად, მიმოზა.

– ლამაზი? ვითომ? ლამაზი მე ვარ და არა შენ! – ამბობს მეორე, მაგალი-თად, გვირილა, – ნახე, რა ყვითელი გული მაქვს და რა ქათქათა გვირგვინი.

– ჰმ! ლამაზის ნახვა თუ გნებავთ,

ორივემ აქეთ მოიხედეთ! – დაიძახებს ვარდი, – ყვავილთა მეფე ვარ, ფერიც მეფური მაქვს, მუქი შინდისფერი, და ფურცლებიც ისეთი ნაზი, თქვენ არც დაგესიზმრებათ.

– მახინჯი მეფეებიც არსებობენ. ლა-მაზი რომ იყო, მეფური წარმომავლობა სულ არაა აუცილებელი, – საიდანლაც ისმის ნარცისის ხმა, – თუ სინაზეზეა საქმე, ყველაზე ნაზი ფურცლები მე მაქვს, თანაც მართლაც გვირგვინის ფორმის... და სურნელი? რომელს გაქ-ვთ ასეთი სასიამოვნო სურნელი?

– სურნელიც კარგი მაქვს და სინა-ზითაც გამოვირჩევი, ვითომ რითი ვარ თქვენზე ნაკლები? – აქ ია წამოჰყოფს თავს.

– ჰი, ჰი, ჰი! – გადაიკისკისებს იასა-მანი. – შენ ჩემს ფრჩხილადაც არ ღირ-ხარ, ცოტათი კი გვამსგავსებენ, მაგრამ სად შენ და სად მე? ნახე, რა მშვენი-ერი, პანანინა ყვავილები მაქვს? თან რამდენი? და რა სურნელს ვაფრქვევ?

– მე კი ძალიან, ძალიან ლამაზი ვარ! შემომხედეთ, განა გინახავთ სადმე ასე-თი ნატიფი ნაკვთები და ასეთი ნარნა-რი გამოხედვა? – გულნატკენი ამბობს შროშანი.

– ჰმ! სინატიფე და დახვენილობა ჩე-მი მოგონილია! – უკმაყოფილებას ვერ მალავს კალა, – არც ჩამომავლობა მაქ-ვს ვინმეზე ნაკლები და არც გარეგნობა ხელწამოსაკრავი, სწორედაც რომ ჯი-შიანი გახლავართ!

– ო, რას მოვესწარი? ამდენს კა-

მათობთ და არც ერთს არ გახსენე-ბია ჩემი სახელი! – წიკვინებს განერ-ვიულებული ტიტა, – ვერ ხედავთ, რა მრავალფეროვანი ვარ? მერე რა, რომ სუნით მაინცდამაინც არ გამოვირჩევი, სამაგიეროდ, ყვითლებიც ვართ, თეთ-რებიც, წითლებიც, ვარდისფრებიც, იისფრებიც, უოლოსფრებიც, მდოგვის-ფრებიც...

– უოლო და მდოგვი არ ვიცი მე! ერ-თი ვარ და ვისაც უნდა, შემეჯიბროს! – ყვირის მთელი ხმით ენძელა, – ნაზიც ვარ და სურნელოვანიც, დახვენილიც და საყვარელიც. მერე რა, რომ პატარა ვარ? მე ხომ გაზაფხულის მახარობელი ვარ.

– სამაგიეროდ, მალე ჭერები, მე კი... ვხარობ და ვხარობ. – ამბობს ვარდი, – მეფური სისხლი მაინც სხვა არის.

– კალასი არ იყოს, ჩამომავლობით ვერავის გაგვაკვირვებ, ვერც მდიდრული იერითა და ვერც სურნელებით! – წამოი-მართება ბეგონია, – ვისაც ეჭვი ეპარება ჩემს ნათქვამში, კარგად დამაკვირდეს! – ამაყად შეარხევს მხრებს....

ამასობაში სალამოვდება კიდეც. იძი-ნებენ.

და დილიდან ისევ:

– მართლაც ყველაზე მშვენიერი ვარ! – ამბობს ერთი...

ასე გრძელდება იქამდე, სანამ სათ-ბურის მფლობელი არ შემოვა დიდი მაკრატლით ხელში. შეარჩევს ყველაზე ლამაზებს და ძირში დაჭრის... ყვავი-ლები გასაყიდად მიაქვს.

## ბესიკ ბარათელი

### არეოპაგიტიკა და ვაზა-ფშაველა

აზროვნების ისტორიაში იშვიათად გვხვდება ისეთი თხზულებები, რომლებშიც კულტურულ-ფილოსოფიური ღირებულებები და ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისი ორგანულად არის დაკავშირებული მხატვრული აზროვნების მიმართულებასთან. სწორედ ასეთ ტექსტებს მიეკუთვნება არეოპაგიტული კორპუსი, რომელიც ოთხი ტრაქტატისა: – 1. საღმრთოთა სახელთათვის; 2. ზეცათა მღდელთ-მთავრობისათვის; 3. საეკლესიო მღდელთ-მთავრობისათვის; 4. საიდუმლოდ ღმრთის-მეტყველებისათვის; – და ათი წერილისაგან (ეპისტოლები ათნი), – შედგება, რომლებიც ძირითადად ეკლესიის ყოფით ცხოვრებას ეხება.

ეს ტექსტები სწრაფად გავრცელდა ქრისტიანულ სამყაროში, როგორც ერთ-ერთი ავტორიტეტული წყარო ქრისტიანობის ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნებისა. არეოპაგიტული წიგნები კარგად იყო ცნობილი აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, სადაც მე-11 საუკუნეში ითარგმნა ეფრემ მცირეს მიერ ქართულ ენაზე. მოგვიანებით გაჩნდა ამ წიგნების სლავური თარგმანებიც. ამ ტექსტების უდიდესი მნიშვნელობა შუა საუკუნეების ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველების განვითარებაზე საყოველთაოდ ცნობილი

ფაქტია. სწორედ ამან განსაზღვრა ძირითადად ამ ტექსტების მნიშვნელობა მხატვრული აზროვნების განვითარებისათვის, და არა მხოლოდ. აյ მხედველობაში გვაქვს სინათლისა და სიმბოლოს თეორია სუგერთან (საფრანგეთში მოღვაწე აბატი სენ-დენიდან 1081-1151), რომელიც განხორციელდა გოთიური ხელოვნების მხატვრულ პრაქტიკაში, დანტეს პოეზია – „ღვთაებრივი კომედია“ და ა. შ. რაც ცალკე შესწავლის საგანია და წინამდებარე სტატიის მიზანს არ წარმოადგენს.

ერნესტ ჰემინგუეი მხატვრულ ნაწარმოებს ადარებდა აისბერგს, რომლის მხოლოდ პატარა ნაწილი ჩანს, ძირითადი კი დაფარულია წყლით. ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში ალექსანდრ ლოსევს, როდესაც აღნიშნავდა: „ქართველმა მკვლევარებმა ნამდვილად სწორად შენიშნეს ამ ტრაქტატის (საუბარია არეოპაგიტულ თხზულებებში შემავალი ოთხი ტრაქტატიდან ერთ-ერთზე, „საღმრთოთა სახელთათვის“) თვით სტილი, თუმცა არ მოუციათ მისი მეცნიერული ანალიზი, რაც ჯერ კიდევ მომავლის საქმეა“.

არეოპაგიტული პრობლემების შესწავლას საქართველოში ნახევარ საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, არეოპაგიტიკის კვლევას ესთეტიკის მეცნიერების პოზიციებიდან, მისი ესთეტი-

კური პრინციპებისა და ნორმების დადგენას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ არეოპაგიტული თხზულებების, როგორც მხატვრული შემოქმედების გააზრებას (იხ. ბ. ბარათელი. „მხატვრული შემოქმედების საკითხი არეოპაგიტულ ესთეტიკაში“ (თბ. 1998 საკანდიდატო დისერტაცია), ჯერ კიდევ მომავლის საქმეა და საჭიროებს არეოპაგიტული კრებულის ღრმა ფილო-სოფიურ-ესთეტიკურ ანალიზს.

ჩვენ სპეციალურად ვიკვლევთ არეოპაგიტულ მოძღვრებას ესთეტიკის მიმართულებით, რასაც სისტემატური ხასიათი აქვს და მას არაერთი სამეცნიერო სტატია მივუძღვენით როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ამ მიმართულებით, სხვადასხვა კონკრეტული საკითხების შესწავლამ (იერარქიის თეორიისა და სიმბოლოების ესთეტიკური ასპექტი, არეოპაგიტიკის ფილოსოფიურ-ესთეტიკური სისტემის არსების შესახებ, მისი როლი შუასაუკუნეების მხატვრული აზროვნების განვითარებაში, არეოპაგიტიკის გავლენა დასავლეთის ესთეტიკაზე და სხვა), ვფიქრობთ, მომავალში უნდა წარმოაჩინოს არეოპაგიტიკაში არსებული პრობლემატიკის მთელი სპექტრი, ამით კი საფუძველი უნდა მომზადდეს ამ მოძღვრებაში ორგანულად ჩაწერული ესთეტიკური პრობლემატიკის მთლიანობაში შესასწავლად, რომელშიც იკვეთება ის მთავარი მომენტები და ელემენტები, რომელთა მეშვეობითაც იშლება ესთეტიკურის მთლიანობა.

არეოპაგიტიკის ავტორი სულიერი კულტურის ისტორიაში იყო ერთ-ერთი პირველი შემქმნელი მთლიანი ესთეტიკური სისტემისა, რომელიც მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიც არის ესთეტიკური ობიექტი (ბუნება და ადამიანი), ესთეტიკური შინაარსი (სილამაზე), ესთეტიკური სუბიექტი, ესთეტიკური აღქმისა და მხატვრული შემოქმედების პროცესები. ყველა ისინი თანხვედრაშია მხატვრული აზროვნების პრობლემებთან, რაც თავის თავში ასე-

ვე მოიცავს როგორც ფერის, სინათლის, სიმბოლოს, კონტრასტის, ფანტაზიის შესახებ ცალკეულ დებულებებს, აგრეთვე ხელოვნებისა და სილამაზის სტრუქტურულ კანონზომიერებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეინარჩუნა არეოპაგიტულმა ფილოსოფიამ (ესთეტიკამ) განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა და სწორედ ამაშია მისი აქტუალობა დღეისათვის.

დიდია არეოპაგიტული კორპუსის საფუძვლიანი კვლევისა და შესწავლის მნიშვნელობა, როგორც საერთოდ, საკაცობრიო კულტურის, ისე ქართული კულტურის არსის გაგების თვალსაზრისითაც. ამიტომაც შუა საუკუნეების ქართული კულტურა და არა მხოლოდ შუა საუკუნეებისა, არამედ ქართული კულტურა საერთოდ, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ იყო არეოპაგიტული თხზულებების ავტორი, მნიშვნელოვნად არის დავალებული ამ ძეგლისაგან. მისი გულდასმითი ანალიზი ცხადს ხდის არეოპაგიტული მოძღვრების დიდ მნიშვნელობას ქართველი მოაზროვნეებისათვის.

მართლაც, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებების გავლენა ქართულ აზროვნებაზე თითქმის არც ერთ ეპოქაში არ შეწყვეტილა. ეს თხზულებები ასაზრდოებდა არა მარტო საეკლესიო, არამედ საერო მწერლობასაც.

ამ მხრივ, ყურადღების ცენტრში დგას ქართული ნეოპლატონიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი ეფრემ მცირე, იგი, როგორც უკვე აღინიშნა, არეოპაგიტიკის ქართულ ენაზე მთარგმნელია. ეს მის მიერ სათარგმნელი ლიტერატურის შერჩევიდანაც კარგად ჩანს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მის მიერ ბერძნულიდან ქართულ ენაზე გადმოცემულმა არეოპაგიტულმა თხზულებებმა, პროკლეს „კავშირინის“ პეტრინისეულ თარგმანსა და საკუთრივ მის დამოუკიდებელ ნაშრომ „განმარტებაი“-სთან ერთად, გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს მე-11-მე-12

საუკუნეების ქართულ კულტურაზე.

ეჭვგარეშეა არეოპაგიტიკის გავლენის კვალი იოანე პეტრინის მსოფლმხედველობაზე არსის წარმოქმნის, სამყაროში მშვენიერების გამოვლენის, სამყაროს სტრუქტურის იერარქიული საფეხურების სახის წარმოდგენით, იერარქიული წყობის პრინციპისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით. საყოველთაო მისწრაფების საგანია მშვენიერება პეტრინთან, საყოველთაო მნიშვნელობის მქონეა იგი არეოპაგიტიკაშიც. მთელი ეს სისტემა ორივესთან წარმოდგენილია ესთეტიკური ცნებებით.

ისევე, როგორც არეოპაგიტიკის მიხედვით „კეთილისა (ე. ი. მშვენიერების) მიერ შეიერთა ყოველი და იგი მთავრობს ყოველსა კეთილსა ზედა, ვითარცა მიზეზი და მძვრელი შემოქმედებითი და შემომკრებელი ყოვლისავე თვისსა სიკეთისა“ (პეტრე იბერიელი, **შრომები, თბ. 1961, გვ. 36**), პეტრინთანაც არ არსებობს სამყაროში საგანი, რომელზედაც მშვენიერება არ იყოს „მიფრჩევეული“ პირველსაწყისისაგან. მშვენიერებას, ამბობს პეტრინი, უფორმო ნივთებიც კი ეტრფიან, რადგან „გუართა (ფორმათა) კუალი“ ნივთებში სხვა არაფერია თუ არა მათი „წადილი მშვენიერებისა და მორთულობისა“ (ი. პეტრინი, **შრომები, ტ. მეორე, თბ. 1937, გვ. 76**).

საერთოდ, არეოპაგიტიკის გავლენა, იქნება ეს პეტრინის ფილოსოფიასა, თუ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“, აშკარაა და მას წარსულში არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა (შალვა ნუცუბიძე, შალვა ხიდაშელი, ნოდარ ნათაძე, რევაზ თვარაძე, აკაკი განერელია, ზურაბ კიკნაძე).

არეოპაგიტული წიგნების სავარაუდო გავლენებზე მიუთითებენ ასევე დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე.

ამჟამად, ჩვენი კვლევის მიზანია, ვაჩვენოთ არეოპაგიტიკის გავლენები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე. აქვე

უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟას შემოქმედების მსოფლმხედველობრივი წყაროები, უნინარესად ისევ ქართულ აზროვნებაში უნდა ვეძებოთ, რაც ბუნებრივია. აյ სათანადო ადგილი, სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნებთან ერთად, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებებსაც უჭირავს, დამოუკიდებლად იმისა, ვაჟა უშუალოდ იცნობდა თუ არა არეოპაგიტულ წიგნებს.

სანამ კონკრეტული საკითხების შესახებ მსჯელობაზე გადავიდოდეთ, უნდა ითქვას, რომ ძნელია და სახითაო დიდი მოაზროვნის მოქცევა გარკვეული ლიტერატურული მიმართულებების არტახებში. უფრო მეტიც, დიდი პოეტი ყოველგვარი ლიტერატურული სკოლებისა და მიმართულებების გარეშე დგას. ასეთი იყო ვაჟა-ფშაველა. „მისი გაქანება პორიზონტს როდი საჭიროებს. ვერტიკალურად იძვრის მისი სტიქიონი... რიყიდან – ლურჯ კლდემდე. ეს არის მისთვის სიმტკიცის ორი პუნქტი“ (ვახტანგ კოტეტიშვილი).

ვაჟა-ფშაველა სამყაროში, კერძოდ კი ბუნებაში, სიცოცხლის გამოვლინებას ხედავდა. ბუნება ვაჟასთვის თავისთავად სიყვარულია, ვითარცა უმშვენიერესი და უდიდესი შემადგენელი ნაწილი სიცოცხლისა და ცხოვრების. ბუნება სიცოცხლის გამაცისკროვნებელი, გონების მომაჯადოებელია, მისთვის ბუნება და ყოველი მისი ნაწილი: კლდეები, ველი და მდინარე ისეთივე სიცოცხლით არის აღვსილი, როგორც ბულბული, მერცხალი, ლომი, თუნდაც არწივი, როგორც ყოველი პირუტყვი და მეტყველი. ვაჟას პოეზიაში ყველაფერი ცხოვრობს, მოძრაობს, იბრძვის, ფიქრობს, ოცნებობს. პოეტი ყველაფერში სიცოცხლეს ხედავდა. ვაჟამ შეძლო აღმოეჩინა და თვალწინ გადაგვიშალა ჩვენთვის უხილავი, გამოუცნობი, დაფარული კავშირი თვით უბრალო, ჩვეულებრივ მოვლენათა მიმდინარეობებს შორის. ვაჟასთან მთა ფიქრობს, ოცნე-

ბობს და გოდებს, მთა კვნესის და ეს კვნესა ამაყია და თანაც მედიდური. ეს ყველაფერი კარგად ჩანს შემდეგ სტრიქონებში:

ირგვლივ მთებია დიდრონი,  
აყრილნი სრულის ტანითა,  
გადაღესილნი თოვლითა,  
მოუღალავნი ჯანითა,  
ერთხელ თუ ჰერა ამ გვარად, სულ  
გინდა სინჯო თვალითა,  
იმაზე ლამაზებია, როცა ღელავენ  
მწვანითა.

ამრიგად, მთელი ბუნება ვაჟასთვის ერთნაირად სულჩადგმული და გასული-ერებულია, ერთი და იგივე ღვთაებრივი გონებითაა გამსჭვალული ბუნება, მის-თვის საყვარელია, როგორც სიცოცხლის, ცხოვრების და სინამდვილის ერთ-ერთი ელემენტი. ბუნება ცოცხალი არსებაა, მის არც ერთ ნაწილს არ სდევს უსიცოცხლობის ნიშანი. ბუნების ყოველი ნაწილი განხორციელებულია, შემდგარია, დასრულებულია, განსულიერებულია. ასეთია მთანი მაღალი, სალი კლდეები და ა. შ. ვაჟას სიყვარული სილამაზისა (ბუნებისა) იქამდე მიდის, რომ მგელს ეუბნება: „მიყვარხარ ისე, როგორც ნადირი შეიძლება უყვარდეს კაცს, იმიტომ, რომ შენ ცხოვრებაში სილამაზეს ვხედავ“. ვაჟა განსხვავებას ვერ ხედავს არათუ ადამიანსა და ცხოველს, არამედ ადამიანსა და ე. წ. არაორგანულ სამყაროს შორისაც. მას სრულიად ბუნებრივად მიაჩნია თავისი თავის შედარება მთის არწივთან ან ნაიალაღარ ხართან. მსგავსი შედარებები ბევრი შეიძლება დაიძებნოს მის შემოქმედებაში, თუნდაც ლექსი: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა“.

როგორც ზემოთ ითქვა, გასულიერებულ ბუნებას ვაჟა იმგვარად უყურებს, თითქოს ის ფსიქიკის მქონე იყოს. ამის საფუძველს პოეტი იმაში ხედავს, რომ ბუნება ცოცხალია და ამ კონტექსტში ის შეიძლება ადამიანზე მგრძნობიარედაც განიხილავდეს მას და ასეც განიხილავს. აქ ჩვენ მივდივართ „ჰილოძოიზმის“ ფი-

ლოსოფიურ მოძღვრებასთან, რომლის თანახმადაც, მთელი სამყარო არის ცოცხალი, გასულიერებული (ბუნებაც ხომ სამყაროს ნაწილია).

ტერმინი ჰირველად შემოიღო ინგლი-სელმა ფილოსოფოსმა რალფ კადუორთმა მე-17 საუკუნეში. ის, ჰენრი მოროსთან ერთად, ლაპარაკობდა „პლასტიკურ ბუნებაზე“, არაცხობიერ, არასხეულებრივ სუბსტანციაზე, რომელიც მართავს და ორგანიზებას უკეთებს მატერიას და ამ სახით ქმნის ბუნებრივ მოვლენებს. ის გამოდის, როგორც ცვლილებების ღვთაებრივი ინსტრუმენტი. ძველი ბერძნებიდან ამ თეორიის მიმდევრები იყვნენ: თალესი, ანაქსიმანდრე, ანაქსიმენი, ჰერაკლიტე, ემპედოკლე. ის დამახასიათებელი იყო სტოკოსებისა და შემდეგ ნეოპლატონიკოსებისათვის.

რენესანსის ეპოქაში იგი აღადგინეს იტალიელმა ნატურფილოსოფოსებმა: ჯ. კარდანომ, ბერნარდინო ტელეზიომ, ჯორდანო ბრუნომ, თომაზო კამპანელამ. ამ პერიოდში შეიმჩნევა მისი სიახლოვე „პანთეიზმთან“ (ლმერთი გათქვეფილია ბუნებაში). „ჰილოძოიზმის“ ელემენტებს შეიცავს ფრანგი ფილოსოფოსის, დენი დიდროს და უან ბატისტ რობინეს შეხედულებები. „ჰილოძოიზმის“ საწყისი ფორმაა ანიმიზმი. მისი თავისებური სახეა „პან-ფსიქიზმი“, რომელიც წარმოადგენს ფილოსოფიის რანგში აყვანილ ანიმიზმს. „პან-ფსიქიზმმა“ გავრცელება პოვა ახალ დროში – გერმანულ ფილოსოფიაში (ლეიბნიცი, შელინგი, შოპენჰაუერი, ე. ჰარტმანი), მკვეთრი გამოხატულება – მე-19 საუკუნეში შ. ფეხნერის, ჰ. ლოტკეს, შეხედულებებში. „პან-ფსიქიზმის“ მიმდევრები მე-20 საუკუნეში იყვნენ: ა. ნ. უაიტჰედი (რომელსაც ის მიაჩნდა თანამედროვე ფიზიკის ადეკვატურად მიაჩნდა), ჩ. სტრონგი, ანალიტიკური ფსიქოლოგიის მამამთავარი, ნეოფრონიდიზმის ყველაზე გამორჩეული და კოლორიტული ფიგურა კარლ გუსტავ იუნგი, ს. ალექსანდერი, ტეიარ დე-შარდენი. „პან-ფსიქიზმის“ თა-

ნამედროვე მიმდევრები არიან: დევიდ ჩალმერსი, გალენ სტროსონი.

როგორც ვხედავთ, „ჰილოძოზმის“ თეორია თავისი საწყისი ფორმისა და სახის ჩვენებით (ანიმიზმი, „პან-ფსიქიზმი“), ფილოსოფიური ასპექტების გათვალისწინებით, ახლოს დგას ვაუსა შეხედულებებთან. ეს ცალკე შესწავლის საკითხია და მომავალში, ვფიქრობთ, სპეციალური კვლევა მივუძლვნათ მას. ამჟამად, გასაგები მიზეზების გამო, შემოვიფარგლეთ ამ თეორიის ზოგადი დახასიათებით და ვაუსა შეხედულებებთან მისი დაკავშირების ჩვენებით, ასევე არეოპაგიზმიკის გათვალისწინებით, როგორც ნეოპლატონური ფილოსოფიისა.

ვაუსათვის ყოველივეს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ხელს უწყობს სიცოცხლეს, ებრძვის სიკვდილს და სიცოცხლის მოსპობას. ყველაფერი, რაც არის სინამდვილეში, სიცოცხლისაგან არის შემდგარი. აქედან გამომდინარე, სიცოცხლე არის რეალობა, აბსოლუტური არსი. ე. ი. აბსოლუტური რეალობა მხოლოდ სიცოცხლეს ეკუთვნის. „სიცოცხლის“ ცნება, ისევე როგორც სხვა ცნებები, გაჩნდა იქ და მაშინ, როდესაც და სადაც ჩამოყალიბდა წარმოდგენა მის შესახებ, თვით წარმოდგენა კი ჩნდება იქ, სადაც არის გარჩევა. გარჩევა, ბუნებრივია, შედარების გზით ხორციელდება. შედარება, თავისთავად, ორ შესადარებელს გულისხმობს.

ამ შემთხვევაში სიცოცხლე ედარება სიკვდილს. მთლიანად სამყაროს და მისი შემადგენელი ნაწილის, „ბუნების“ საიდუმლოება არის ის, რომ სიცოცხლეს სჭირდება სიკვდილი იმისათვის, რათა გამოვლინდეს სიცოცხლის არსებობის შეუძლებლობა სიკვდილის გარეშე.

მაშასადამე, მეორის (სიკვდილი) გარეშე პირველი (სიცოცხლე) არ გამოვლინდება. ყველაფერი ნათელი ხდება ამ დაპირისპირებაში: სიცოცხლე-სიკვდილი, სიყვარული-სიძულვილი, თეთრი-შავი, მშვენიერება-სიმახინჯე, დადე-

ბითი-უარყოფითი, სიკეთე-ბოროტება. ერთი ამ ორთაგანი ყოველთვის ნეგატიურია, მეორე – პოზიტიური. სიკვდილი კიდეც ემსგავსება სიცოცხლეს და ამავე დროს განირჩევა კიდეც მისგან. ყოველივე ეს ღრმად ჰქონდა გააზრებული ვაუსას, როდესაც მბობდა:

ლმერთმა გიშველოს, სიკვდილო,  
სიცოცხლე შვენობს შენითა,  
და შენც, სიკვდილო, ფასი გძე,  
სიცოცხლის ნაწყენობითა  
სიცოცხლე სიყვარულითა  
და სიყვარული სიცოცხლით,  
უერთურთისოდ ვერც ერთსა  
ვერ ვიცნობთ, ვერც რას  
ვიცნობდით.  
ერთურთი სწყურან ორთავეს,  
ერთურთთან დაიღევიან;  
უერთურთთისოდ ვერ სძლებენ,  
მალედვე დაიღევიან.

ის, რაც უბრალო მოკვდავს მიაჩნია უსულოდ და უაზროდ, ის, რაც ჩვეულებრივად ადამიანს მიაჩნია გრძნობას მოკლებულად, ასე ვთქვათ „გრძნობის გარეშე მყოფად“ (ბ. ბარათელი), პოეტი მაშიაც სიცოცხლეს ხედავს, მისი მაჯისცემაც ესმის, მისთვის იქაც სჩექფს უდიდესი ძალა სიცოცხლისა.

ნისლნი, დაღლილნი ცურვითა,  
მთის ყურედ მიმალულიყვნებ,  
მთანი მაღლაით დასცექერდნენ,  
ღრმა ფიქრით შაბურილიყვნენ.  
არაგვიც ჩუმად მისჩეფდა,  
თვით ცრემლსა ცრემლი სდიოდა,  
ბუნდად და გაურჩეველად,  
კლდეთა კალთაზე ხვიოდა.

ან კიდევ:

ცაზე გამქრალან ვარსკვლავნი,  
პირი ემატვის მთვარესა,  
მთანი თავ-ჩაჩენიანები  
ფიქრს მისცემიან მწარესა.

ვაჟამ განუწყვეტელი, მუდმივი და მარადიული კავშირი დაამყარა დროსა და სივრცეში, ერთი მხრივ, „უასაკოთა და უსულოთა“ და, მეორე მხრივ, ასაკიანთა და სულიერთა შორის. ე. ი. ერთი მხრივ, მთებსა და კლდეებს, მეორე მხრივ ადამიანს, მცენარეებსა და ცხოველებს შორის. რასაკვირველია, ბუნება მისთვის მეგობრად, საყვარელ არსებად არის მიჩნეული, რომელიც მისი ჭირისა და ლხინის მეგობარია.

დილაზე ფრთა დაკუცილთა  
ნამტირალევთა ღამითა,  
მთებზე ეძინათ ნისლებსა  
მიტკლით შაკრულის თვალითა.

ამ სტრიქონებში კარგად ჩანს ნისლის მთელი ცხოვრების მიმდინარეობა: ცვალებადობა, მოძრაობა, გადადგილება, მოქმედება, მისი სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა, განცდა და არსი, რაც მთლიანობაში ფილოსოფიური და კერძოდ, ესთეტიკური შინაარსის მხარეებსა და ასპექტებზე მიუთითებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვაჟას მიხედვით, აბსოლუტური რეალობა მხოლოდ სიცოცხლეს ეკუთვნის და მისი საფუძველია სიყვარული, ხოლო სიკვდილისა – სიძულვილი, მათი (სიცოცხლისა და სიკვდილის – ბ.ბ) საერთო ისევ მათ დაპირისპირებაში უნდა ვეძებოთ. სიყვარულია ის შინაგანი მამოძრავებელი ძალა, რომელიც სიცოცხლეს აღამაზებს, რაც შემდეგ რეალიზდება ადამიანის სამყაროსთან, ადამიანის ბუნებასთან მიმართებაში, ქალისა და კაცის ურთიერთდამოკიდებულებაში, რაც მრავალასპექტიანია და ამჟამად ხაზი ესმება ესთეტიკურ ასპექტს.

ამასთან დაკავშირებით, გავიხსენოთ პოემა „სტუმარ-მასპინძელი“, როდესაც ჯოყოლას ცოლი აღაზა ზვიადაურის დანახვაზე მაშინვე ენთება და იხიბლება, ხოლო, როდესაც ქისტები ზვიადაურს კლავენ:

და ამ სურათის მნახველი ერთი  
დიაცი ბნდებოდა,  
ცრემლებს მალავდა ლამაზი,  
ხალხზე უკანა დგებოდა,  
მოშველებასა ჰლამობდა, „ნუ  
ჰკლავთ!“ ეძახის გულიო,  
ფიქრობდა ბრაზმორეული, ნეტავი  
მომცა ცულიო.

ნეტავი ნებას მაძლევდებს  
დედაკაცობის რჯულიო  
რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას  
გავაფრთხობინო სულიო.  
ნეტავი იმას, ვინაცა მაგის  
მკლავზედა წვებოდა,  
ვისიცა მკერდი ან გული მაგის  
გულმკერდსა სწვდებოდა!

ამის შემდეგ ზვიადაურის სიკვდილი ქალს თავიდან ალარ შორდებოდა და ამის გამო:

სტიროდა მაგრამ ტირილი, არ იყო  
ეხათრებოდა,  
ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,  
მეორით ღმერთი აშინებს,  
ქისტეთის მტრისა მოზარეს თავს  
რისხვას გადმოადინებს.

მაგრამ ეს ფიქრი გონებისაა, გული თავისას შვრებოდა:

კაცის კაცურად სიკვდილი,  
გულიდან არა ჰქრებოდა...  
ქალის გულს იგი სურათი შიგ  
გაეყარა ისრადა.

ამრიგად, სიცოცხლე არის აბსოლუტური რეალობის გამოვლინების სფერო და მას სიყვარული ახალ ღირებულებით თვისობრიობაში გადაჰყავს და მთლიანობაში, ადამიანის სამყაროსთან მიმართებაში აისახება. სიცოცხლე უპირისპირდება სიკვდილს, რომელიც თავის თავში ისეთივე გარკვეულობაა, როგორც სიცოცხლე, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „აბსოლუტური სიკვდილი“ არარობაა და არ არსებობს ნამდვილად.

„ის, რასაც ჩვენ უბრალო მოკვდავები, სიკვდილს ვეძახით, არის არა აბსოლუტური სიკვდილი, არა მთელი მოსპობა, არა სრული დაკარგვა, არამედ მხოლოდ სახის გამოცვლა“ (სერგი დანელია), ე. ი. ერთი ინდივიდუალობის სახე შეიცვალა სხვა ინდივიდუალობით.

Уыцы тых, кәңүйил аәрдәбон йем цыд, цыма сыйнаджынтеләй әмбонды иннәрдүгәй баззад. әнәуи загътаис, къухәй тъәпгәнгә кодта размә әндәрг аәнгәрон сыйы баззайгә зәронды. Цыма аәфсәйнаг әмбондыл аәвәрд асины цур баззад аехсәвү әндәрг.

Тедоимә наә раздәхт фәстәмә, йә усимә фембәллынмә йә иунәгәй руагъта.

– Аба, даҳәдәг зоныс, тәрсгә маңаңмәй кән, зәронд мыйаг куы наә дә. Кәй уындумә бәллыс уыцы ус дәм аенхъәлмә кәсиси, цаугаे кән, рәвдзәр айс дә къах. Гуыпп-гуыпп кәнене зәрдәе, зәгъдзына, сәгәпп кодта риуәй. Цәуыт талынджы Тедо, аәдыхәй- аәдыхәдәр кәнене йә уәрдҗытә дыдәгтьә кәненің. Талынджы наә зыны, фәләе йә зоны, кәм ис уәлмәрд. Иу цалдаәр хатты кәлгә дәр фәкодта, тых әмәе ма фыдтәй йә къахыл сләууыд, сыйнаджыдзаг къухтәй

цъаэл рæвдуæтты æрбæрджытæ кодта  
æмæ та адарддæр кодта йæ фæндаг.

•

Амæй фалдæр къаходзæф дæр нал  
акæндæн Тедо. Лæууы талынджы,  
гүбырæй, йæ хидлæсæнтæ кæны, лæууы  
æмæ йæ æмбары, уырдæм бацыдис,  
цыранæй никыддæм уал ацаудзæнис.

– Күү дын загътон... цы зæгъон,  
цы зæгъон, дæ ацыды фæлтау, æз күү  
ацыдаин хуыздæр уыд, – йæ кæуын  
нал баурæдта, нырма йæ уæрджытыл  
æрхаудта, стæй ныддæлгоммæ ис  
сындæй йедзаг зæххыл, афтæ æмæ,  
сындзыты рыст дæр не нкъардта, нæдæр  
зæххыл æрхауды рыст банкъардта...

•

Сындджын æмбондыл æвæрд асины  
бæрджытæ кæнынц дардæй уырыссаг  
арæнхъахъæнджытæ.

Шамбирыл æртулгæ куадзæны

рухсгæнæн кæсы бынмæ мард хъæутæм.  
Куадзæны æнусон хæрзиуæгæй судзы  
алкæцы хуры тын.

– Ай цы у?

– Асин у.

– Асины ам цы хъæуы?

Пшатитырдæм фæзылдысты  
уырыссæгтæ.

Къæрцхус немыщаг мыггаджын  
куыдз рæйын райдыдта æмæ йæхи  
арæнхъахъæнджы къухæй атыд-  
та. Чысыл ма бахъæуа уырыссаджы  
фæкæлын кæна. Гæрз йæ къухæй феуæгъд  
æмæ-ма гæпп-гæппгæнгæ тыххæй йæхи  
баурæдта. Күүдз уæлмæрдырдæм лыгъд  
радта. Арæнхъахъæнджытæ йæм бирæ  
фехсит кодтой, фæлæ сæм күүдз næ  
байхъуиста.

Күүдз йе ‘взаг æрæппаргæйæ усы  
уæлмæрдыл дæлгоммæ хаудæй Тедойы  
марды алыварс смудгæ зилæнтæ кодта...

## გუბაზ მეგრელიძე

### ილია ჭავჭავაძის ქართულ თეატრი

ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივმა შემოქმედებამ ფრიად საინტერესო ადგილი დაიმკვიდრა სცენაზე. ჯერ კიდევ 1881 წელს მსახიობ ნატო გაბუნიას საბენეფისოდ, დიდმა მწერალმა „კაცია-ადამიანის?!“ მიხედვით, შექმნა პიესა „მაჭანკალი“, სადაც აღნერილი იყო ახალგაზრდა ლუარსაბის ქორწინება. ეს პიესა, თავისი მხატვრული ღირსებით, მართალია, ვერ შემორჩა ქართულ სცენას, მაგრამ მის მოტივზე შექმნილი დრამატურგ ავქსენტი ცაგარელის „ხანუმა“ დღემდე იდგმება ჩვენს თეატრებში.

ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეში მისი ნაწარმოებები იშვიათად იდგმებოდა, მწერლის გარდაცვალების შემდეგ კი დიდად გაიზარდა მისი შემოქმედებისადმი ინტერესი. ქართულ თეატრში ხშირად იმართებოდა ილია ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავი საღამოები, დაიდგა: „ბატონი და ყმა“ (გადმოკეთებულია „გლახის ნაამბობიდან“), „დედა და შვილი“, „გლახა ჭრიაშვილი“, „სურათი ყაჩალის ცხოვრებიდან“, „გლეხთა განთავისუფლების დროის სურათები“, „განდეგილის“ ლიტერატურული გასა-მართლება“ და სხვა.

ქართულ საბჭოთა თეატრში ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების სცენაზე გადატანის პირველი ცდა ეკუთვნის ცნობილ რეჟისორ ვასო ყუშიტაშვილს, რომელმაც 1935-36 წწ. სეზონში მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი ლიტერატურული მონტაჟი „ჩატეხილი ხიდი“. იმსცენირების ავტორი იყო შალვა დადიანი. რეჟისორმა მხატვრული სიმართლით აღბეჭდილ სპექტაკლს ღრმა სოციალური ულერადობა მიანიჭა. ამ დადგმამ დიდად შეუწყო ხელი იმხანად მივიწყებული ქართული კლასიკის სცენაზე დამკვიდრებას. ამ სპექტაკლზე მუშაობისას ჩაისახა „კაცია-ადამიანის?!“ ცალკე დადგმის იდეა, რომელიც 1946-47 წწ. სეზონში განხორციელდა.

ლუარსაბ თათქარიძის როლს ვასო გოძიაშვილი ასრულებდა. მისი გმირის სცენური სახე აქტიორული ხელოვნების ბრნყინვალე ნიმუშად იქცა. მსახიობი თანდათან აღნევდა მხატვრულ სრულყოფილებას და ღრმად გადმოსცემდა გმირის შინაგან ბუნებას. ვასო გოძიაშვილი ლუარსაბის სახეს იმდორინდელი ეპოქის სოციალური თავისე-

ბურებების ღრმა წვდომით ასახიერებდა. ლუარსაბი ყველაზე მკვეთრად მაშინ ამჟღავნებდა თავის უმეცრებას, როცა ჭკვიან ადამიანს თამაშობდა. ამგვარ კონტრასტულ ფერისცვალებაზე იყო აგებული გმირის ხასიათის განვითარება. ასევე მნიშვნელოვანი იყო ვედრების სცენა, სადაც ლუარსაბი ღმერთს მორჩილად სთხოვდა, მისთვის ერთი შვილი გამოემეტებინა და, ამავე დროს, შიშნარევ პროტესტს გამოხატავდა უფლის სამართლიანობისადმი. აქ უკვე ვასო გოძიაშვილი ამხელდა ლუარსაბს, როგორც სრულ არარაობას და მის აუცილებელ გადაგვარებაზე მიანიშნებდა. ლუარსაბის მთელი „ფილო-

და თანადროულობა.

ილია ჭავჭავაძის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა თეატრში ყოველთვის იძლეოდა ახალი შეხედულების წარმოქმნის შესაძლებლობას. ამ დროს აუცილებელი ხდება კლასიკური ნაწარმოებისადმი დამოკიდებულების შეცვლა, მაგრამ არა მარტო გამომსახველობითი ფორმების ძიება და ცვალებადობა იწვევს ახალი თვალსაზრისის ჩამოყალიბებას, არა-მედ აქ თავისი კორექტივები შეაქვს სამსახიობო ხელოვნებას, რაც, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენს ტრადიციის დამკვიდრებაზე.

ეს მოვლენა მკვეთრად ჩანს მაშინ,

როდესაც სპექტაკლში მსახიობის ოსტატობა მაღალმხატვრულ დონეს აღწევს. მსახიობი ქმნის გმირის მოდელს, რომელიც მყარად ყალიბდება აღამიანის ცნობიერებაში, შემდგომში კი, როცა იგივე სახე ზუსტად მეორდება მომდევნო წლების განმავლობაში, ერთხელ შექმნილი მხატვრული მთლიანობა აღარ



სოფიის“ ილიაშეული ჩანაფიქრი კულ-მინაციას აღწევდა ტახტზე წამოწოლილი ლუარსაბის მიერ ბუზების თვლის სცენაში. მსახიობი გმირის მამხილებელი ელემენტების ხაზგასმით, თანამედროვე საზოგადოებაში აქტუალურს ხდიდა „ლუარსაბიზმის“ მიუღებლობის საკითხს. ამ როლის ასე ფართო მასშტაბურობით წარმოსახვამ განაპირობა სპექტაკლის კვლავ აღდგენა 1970 წელს, რითიც კიდევ ერთხელ დადასტურდა ილიას სატირის მნიშვნელობა

ვითარდება. მსახიობმა როლი, შეიძლება, ითამაშოს კარგად ან ცუდად, ამით მხოლოდ სპექტაკლის ავტარიანობაზე შეიქმნება გარკვეული აზრი, მაგრამ პერსონაჟის უკვე შექმნილი მოდელი თვისობრივად ახალს არაფერს შეიძენს.

ამ მოვლენის საუკეთესო მაგალითია ქართულ თეატრში ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ ინსცენირება. პირველად იგი მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა 1935-36 წწ. სეზონში, შემდეგ კი 1952-53 წწ. – რუსთაველის თე-

ატრში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ დადგმას შორის დიდი შუალედი იყო, ელენე დონაურისა და თამარ ჭავჭავაძის მიერ ინსცენირებული ოთარაანთ ქვრივის სახე ერთმანეთის იდენტური აღმოჩნდა.

მოგვიანებით ამავე სახელწოდების კინოფილმში ვერიკო ანჯათარიძემ დიდი ოსტატობით შექმნა ღრმად შთამბეჭდავი სახე, მაგრამ სამივე მსახიობმა ხანდაზმული ქალი განასახიერა, ილია ჭავჭავაძესთან კი იგი ორმოცდაოთხი წლის, საშუალო ასაკის ქალია: ეს დიდ გავლენას ახდენს გმირის სახის ტრადიციულ ჩამოყალიბებაზე. ასე შეიქმნა ოთარაანთ ქვრივის დღემდე არსებული მოდელი. რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი ამის შესახებ ასეთ აზრს გამოთქვას: „რა საინტერესო იქნებოდა, სხვა თვალით დაგვენახა ოთარაანთ ქვრივი... იქნებ შევხედოთ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებს ორმოცდაოთხი წლის ჯან-ლონით სავსე ქალის თვალით და არა დედაბრის პოზიციებიდან, როგორც ოთარაანთ ქვრივს წარმოადგენენ ხოლმე ჩვენს სცენაზე და კინოკრანზე? მაშინ ხომ გაცილებით უფრო საინტერესო და გასაგები იქნებოდა მისი დამოკიდებულება ქმრის ნივთებისადმი, მისი ხსოვნისადმი, ასევე ქვრივისადმი მეწისქვილის დამოკიდებულება (ის, ალბათ, მხოლოდ შვილისა და ქმრის ხსოვნის გამო იხშობს თავისი ასაკისათვის ბუნებრივ გრძნობებს? ყოველ შემთხვევაში. ეს საინტერესოა) და თუკი ვინმე შეეცდება ამ ამბავს სოსია მეწისქვილის თვალით შეხედოს, ბევრ ახალ რამეს აღმოაჩენს“.

იგივე ბედი გაიზიარა მეორე გმირმა, ლუარსაბ თათქარიძემაც. დიდებული სახე შექმნა ვასო გოძიაშვილმა, მაგრამ მისი პერსონაჟიც საკმაოდ ხანდაზმული იყო, ნაწარმოებში კი იგი ორმოცი წლის ახალგაზრდა კაცია. სწორედ ასაკი ამძაფრებს ლუარსაბის ფუქსავატური ცხოვრების პრობლემას.

მარჯანიშვილის თეატრი კვლავ დაუბრუნდა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს. სპექტაკლში „ასის წლის წინათ“ გაერთიანდა სამი მოთხოვობა: „ოთარაანთ ქვრივი“, „მგზავრის წერილები“ და „კაცია-ადამიანი?!“. სპექტაკლი ლიტერატურულ-პუბლიცისტური კომპოზიციის სტილითაა გადაწყვეტილი. მთავარი მოქმედი პირია ავტორი – ილია ჭავჭავაძე (მსახიობები თენგიზ არჩვაძე და გია ბურჯანაძე). იგი მთხოვნებლის როლში გვევლინება და მსჯელობს თავისი დროის საჭირბოროტო პრობლემებზე. წიგნებთან ანთებული სანთლებიც ამ შეხედულების სიწმინდეზე მიგვითითებს – სცენაზე ვხდავთ ილიას ფოტოსურათებს, მის ხელნაწერებს, საწერ მაგიდას, ტანსაცმელს, რომლებიც ნიშანშია ამოლებული (თითოეულ მათგანს ტირის სანიშნე აკრავს). მხოლოდ ილიას გადიდებული თვალებისა და შუბლის ფრაგმენტია დაუმახინჯებელი. აქაც თემურ ჩხეიძისა და მხატვარ გოგი მესხიშვილის გადაწყვეტა სახიერია. ილიას სიცოცხლის ნიშანში ამოლებამ ვერაფერი დააკლო მისი შეხედულებების ჩვენამდე მოღწევას – მისი მემკვიდრეობა ქართველი ერისთვის ხელშეუხებელი რჩება. რეჟისორს სურდა გამოეკვეთა, თუ რა სულიერი მემკვიდრეობა გვაკავშირებს წარსულთან და ასეთი მიმართებით განგვეჭვრიტა თანამედროვეობა.

სწორედ ილიას ამ გადიდებული ფოტოსურათის მხრიდან გამოდიან სცენაზე მოქმედი პირები. გიორგის სიკვდილის შემდეგ სურათის ერთი ფრაგმენტი სისხლიანი ლაქით იფარება, რომელშიც ილია „მგზავრის წერილების“ დასასრულს გაივლის (რაც მარადისობაში გასასველი კარია), ხოლო მესამე მოქმედებაში აქედანვე გვევლინებიან ლუარსაბი და დარეჯანი. სრულიად გარკვეულია რეჟისორის პოზიცია – თუ პირველ-ორ მოქმედებაში („ოთარაანთ ქვრივი“ და „მგზავრის წერილები“)

ვხედავთ ავტორისეულ განსჯა-მსჯე-ლობას ცხოვრებაზე, ადამიანთა ბედსა და ფიქრს სულიერ სიფაქიზეზე, მესამე მოქმედება („კაცია-ადამიანი?!“) პირველ ორს უპირისპირდება სევდიანი იუ-მორით, სადაც წარსულის ყოველნაირი კვალი გამქრალია.

კიდევ ერთ მეტაფორას გვთავაზობენ: სცენის უკანა მხარეს გამნერივებული დარაბები სპექტაკლის მსვლელობის დროს იცვლება ილიასა და გლეხთა გადიდებული პორტრეტებით, ხოლო ფინალში მათ ადგილას სარკე-ებია ჩადგმული, რომლებიც, საკუთარი თავის შესაცნობად, მაყურებლის-კენ არის მიმართული. ასეთი ფინალით თეატრი ზუსტად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას, როგორც დადებითი და უარყოფითი პერსონაჟებისადმი, ასევე საზოგადოებაში არსებული პოზიტიურ-ნეგატიური მოვლენებისად-მი, თითოეულ ადამიანს მოუწოდებს ცხოვრებაში საკუთარი ადგილის გან-საზღვრისაკენ.

მიუხედავად ასეთი საინტერესო რე-ჟისორული გადაწყვეტისა, გმირების ტრადიციულ ჩარჩოებში მოქცევამ ისი-ნი იღუსტრაციული გახადა. ამ შემ-თხვევაშიც ოთარაანთ ქვრივის სახე ტრადიციულ ფარგლებს ვერ გასცდა, რადგან ის უკვე ვიხილეთ 50-იანი წლე-ბის კინოფილმში და ახალს აღარაფერს გვეუბნება, თანაც სრულიად იდენტუ-რია ამ სახის მხატვრული გადაწყვეტა ვერიკო ანჯაფარიძისა და თამარ სხირ-ტლაძის შესრულებით.

დამდგმელი რეჟისორისთვის მთა-ვარი იყო გმირთა ღრმა ფსიქოლოგიუ-რი ურთიერთობის გამოვლინება, რად-გან ილიასთან მათ შორის კონფლიქტი უფრო სულიერ სამყაროში ვლინდება, ვიდრე მოქმედებაში. სწორედ ეს იწვევს სცენაზე მოქმედების შენელებას. ამ გა-რემოებით აიხსნება ისიც, რომ ოთარა-ანთ ქვრივის სახეს დაკლდა უმთავრე-სი თვისება – სიცოცხლისუნარიანობა

და ენერგიულობა. სცენაზეა ცხოვრე-ბისეული გამოცდილებით დაბრძენებუ-ლი მოხუცი ქალი, რომლის თვალსაც ადამიანთა ურთიერთობების ნიუანსები არ გამოეპარება.

სცენაზე წარმოდგენილი ოთარა-ანთ ქვრივის ხნის ქალი აღარ შეიძლე-ბა იყოს იმ თვისებების მქონე, როთიც აღფრთოვანებული იყო ავტორი. მასში ქალური დაუხარჯავი ენერგია და დე-დობის გრძნობა ერთმანეთს ებრძვის. იმარჯვებს დიდი სულიერი სისპეტაკე, გაუტეხელი ნებისყოფა, რაც მაღალი ზეობის ქალს წარმოგვიჩენს.

გაურკვეველი რჩება არჩილისა და კესოს ხასიათბიც. სპექტაკლში ისინი წარმოდგენილნი არიან იდეალიზებულ პიროვნებებად, მაგრამ ნაწარმოებში მათ სახეებში უფრო ღრმა ავტორისეული ჩანაფიქრი დევს: „ახალმა სოციალურმა მოვლენებმა ისინიც დააფიქრა, „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი მათ წინაშე მწვავედ დასვა და მათში მოქალაქის ერთგვარი პასუხისმგებლობა გააღვიძა – პასუხის-მგებლობა ხალხის წინაშე და მათთვის ზრუნვა „მონანიე აზნაურის“ ცხოვრე-ბას თავისებურ ახალ მიმართულებას აძლევს“, – წერს მიხეილ ზანდუკელი.

ამგვარი ინტონაცია გმირს მეტ მნიშვნელობას შესძენდა.

თანამედროვე თეატრში „კაცია-ადა-მიანის?!“ პრობლემას ანალიტიკურად ჩვენება ესაჭიროება. ნაწარმოებში ასა-ხული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ფაქტორებმა დღეისთვის აქტუალობა დაკარგა, ამიტომ ბატონ-ყმობის საკითხზე მთავარი ყურადღე-ბის გამახვილება მაყურებელს ვერ და-აინტერესებდა. თეატრისთვის მნიშვნელოვანია ლუარსაბის მორალური სახის ჩამოყალიბება. ავტორის სატირაც უმ-თავრესად გმირთა ფსიქოლოგიის საჩვენებლად უნდა წარმართულიყო.

მარჯანიშვილისა და მინიატურების თეატრების „კაცია-ადამიანმა“ ნაწარ-მოების თანამედროვე პოზიცია ვერ

გამოხატა. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი მოვლენებისადმი ილიასეული სატირული და-მოკიდებულება დაიკარგა. ლუარსაბისა და დარეჯანის ზნეობრივი დაჩლუნგება ცალმხრივი იუმორით იმოსება. ორივე სპექტაკლში წინა პლანზე მხოლოდ ლუარსაბის ცხოვრების სასაცილო მხარე-ებია წამონეული, მაგრამ ნაწარმოებში ლუარსაბი „არ ფიქრობს ცხოვრებაზე და არც ცხოვრება არ ამჩნევს მას. ლუარსაბი განაგრძობს ცხოვრებას ინერციით“ (მიხეილ ზანდუკელი). სწორედ ესაა მისი შინაგანი გამოფიტულობის მიზეზი, რამაც იგი პირუტყვად აქცია.

დამდგმელ რეჟისორებს კიდევ ერთი მხარე დარჩათ გაუთვალისწინებელი. ნაწარმოებში ლუარსაბი გამოყვანილია ყოველგვარი პროგრესული მოვლენის მოწინააღმდეგებედ. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების დამამუხრუჭებელი ძალაა, რომელიც აუცილებლად უნდა გადაგვარდეს. ამიტომ ნაწარმოებში დრამატულ-სატირული ელფერით იმოსება ლუარსაბის უშვილობა, რაც მისთვის აუსარულებელ ნატვრად რჩება. ამ მოვლენის უფერულობამ სპექტაკლებში ნაწარმოების მთავარი იდეა დაუსრულებელი დატოვა.

მარჯანიშვილის თეატრში „კაცია-ადამიანის?!“ დადგმით ვიხილეთ ნაწარმოებზე ტრადიციული შეხედულების დარღვევის ცდა. ლუარსაბი მსახიობ გივი ბერიკაშვილის მონაწილეობით საშუალო ასაკის კაცად წარმოგვიდგება, თანამედროვე ტანსაცმლით, სათვალითა და დამახასიათებელი სიმსუქნის გარეშე. დარეჯანის სახეს მხატვარიცა და რეჟისორიც ილიასეული დახასიათებით წარმოგვიდგენენ, რაც სახეთა მასშტაბურობას უნდა გულისხმობდეს, მაგრამ ეს საინტერესო გადაწყვეტა განვითარებას ვერ პოულობს. სცენაზე ილიასეული მნვავე სატირო გაფერმკრთალდა. ლუარსაბასა და დარეჯანს შორის რამდენიმე კომედიური ეპიზოდი გათამაშდა, რაც უმთავრესად ამ გმირების გარეგნულ დახასიათებაში გამოვლინდა.

ილიას სიცილში კი არსებული მდგომარეობის მიმართ შეურიგებლობა და აღმფოთება დევს. თეატრის პოზიციის მოდუნებით სპექტაკლმა უფრო ილუსტრაციული სახე მიიღო, თუმცა ნაწარმოები დღევანდელი პრობლემების საინტერესოდ წარმოსახვის შესაძლებლობას იძლევა.

თუ მარჯანიშვილის თეატრის სპექ-



ტაკლში მხოლოდ ლუარსაბისა და დარეჯანის ერთობლივი ცხოვრებაა ნაჩვენები, მინიატურების თეატრის სპექტაკლში ლუარსაბის მთელი ცხოვრებაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში თეატრი ნაწარმოების მთლიან სიუჟეტს გაჰყვა, რასაც მთავარი გმირის სახე თვალნათლივ უნდა წარმოეჩინა. მთლიანი ნაწარმოების დადგმას თეატრის უკვე დაშტამპული ფორმის იდეურ-მხატვრული ცვალებადობაც უნდა გამოეწვია. სამწუხაროდ, სცენაზე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ღრმა სოციალური მნიშვნელობის ნაწარმოების ზედაპირული დადგმა ვიზილეთ.

უდავოდ ნიჭიერი შემოქმედის, თენგიზ ჩანტლაძის ლუარსაბი ილიას მიერ დახატულ გმირს ეწინააღმდეგება. ლუარსაბის ზენ-ჩვეულებებით შემოფარგლული მსოფლმხედველობის გადმოცემის მაგივრად, თენგიზ ჩანტლაძე მთავარ ყურადღებას გმირის გარეგნობაზე ამახვილებდა. რა თქმა უნდა, ხასიათის გადმოსაცემად ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ ყოვლად მიუღებელია გმირის მხოლოდ გარეგნობით გატაცება და მისი დანიშნულების ცალმხრივად ჩვენება. თენგიზ ჩანტლაძე თავის მდიდარ გამომსახველობით საშუალებებს იმით ამდიდრებდა, რომ ლუარსაბისთვის მოძებნილ დამახასიათებელ მეტყველებაში სიტყვების დამახინჯებული წარმოთქმით მაყურებელი გაეცინებინა. ამას იქით ლუარსაბის სახე არ ვითარდებოდა. სპექტაკლში, რეჟისორ ლ. მირცხულავას გადაწყვეტით, დადანაშაულებულია გარემო, სადაც საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც ლუარსაბის ტიპისგან არაფრით განსხვავდებიან, მაგრამ პრობლემის გლობალურად ჩვენების საინტერესო რეჟისორული ჩანაფიქრი სუსტი მხატვრული სახეების შექმნის გამო ვერ განხორციელდა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება განსხვავებულად, თანამედროვედ წაიკითხეს თემურ ჩხეიძემ და გურამ საღარა-

ძემ რუსთაველის თეატრში დადგმულ სპექტაკლში „ჩემო კალამო“. სპექტაკლი რთულ უანრულ პრინციპზე იყო აგებული. ილიას სხვადასხვა ნაწარმოებს მოძებნილი ჰქონდა ერთი სიუჟეტური ხაზი, რომელიც ლოგიკურად ვითარდებოდა. დამდგმელებმა გამოიყენეს ლიტერატურული თეატრის პრინციპი, რომელიც პუბლიცისტურ განზოგადებამდე აიყვანეს და ამით მოვლენებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემა შეძლეს. ამ სპექტაკლის უდიდესი ლირსება ის იყო, რომ ილიას შემოქმედება თანადროულობის თვალით დანახული აღმოჩნდა. სპექტაკლისთვის შერჩეულ ნაწარმოებებს აერთიანებდა მამულიშვილობის გრძნობა – რომ ადამიანი თავისი მოღვაწეობით სამშობლოს ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ლექსი „ჩემო კალამო“ სპექტაკლში გამოხატავს თეატრის მტკიცებობისას სამშობლოს სიყვარულისა და უანგარო სამსახურის შესახებ. ასეთივე იდეები მოჰქონდა „ელეგიას“, „გუთნისდედას“, „დაბნელდა სულს“ და სხვა ლექსებს. აგრეთვე პოემა „აჩრდილსა“ და „მგზავრის წერილებს“. ამ ნაწარმოებების სცენაზე წარმოდგენისას მსახიობები გურამ საღარაძე, გიორგი ხარაძე, ზინა კვერენბჩილაძე და გოგი გეგეჭკორი მხოლოდ მხატვრული კითხვით არ შემოიფარგლნენ და გმირთა ხასიათები გააცოცხლეს.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებმა არაერთ მსახიობს შეუქმნა საკუთარი შესაძლებლობების ახლებურად გამომჟღავნების საშუალება. მათ მიერ ინტერპრიორებულმა სახეებმა ქართული თეატრის ისტორიაში მყარად დაიმკიდრეს სათანადო ადგილი. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება აკაკი ვასაძის მიერ განსახიერებული პეპია რეჟისორ დ. ალექსიძის სპექტაკლში „გლახის ნაამბობი“. ამ სახის პრინციპული სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ მსახიობმა შეძლო მოეცა ქართველი გლეხის

ღრმად რეალისტური და ფსიქოლოგიური პორტრეტი, რითაც სპექტაკლში პეპიას სახე უფრო მნიშვნელოვანი გახდა. თვით აკაკი ვასაძე ამ როლის შესახებ წერს: „პეპია გამოვიდა ჩემი შემოქმედებითი გზის „გადაყირავება“... ეს იყო ახალი, როგორც სახის წვდომისა და განცდის, ასევე მხატვრული ხორცშესხმის მხრივაც. პეპიას სახის ჩემეული შესრულების მნიშვნელობა არ განისაზღვრებოდა მარტომდენ სანახაობრივი სიმკვეთრითა და ეფექტურობით, გარეგნული სიზუსტითა და არტისტიზმით, არამედ განცდათა უშუალობით, სისადავითა და ფსიქოლოგიური სიმწვავით“. როგორც ვხედავთ, აკაკი ვასაძის შემოქმედებაში ამ სახემ განსაკუთრებული შესრულება მოითხოვა. ამასთანავე სცენაზე წარმოდგენილ ილიას გმირთა გალერეას კიდევ ერთი საინტერესო სახე შეემატა.

ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილს“ მეტეხის ახალგაზრდულმა თეატრმა მიანიჭა სცენური სიცოცხლე. ეს იყო ნაწარმოების თანამედროვე ინტერპრეტაციის თამაში და საინტერესო ცდა. რეჟისორმა სანდრო მრევლიშვილმა სპექტაკლის ფორმის მოსაძენად, დრამატული მოქმედების გასაძლიერებლად პოემაში ჩართო „ახალი აღთქმის“ ეპიზოდები. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სპექტაკლის ავტორს სურდა გამოეყო ნაწარმოების ფილოსოფიური ასპექტი და იგი მსჯელობის მთავარ თემად ექცია. სპექტაკლის ასეთი მთავარი ლაიტ-მოტივი რწმენის საკითხია. ბიბლიური სიუჟეტები გვამცნობენ იქსო ქრისტეს მიერ რწმენის ძალით მომხდარ სასწაულებს: ხეიბრის განკურნებას, ლაზარეს მკვდრეთით აღდგომას, ბრძისთვის თვალის ახელას. ამავე დროს, ფინალში ეს ეპიზოდები პირიქით მეორდება, რაც განდეგილის რწმენის დაკარგვასთან უნდა დავაკავშიროთ. სწორედ ასეთი გადაწყვეტა იწვევს კამათს, რადგან იგი ნაწარმოებიდან ბუნებრივად არ

იბადება და ხელოვნურად შექმნილ სანახაობად წარმოგვიდგება. ამ დებულების დასადასტურებლად უნდა მივმართოთ „განდეგილის“ ანალიზს. როგორც პროფესორი მიხეილ ზანდუკელი წერს: „პოემაში დასმულია საკითხი: როგორია ადამიანის როლი და დანიშნულება ცხოვრებაში?.. ადამიანისათვის არ არსებობს სულიერი სიმშვიდე და სხეულისა და სულის დაკმაყოფილება საზოგადოებრივი ცხოვრების გარეშე. ვინც მოინდომებს, ცხოვრების გარეშე იპოვოს დაკმაყოფილება, სიმშვიდე, ის ისე დაიღუპება, როგორც დაიღუპა განდეგილი... სწორედ ამ შემთხვევაში ხდება ის, რაც აუცილებელია სოციალური ცხოვრებისათვის, რაც აუცილებელია ადამიანისათვის, რომ მან თავისი თავი იპოვოს, თავისი ლირებულება განიცადოს. ნინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანის ცხოვრება კარგავს თავის შინაარსს და დანიშნულებას“. ვფიქრობ, მოყვანილ ციტატში სრულად ჩანს „განდეგილის“ იდეური ჩანაფიქრი და მისი მნიშვნელობა. თეატრმა კი ცალმხრივად გაიგო ნაწარმოები, შემოფარგლა იგი რწმენის დამარცხებით. ამით სპექტაკლს მოაკლდა თანადროულობის შეგრძნება. მარტო დამარცხებული რწმენა არ შეიძლება სპექტაკლის წამყვან თემად იქცეს, მასში აუცილებელია დავინახოთ, თუ რამ განაპირობა ეს მარცხი. თეატრის კოლექტივს გამორჩი მთავარი – ლეგენდისთვის დამახასიათებელი სიუჟეტის მიუხედავად, ილია ჭავჭავაძე რეალისტ მწერლად რჩება. თეატრმა კი „განდეგილი“ სიმბოლურ ნაწარმოებად აქცია, გამოაცალა მას ცხოვრებისეული კონცეფცია და ამიტომაც დამარცხდა.

ბუნებრივია, როცა პოემისა და ბიბლიის ტექსტი მოქმედებისთვის ხელოვნური აღმოჩნდა, ამან თავისი კვალი სამსახიობო შესრულებაზეც დატოვა. ამიტომ არაბუნებრივად უღერს წამყვან თ. ნაცვლიშვილის მიერ წაკითხული

ფრაგმენტები, რომლებიც დეკლამაციურ-ინფორმაციულ ფუნქციას ასრულებენ და არა მსახიობის მიერ ტექსტის აზრობრივი დანიშნულების გადმოცემას. ამიტომ წამყვანი ამოვარდნილია მოქმედების ძირითადი ხაზიდან. სპექტაკლში ასევე სქემატურად გამოიყურება განდეგილისა და მწყემსი ქალის ურთიერთობა. ეს უკანასკნელი კი ზემოქმედებას ახდენს უფრო ავხორცობის გამომჟღავნებით, ვიდრე განდეგილისთვის თავისი მდგომარეობის ახსნით, როგორც ეს პოემაშია. მწყემსი ქალი სინაზით, ჰაეროვნებით უნდა ატყვევებდეს განდეგილს. ასეთი გარებნიბა უნდა ანეიტრალებდეს ყოველივე მიწიერსა და ავხორცულს:

**გასაოცარი რაღაც მშვენება  
განდეგილს თვალწინ  
ნარმოედგინა...**

ნიჭიერი მსახიობის ნ. კვიტეტიანის გარებნიბა კი უფრო რუბენსისეულია და ამიტომ ასეთი გადაწყვეტით განდეგილი მაცდუნებელ ხლართში გაბმულ მსხვერპლად წარმოგვიდგება. თვით განდეგილის სახე, მსახიობ ზურაბ ცინცქილაძის შესრულებით, დაუსრულებლია. მსახიობმა ვერ შეძლო გადმოეცა განდეგილის შინაგანი განცდები, საკუთარ თავთან ბრძოლა და იმ სულიერი წონასწორობის დარღვევის პროცესი, რაც მასში მწყემს ქალთან ურთიერთობამ განაპირობა. ზურაბ ცინცქილაძის გმირი სულიერი სამყაროს რღვევის დასაწყისს ვერ გვიჩვენებს, ამიტომაც ცხოვრებისეული სიმშვენიერის ხილვით განდეგილში სულიერი გაცოცხლება კი არ იწყება, არამედ იგი მხოლოდ საკუთარ თავში გაურკვევლობით იფარგლება. ამიტომ სცენაზე არ მოხერხდა განდეგილის ფსიქოლოგიური სახის დამაჯერებლად წარმოსახვა.

ილია ჭავჭავაძის წარმოებების

სცენაზე გადატანამ ბევრი საინტერესო სახის შექმნა განაპირობა, მრავალ მსახიობს მისცა ინდივიდუალური მაღალმხატვრული ოსტატობის გამომჟღავნების საშუალება, ამასთანავე, ხელი შეუწყო რეჟისორული ძიებების განვითარებას. თვით ის ფაქტი, რომ ქართული თეატრი ხშირად მიმართავდა და მიმართავს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, მრავლისმთქმელია.

დღეს, ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობის სცენაზე გადატანისას, წანარმოებთა სოციალ-პოლიტიკური საკითხები განიხილება მორალურ-ეთიკური პრობლემების წინ წამოწევით, ფილოსოფიური განზოგადებით, რითაც სპექტაკლი თანამედროვე აქტუალურ საკითხებს ასახავს. ამასთანავე, ეს ლიტერატურული წყარო იმდენად რთულია, რომ დამდგმელი ზოგჯერ ვერ ახერხებს გათამაშებული მოვლენების თანამედროვეობასთან დაკავშირებას. რეჟისორთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ სპექტაკლი აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს წანარმოების კონცეფციიდან. ეს სწორი დებულებაა, მაგრამ წანარმოებთა ასეთი სცენური ხორციელება უმთავრესად ილუსტრაციით იფარგლება, რაც შემოქმედის შესაძლებლობებს ბოჭავს. ამის შესახებ რეჟისორი გიორგი ტოვსტონოგოვი წერდა: „წანარმოების თანადროულობა ნიშნავს მიმდინარე პროცესების და მასში ადამიანთა შეცვლილი ხასიათების ამოხსნას, ნიშნავს იმ იდეათა ამოხსნას, რომლებიც აღმოცენდა დღეს“. ამიტომ წანარმოებებში ასახულ სოციალ-ეთიკურ პრობლემებთან თეატრის დამოკიდებულება თანამედროვეობასთან კავშირით უნდა განისაზღვროს. სწორედ კლასიკური წანარმოების შინაარსის ახალი საშუალებებით ინერციეტაცია წარმოაჩენს ფორმის ძიების გზას.

## ალინა ოქროპირიძე

### თემო ჯავახი – რეტროსკექტივა

თბილისური ცხელი აგვისტო და ავტომობილების გამონაბოლქვით მონამლული ჰაერი ველარაფერს გვაკლებს გალერეის გრილ წიაღში მოხვედრილთ, მაგრამ ექსპოზიციის დასაწყისიდან „სიცხე“ ისევ იმატებს, თუმცა ეს სხვა სიცხეა – მხატვრის მიკროკოსმოსში ემოციებით მიღებული „მზის დარტყმა“, რომლის ტოლფასიც არც ისე ხშირია ქართულ რეალობაში.

თემო ჯავახის რეტროსკექტული გამოფენა „სიტყვა აბიექტები – „MIRRORRI“ უთუოდ ამგვარ, იშვიათ გამოფენათა რიცხვს მიეკუთვნება. ექსპოზიცია, რომელსაც დიმიტრი შევარდნაძის სახელობის სურათების ეროვნული გალერეის ოთხი დარბაზი დაეთმო და 2016 წლის 5 აგვისტოდან 27 აგვისტომდე გაგრძელდა, ქართული ავანგარდული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე თვითმყოფადი ნარმომადგენლის ფართომასშტაბიან რეპრეზენტაციას და მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენას ნარმოადგენს. ეს ერთგვარი შეჯამებაა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე წარმართული უწყვეტი და დაძაბული სააზროვნო პროცესისა.

ფერწერა, გრაფიკა, პოეზია, ფოტო-გრაფია, ინსტალირებული მხატვრული ობიექტები, ვიდეო არტი, სიტყვა-ობიექტები და სხვადასხვა წლებში შესრულებული პერფორმანსების ამსახველი ფოტო დოკუმენტაცია – ეს დარგობრივი მრავალფეროვნება თემო ჯავახის შემოქმედებაში იმით უნდა აიხსნას, რომ ხელოვანი „უარყოფს ერთსახოვან მხატვრულ სტილისტიკას და სხვადასხვა თემატიკის ნაწარმოებს შესატყვის მხატვრულ ფორმასა და კონტექსტურ სტრატეგია უძებნის“.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, გამოფენასთან დაკავშირებით, გამოსცა კატალოგი სახელწოდებით: „სიტყვა-ობიექტები“ – „MIRRORRIM“, რომელიც ერთგვარ გზამკვლევად გამოდგება თემო ჯავახის შემოქმედებით დაინტერესებულთათვის.

ხელოვანის შემოქმედების რეტროსპექტივა ყოველთვის გულისხმობს მისი განვითარების წარმოჩენას, რაც გარკვეული დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს არა მარტო მნახველს, არამედ ზოგჯერ თავად ავტორსაც.



სულელი  
სულ-ელი  
სულ-ელდები  
სულალდები  
(1989 წ.)

## 2000-იანი წლები...

ქართული საზოგადოების ერთ-ერთი დაავადების (მოკლე) ისტორია. ამ თემას თემო ჯავახმა, რამდენიმე წლის წინ ვიდეო ინსტალაციაც კი მიუძღვნა. ვიდეო ინსტალაცია „სულ-ელი“ ეხება გაუთვითცნობიერებელ პერმანენტულ მოლოდინს, რომელიც, როგორც წესი, ყოველთვის იმედგაცრუებით მთავრდება. ამ ნამუშევარში ადამიანი, რომელიც არ არის თავის უფალი, მცდარი წარმოსახვის „მოსაზღვრულობაშია“ მოქცეული. ის ჯერ ქაღალდის ფურცელზე, შემდეგ ეკრანზე, ბოლოს კი ყუთში სხვა მუყაოს ყუთებთან ერთად არის გამომწყვდეული. ბოლოს მოდის ვინმე ზორბა, მზის სათვალიანი ძია „ანგელოზი ნეგატივა“ და არავინ იცის, ამ იღლიაში ამოჩრილ ყუთს სად მიუჩენს ადგილს.

თემო ჯავახი: „საქართველოში, იქ, სადაც ხელოვნების სფეროსაც ახასიათებს კლანურ-ბიძაშვილურ-მამიდაშვილური დამოკიდებულებები და ხელოვანთა არაობიექტური, არაკომპეტენტური შეფასება (ცალკეულ გამონაკლისთა გარდა), ყოველთვის ვცდილობდი მაინც განმეხორციელებინა ჩემი შემოქმედებითი ჩანაფიქრი. საზღვარგარეთის ქვეყნების პროექტებში მონაწილეობა ძალიან დამეხმარა საკუთარი არტისტული გზის სწორ ორიენტაციაში. ამიტომაც, რა თქმა უნდა, მადლიერი ვარ ფრანგი, გერმანელი და ზოგიერთი ქართველი კურატორებისაც, რომლებმაც ჩამრთეს თავიანთ პროექტებში. განსაკუთრებით კი აღვინიშნავდი ნაყოფიერ თანამშრომლობას

ფრანგ კურატორ სებასტიან პლუოს-თან, რომელიც ჩემი შემოქმედებით დაინტერესდა და ამიტომაც ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე (2008 - 2015) არაერთხელ მივიღე მონაწილეობა მის უმნიშვნელოვანეს გამოფენებში: საფრანგეთსა და აშშ-ში, კერძოდ კი ნიუ-იორკში, პარიზში, ნიცაში, ნანტში, მონპელიესა და სხვა თანამედროვე ხელოვნების ყველაზე ცნობილ წარმომადგენელთა: მარსელ დიუშანის, კაზიმირ მალევიჩის, ლე კორბუზიეს, გოეთეს, რიჩარდ სერრას და სხვათა ნამუშევარების გვერდით“.

ცხადია, ხელოვანი ვერ დარჩება გულგრილი იმის მიმართ, რაც მის გარშემო ხდება, ვერ დაიბრმავებს და ვერ დაიყრუებს თავს, როგორც ამას სოცრეალიზმი მოითხოვდა, რომელსაც სინამდვილესთან, რეალიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა. ვის არ გვინახავს ფერწერული ტილოები, რომლებზეც გამოგონილი კოლმეურნები მინდვრებზე ტრაქტორებით მუშაობენ. მათი ენთუზიაზმიც გამოგონოლია. ყველა რეჟიმს, ყველა ხელისუფლებას საკუთარი მეხოტბები და მემატიანები სჭირდება. ხელოვანს კი სიფხიზლე და გულისხმიერება მართებს, რათა საკუთარ სინდისის ხმას უსმინოს და გაცნობიერებულად მიჰყევს სულის ძახილს.

## გიზი მეგაფონით.

ეიიი... შეეეენ!..

დამიბრუნე:

КГБ-სგან ნაწამები ნაციონალური გმირი (ბაში-აჩუკი).

შავი ზღვის მაზუთიანი სათვალეები.

ჩერნობილში დაცვენილი თმები.

ოზონის ხვრელის ამოსავსები მალამო.

სიყვარული, რომელიც არ მახსოვს.

თაფლის საბანში გახვეული კვნესა.

ხეზე მიყუდებული მთვრალი პოეტი.

უდაბნოში მომლერალი ქარი.

წვიმა – აორთქლებული ცრემლები.

უძლები შვილი – ბუდიდან გადმო-  
ვარდნილი თვით-მფრინავი.

ეიიი... შეეენ!..

დამიპრუნე:

მე-გა-ფო-ნი!..

ჩემი ხმა!..

საბჭოთა იდეოლოგები დღენიადაგ  
ჩაგვჩიჩინებდნენ: კერძო საკუთრება  
არაფერია, მთავარია საერთო სახალხო  
საკუთრება, ქვეყნის დოვლათი;  
ცალკეული პიროვნება დიდი ვერაფერი  
ბედენაა კოლექტივის, ხალხის გარეშე;  
„მე“ უძლურია, „ჩვენ“ – ძლიერი!  
და... ეს „მე“, იგივე «ქ», იმავდროუ-  
ლად, რუსული ანბანის უკანასკნელი  
ასო, თემო ჯავახის ინტერპრეტაციაში,  
გვაძლევს შავებში ჩაცმული მამაკაცის  
სილუეტურ ფოტო ობიექტს. არტისტი  
პლასტიკით და დგომის მანერით «ქ»-  
ს გამოხატავს. ავტორის განმარტებით,  
ესაა საბჭოთა კავშირის მოქალაქის  
მაშინდელი სულიერი და ფიზიკური  
მდგომარეობა და იმიჯი: მარცხენა  
ფეხი სწორად დგას, მარჯვენა ოდნავ  
გვერდზეა განეული; მარჯვენა ხელით  
დოინჯი შემოურტყამს, რითაც თითქოს  
სიამაყეს გამოხატავს, მარცხენა ხელი  
მუშტად შეკრულია, დაძაბული, მაგრამ  
უღონოდ დაშვებული სხეულის გასწ-  
ვრივ (არშემდგარი მეამბოხე უესტის  
სიმბოლო). თავი დახრილი აქვს, თვა-  
ლებით მინას ჩასცერის... ეს ნამუშე-  
ვარი 1994 წლითაა დათარიღებული და  
ფოტოზე თავად ავტორია აღბეჭდილი.  
თემო ჯავახის სააზროვნო ველი სუ-  
ბიექტის გარშემო ტრიალებს, თუმცა  
ზოგიერთ ნამუშევარში ეს არ არის  
ხაზგასმით აღნიშნული. ადამიანი და  
სამყარო, ადამიანი და საზოგადოება,  
ადამიანი და ბუნება, ადამიანი და დრო,  
რაც წარმოადგენს მისი, როგორც ხე-  
ლოვანის თვითორეფლექსიას: ფილო-  
სოფიური, პოლიტიკური, სოციოლო-  
გიური და ეკოლოგიური პრობლემატი-  
კის ჭრილში. თავისუფალი მოაზროვნე  
გაურბის გათელილ გზას, შტამპებს და

კლიშეებს, ხშირად უსწრებს დროს. რაც  
უფრო გულწრფელია მისი აღშფოთება  
მახინჯი სინამდვილით, მით უფრო ხმა-  
მაღლა გამოთქვამს პროტესტს...

„კრიზისი მდგომარეობს სწორედ იმ  
ფაქტში, რომ ძველი კვდება, ახალი კი  
ვერ იძადება. ამ განუკითხაობაში ავად-  
მყოფური სიმპტომების დიდი სახესხ-  
ვაობა იჩენს თავს“ (ანტონიო გრამსკი), –  
ამ სიტყვებით იწყებს თემო ჯავახის  
შემოქმედების განხილვას ხელოვნე-  
ბის ისტორიის მაგისტრი, ხელოვნე-  
ბის ისტორიისა და თეორიის სპეცია-  
ლისტი EHESS-სგან, სეპასტიან პლუო:  
„ორი წითელი შეცვის კვალი ატყვია  
კედელს, რომლის მიმართულებითაც  
თემო ჯავახიშვილი უშედეგოდ ცდი-  
ლობს კიდევ ერთი „ფეთქებადი“ ბურ-  
თის სროლას. გაბედული რევოლუციუ-  
რი აქტია ჩადებული ეპიზოდში, როცა  
ვხედავთ ვიდეო არტეფაქტის ორ  
კადრში, როგორ უბრუნდება ბურთი  
მსროლელს და მესამე ლაქა უსასრუ-  
ლოდ უჩინარდება. თუ შევადარებთ  
ამ მოქმედებას ვალტერ ბენიამინის  
მიერ აღნერილ რევოლუციონერების  
საციელს, რომლებიც ქუჩის საათებს  
ესროდნენ ტყვიებს იმისათვის, რომ  
შეეჩერებინათ მოძველებული პოლი-  
ტიკური წესრიგი. თემო ჯავახიშვილის  
ვიდეოარტი „პრობემატური ტრაქტო-  
რია“ (1993-94 წ.) გვიჩვენებს დისფუ-  
ნქციურ დროის მონაკვეთს, რომელიც  
კი არ ჩერდება, არამედ განუწყვეტლივ  
მიდის უკან. ძალაუფლების წინააღმ-  
დეგ მიმართული ეს სიმბოლური უესტი  
გადაიქცევა სიზიფეს შრომად, როდე-  
საც პოლიტიკური ტრანსფორმაციის  
სიმბოლური აქტი იმ განუკითხაო-  
ბის ნაწილია, რომელზედაც ანტონიო  
გრამსკი მიუთითებდა.“

ისევ და ისევ ქართული რეალობის  
გათვალისწინებით, როდია გასაკვირი,  
რომ თემო ჯავახიშვილის მიერ 90-იან  
წლებში შექმნილ Contemporary Art-ის  
(თანამედროვე ხელოვნება) ნამუშე-

ვრებს საზღვარგარეთ ხშირად 10 ან 20 წლის დაგვიანებით ეცნობიან, მაგრამ ამით ისინი როდი კარგავენ მნიშვნელობასა თუ სიმწვავეს. 2003 წელს თბილისის ისტორიის მუზეუმში, ქარვასლაში ჩატარებული ვორქშოფის ფარგლებში ნაჩვენები მისი „აბრეშუმის კაცი“ – პირველი ქართული ვიდეოარტი – ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და საგანგებო დისკუსიის საგნად იქცა.

აი, რას წერს თავად ვიდეოციკლის ავტორი: „ცალკეულ ღირებულებათა გაუფასურება და საქართველოს თვითდამკვიდრების გზაზე გამოვლილი მძიმე პროცესები: შიმშილი, ტერორი, ღალატი, ურთიერთგაუტანლობა და უიმედობა, განვლილი გზა და უარყოფითი ემოციების კასკადი თანდათან იცრიცება, ძველი ხალიჩის მსგავსად. ქუჩაში მოსიარულეთა ფეხის ხმა, საქსოვი დაზგის მონოტონური რიტმივით მეორდება და ასე იქსოვება მომავალი. ხალხი თვითონვე ქცეულა იმ ძაფად, რომლითაც ეს ხალიჩია იქსოვება. ეს წარსულია... ეს აბრეშუმის კაცი – პარკი (კოკონი), რომელიც პოტენციური ძაფია მომავლის მოსაქსოვად. ცივილიზებული სამყაროს მთლიანობას მოცილებული ნაწილი განიცდის ატროფიას. ეს ზღვარია და არსებული მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა საკუთარი უმნეობიდან თავის დაღწევაა – თვითგანახლების პოტენციური შესაძლებლობების მოძიების ხარჯზე“ (თ. ჯ. 1993–94 წწ.).

ვიდეოს იაპონელი მკვლევარი და კურატორი კეიკო სეი: „ოთხი დღის განმავლობაში ვნახე ყველა ქართული ვიდეოარტი, რომელთა შორის გამოვარჩევ თემო ჯავახიშვილის მიერ 1993-94 წელს შესრულებულ „აბრეშუმის კაცს“, რომელიც ქართული ვიდეო არტის კლასიკაა. ეს არის შესანიშნავი და არაჩვეულებრივი ნაწარმოები, როგორც აზრობრივად, ისე ტექნიკურად. აღტაცებული ვარ და ძალიან მომწონს

ეს ყველაფერი: ის, თუ როგორ იწყება მუნჯი ანიმაციით, თანდათან როგორ ვითრდება და მთლიანდება სხვადასხვა ვიდეოთა კოლაჟი. მისი ფაქტურა და ულერადობა, კონკრეტული პოეზია და კონცეფციური ტექსტები. რომ არ ვიცნობდე ამ ვიდეოარტის ავტორს, ნაწარმოების მაღალი ემოციური და ენერგეტიკული მგრძნობელობა მაფიქრებინებდა, რომ ეს ნამუშევარი შექმნა ოცი წლის ახალგაზრდამ, რომელიც საქართველოს რეალობით არის ფრუსტრირებული და იმედგაცრუებული“.

## „სიტყვა-ობიექტი“

ზოგადად, თემო ჯავახის მსოფლმხედველობისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა უანრისა და სტილის სინთეზი, აზრის გამოხატვა ფორმის, ფერის, ხმისა თუ გრაფიკული ნიშნების მეშვეობით. გასული საუკუნის 80-იან წლებში, კერძოდ კი 1983-84 წწ-ში მხატვრის აბსტრაქტულ ფერწერულ ნამუშევრებში თანდათანობით შემოდის სიტყვები, ასოები და სხვა სიმბოლოები, ასეთ გამოსახულებებს ის „ობიექტებს“ უწოდებს; აյ ტექსტის ასახვასთან, სხვადასხვა რაკურსსა და კონტექსტთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ბიბლიურ თემაზე შექმნილ რამდენიმე ნამუშევარში: „აბრამის მოდგმა“, „მთავარი ლოცვა“ (ორი ვარიანტი) და სხვა, სადაც ასოების ნაცვლად მორზეს ანბანია გამოყენებული (ამ ანბანის ქართული ვარიანტი) და აქცენტი გაკეთებულია აბსოლუტთან ადამიანის მიმართებაზე, რომელიც საკრალური და ინტიმური პიროვნული საკითხია.

1991-ში თემო ჯავახს 40 წელი შეუსრულდა, ე.წ. აკმე, რომელსაც ძველი ბერძნები დაბადების თარიღზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სწორედ ამ წელს მოეწყო მისი პირველი პერსონალური გამოფენა „ლეტრიზმი“, რომლის სათაურიც „ერთდროულად აღნიშნავდა,

როგორც ცნობილი მოდერნისტული მიმდინარეობის გამოცდილებასთან კავშირს, ისე ამ გამოცდილების თავისებურ გადააზრებას. ფაქტურულ ზედაპირებზე ამოკვეთილი ნიშნები, ცალკეული ანბანის ასოები, კონტექსტური ტექსტები, ციფრები, კარტოგრაფიული სილუეტები, სიმბოლური გამოსახულებები – ერთგვარი შიფრის ვიზუალურ სისტემას ქმნიან, სადაც (ზოგიერთ შემთხვევაში) კონკრეტულ შინაარსს არ აქვს მნიშვნელობა. ეს შიფრი, ზოგადად, ისტორიის, გამოცდილებებისა და ცოდნის კოდებს „უკავშირდება“, – მიიჩნევს ხელოვნებათმ-ცოდნე ხათუნა ხაბულიანი.

ზოგჯერ კი „ობიექტების“ ნაცვლად არტისტი „სიტყვა-ობიექტებს“ გვთავაზობს, როგორც სათემელის, მისი გრაფიკული გამოსახულებისა და სამგანზომილებიანი, მრავალფუნქციური საგნის ერთობლიობას.

საიდან მოდიან სიტყვები? ცალკეული, პირველყოფილი ბერებიდან, შორისდებულებიდან, ახალშობილის ტირილიდან, შეყვარებულის ოხვრიდან, გამარჯვებულთა ყიუინიდან, სასიკვდილოდ განწირულის გაბმული „ააა...“-დან... დაშალეთ სიტყვები სიტყვებად, მარცვლებად, ფონემებად და ხელახლა აღმოაჩინეთ ჩვენთვის ასეთი მშობლიური და ბუნებრივი, ზოგჯერ სამარცხინოდ ყურადღებას მოკლებული დედაენის ნიაღი, საიდანაც იშვება სიტყვები, სიტყვები, სიტყვები...

გითამაშიათ ბავშვობაში სიტყვებით? „დედა, რას ნიშნავს კოკის-პირული წვიმა?“ ანდა „გულ-აყრილი, გულ-მოსული, გულ-დაწყვეტილი, გულ-ანთებული, გულ-აჩუყებული, გულ-გახეთქილი – საბრალო გული!“ ასეთი ცნობა ნადილი ენისადმი სიყვარულის ყველაზე გულ-ზრფელი, ყველაზე ხალასი გამოვლინება მგონია. ვაი, რომ ხშირად, ასაკის მატებასთან ერთად, ისიც დავიწყებას მიეცემა, ხუნდება ყოველ დღიურ ორ-ომ-ტრიალში და მხოლოდ ზოგჯერ, უცხო ენების შესწა-

ვლისას, ხელახლა ცოცხლდება ჩვენში ის ბავშვური აღტაცება, სიტყვებში მოგზაურობას რომ მოაქვს; ხანდახან, ანაზღაულად, გინათდება გონება და ქართულ სიტყვას, როგორც ნებისმიერ ყოფით საგანს, რომელსაც ეჩვევი და ვეღარ ამჩნევ, შენთვის ხელახლა აღმოაჩენ... გიკვირს, აქამდე რომ ვერ გაიგე, რაზე მიგანიშნებდა, საით მიჰყავდი სიტყვას – დროის მანქანას, რომელიც შორეულ წარ-



სულში გვაბრუნებს, თითქოს ვხედავდეთ წინაპართა აჩრდილებს. „დამარხულ არს ენაი ქართული...“ და თვით ამ ენაში დამარხულია საგანძურო.

სიტყვა, როგორც საგანი, ობიექტი. სიტყვა, მარცვალი, ასო, როგორც ხელოვნების ნაწარმოებში: მონასმის, ფერის, ჩარჩოს, ფაქტურისა თუ კომპოზიციის თანასწორ უფლებიანი კომპონენტი.

„სიტყვა – ობიექტი“ თემო ჯავახის საავტორო ტერმინს წარმოადგენს. ესაა „მხატვრულ ნაწარმოებში გამოყენებული სიტყვის (ბერის, ტექსტის)

არსისა და ამ ნაწარმოების კონცეფ-  
ციური ღერძის კვეთის შედეგად მიღე-  
ბული კონტექსტი, რომელიც აქცენტს  
აკეთებს ხელოვანის აღქმის რაკურსის  
განსხეულებაზე“.

ასეთ „სიტყვიერ“ ექსპერიმენტებს  
თემო ჯავახი, 80-იანი წლების და-  
საწყისიდან ატარებს. მისი „წინ(ა)და-  
დება“ სიტყვა-ობიექტია: თეთრ ფურ-  
ცელზე დაბეჭდილი სიტყვა და უფერო,  
გამჭვირვალე შუშებიანი ვიტრაჟი ერთ-  
მანეთთან შენივთებულა, ერთ, პარმო-  
ნიულ საგნად ქცეულა. აქვე შეიძლება  
დავასახელოთ 1998 წელს თბილისში,  
„გველ გალერეაში ჩატარებული აქცია  
„ქართ-ველი“ (ანუ ქარების ველი), ინს-  
ტალაცია „ნა-ცა-რი“ (ციდან მოვლე-  
ნილი), თუნდაც სიტყვა-ობიექტი „ეკო-  
ლოგიური იავნანა“.

ალბათ, მის შემოქმედებაში ყველაზე  
ძვირფასი სწორედ მინიმალიზმია, რო-  
მელიც უკომპრომისობას ესაზღვრება:  
იქნება ეს ლექსი, სურათი, ინსტა-  
ლაცია თუ სხვ., ზედმეტს ვერაფერს  
იპოვი და პირიქით, ძალიან მაღალია  
კონცენტრაციის ხარისხი, თითქოს ნაწარ-  
მოების ფორმა განვითარებულია.  
აი, რას ფიქრობს ამის შე-  
სახებ პოეტი შოთა იათაშვილი:  
„ის გაურბის სხვა პოეტებისთვის და-  
მახასიათებელ ჩვეულ ეპითტებსა და  
მსუყე ფრაზებს. პირიქით, თემო თითქოს  
აშრობს, აღვინებს საკუთარ ცნობიერე-  
ბაში არსებული ლექსის პირველ ვა-  
რიანტს, აცლის მას „ხორციან მასას“ და  
რითმიან კუდებს, კარკასზე კი ტოვებს  
პოეტური სკულპტურული ფორმის მხო-  
ლოდ იმ ნაწილს, რომელშიც მკითხველმა  
იმ პირველადში არსებული მთავარი უნდა  
ამოიკითხოს“. მაგალითად:

## მენტ

1. ერთი ჰექტარი... სიყვარული
2. ზღვა
3. ცალი კოცნა

4. მწველ ქვიშაზე გაწოლილი...  
განრთხმული სხივი
5. გარუჯული კონიაკები  
.....  
ძალიან ხშირად ვსადილობ ასე...  
შევექცევი ლამაზ ოცნებებს.

სიტყვები – მზესუმზირას მარ-  
ცვლების უხვი მოსავალი. ეს მცენარე  
ფრანგისთვის მზისკენაა მიბრუნებული,  
რუსისთვის – მზის ქვეშა, ინგლისელის-  
თვის – უბრალოდ, მზის ყვავილია...  
როგორც ვხედავთ, აქ მზე ყველგანაა.  
რა არის ამ სიტყვის სემანტიკური ველი  
და რა მოსავალს უნდა ველოდეთ მისგან?  
მზეზე შეყვარებული ყვავილი იქცა თემო  
ჯავახის პროექტის „აღმოსავლეთიდან  
დასავლეთისკენ“ კონცეფციურ ღერძად.  
1999 წელს მხატვარი სოციალურად  
დაუცველი მოზარდების, ქუჩაში გაზრ-  
დილი ბავშვების ყოფით დაინტერესდა,  
ეს პროექტიც მათდამი თანაგრძნობით  
შეიქმნა. აյ მზესუმზირის თემა სხვა-  
დასხვა ასპექტით არის ნარმოდებენილი:  
„1) მზესუმზირა – მცენარე, რომლის  
თვისებაა ორიენტაცია მზისკენ. ის დილი-  
დან „თავს“ აბრუნებს მზის მიმართულე-  
ბით და დღის განმავლობაში „მიჰყება“  
მას დასავლეთისკენ. 2) მზესუმზირა –  
საკვები პროდუქტი. მისგან მზადდება  
– ზეთი და კომბინებული საკვები  
ცხოველებისთვის. 3) მოხალული მზე-  
სუმზირა, რომლისგანაც ვეღარასოდეს  
აღმოცენდება ახალი სიცოცხლე. პროექ-  
ტის იდეა გამოვლენილია მზესუმზირის  
თემის სხვადასხვა – ზოგადამაღლებუ-  
ლისა და ყოფითი ასპექტების გადაკვე-  
თაზე“. მოხალული მზესუმზირა ყრია  
ქაღალდის პარკში, რომელზედაც ვან  
გოგის „მზესუმზირებია“ გამოსახული...  
„კოპტონისგან“ დამზადებული ობიექ-  
ტი ნარწერით SUN (მზე)... ფოტო-  
კომპოზიციებს, ემოციური დატვირ-  
თვის გარდა, პრობლემის ძირეული  
ანალიზიც ახლავს თან: ჩვენ წინაშეა  
სასტიკი რეალობა და მზესუმზირას

ყვავილივით ახლახან აღმოცენებული სიცოცხლე, ხოლო ამ ფოტო-არტე-ფაქტების ფონზე პათეტიკური ფრაზა – „ბავშვები ჩვენი მომავალია“ – ისევე უდერს, როგორც „წყალი სველია“ და „ცალკეულთა“ გულგრილი ფარისევლობა სახეზეა. დიახ! ამ ბავშვების სახეებზე, მათ კითხვის ნიშნებით სავსე თვალებში, რომლებსაც (სრულიად მარტო დარჩე-ნილთ) გაუჭირდებათ, აედევნონ მზეს



აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ.

## 90-იანი წლები...

სადგურში –  
სადღაც ბნელ ქალაქში  
ავდრიან დამით  
მატარებელში ავიდა კაცი.  
დადო ზურგჩანთა  
მაგიდაზე შვილის სურათი  
შეიგინა და...  
ჩაეძინა.  
ნეტავ რა სიზმარს ხედავს ეს კაცი?

მოზარდებს ხომ განსაკუთრებით სჭირდებათ სწორი, მკაფიო ორიენტი-რი – ადამიანები, რომლებიც ძნელბე-დობის უამს შუქურებივით დაეხმარე-ბიან ნაპირის მიგნებაში? ასეთ დროს მშობლების ადგილს ხმირად სხვა პი-როვნებები იკავებენ: ნათესაური კავ-შირების ნაცვლად, გადამწყვეტი მნიშ-ვნელობა სულიერ ერთობას ენიჭება.

თემო ჯავახი 90-იანი წლების და-საწყისიდან მახსენდება, როცა პოეზიის საღამოზე, გამოფენაზე ან თუნდაც, როკ-კონცერტზე მისვლას ჩვენთვის, მაშინდელი თინეიჯერებისთვის (15-19 წლისანი – ე.ნ. დაკარგული თაობა [Lost generation] მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში), ლამის სასიცოცხლო მნიშ-ვნელობა ჰქონდა. სოცრეალიზმის ნან-გრევებზე აღმოცენებული ქართული პოსტმოდერნიზმი ძალას იკრებდა: ჩუმი აღტაცებით შევცეკეროდით მამე-ბისა და უფროსი ძმების თაობას, ვინც ქართულ ლიტერატურასა და ხელოვ-ნებაში სიახლეს ამკვიდრებდა, ხმირად არცთუ უმტკივნეულოდ. ჩვენი ენთუ-ზიაზმი გასაგებია: საბჭოთა სკოლებში სულ სხვა რამეს გვასწავლიდნენ...

საქართველო... ცივი, ბნელი, მშიერი 90-იანები... ძალადობითა და სიძულ-ვილით, შიშითა და უიმედობით დაა-ვადებულ საზოგადოებას მკურნალობა სჭირდება... ჩვენი ცხოვრება თავად იქცა პოსტმოდერნად; იმაზე უფრო აბსურდული, ვიდრე ნებისმიერი აბ-სურდის თეატრი და მეტად სიურრეა-ლისტური, ვიდრე სალვადორ დალის ტილოები... ამ დროს თემო ჯავახი წერს:

„ჩემი სამშობლო ისე პატრაა...  
ისე პატარა...“

რომ თავისუფლად ჩაეტევა  
ერთ დიდ ჯიბეში.

ჩაეტევა...

ჩაეტევა...

აი!..

ნახე!..

ჩაეტია!..  
სამშობლო – ჯიბე!..  
სამშობლო – ჯიბე!..  
სამშობლო – ჯიბე.

1991 წელს ახლანდელ ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთ ზედა სართულზე, ორმოცი წლის არტისტი თავის „ბულ-ბულიონს“ ხარშავს. აი, ამ პერფორმანსის აღნერა მისივე სიტყვებით: „ნავიკითხე საკუთარი ექსპერიმენტული პოეზიის ნიმუშები. შემდეგ დავჭრი ტექსტი, სადილისთვის საჭირო ინგრედიენტები (ხახვი, მწვანილი, ანბანის ასოები) და მოვათავსე მდუღარე ბულიონიან ჭურჭელში. ამის შემდეგ ის შევთავაზე „ყრუ“ რესპონდენტებს, რომელთა პოლიტიკური გავლენაც ხშირ შემთხვევებში აფერხებს დემოკრატიული პროცესების განვითარებას“. რა თქმა უნდა, ამ პოეტური ბულიონის ადრესატებიდან /პოტენციური დეგუსტატორებიდან/ დარბაზში არავინ ყოფილა, მაგრამ მაშინ ასეთი აქციები, ისევ და ისევ საზოგადოების „მკურნალობას“ ემსახურებოდა.

1994 წელს, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა კარლო კაჭარავა – შესანიშნავი მხატვარი, პოეტი და კრიტიკოსი. იმ დროს სიკვდილი აღარავის აკვირვებდა, მაგრამ, ცხადად ვიგრძენი, რომ, კარლოს გარდაცვალებასთან ერთად, რაღაც დამთავრდა, თანამედროვე ქართულ სააზროვნო და კულტურულ სივრცეში დიდმა სიცარიელემ დაისადგურა. მომდევნო წლებმა ეს განცდა მხოლოდ გამიძლიერა. მომიტევეთ, მაგრამ ამ შესავლის გარეშე, გამიჭირდებოდა უკვე ლეგენდად ქცეული არტისტის ციტირება. ჯერ კიდევ 1990 წელს კარლო კაჭარავა ასე განსაზღვრავდა თავისი მეგობრის, თემო ჯავახიშვილის შემოქმედებას: „ ხელოვანმა მიაგნო სხვადასხვა მრავალფეროვან მხატვრულ მასალათა, ფხვნილოვანი გრუნტის (გამომწვარი მიწის, დაფხნი-

ლი ქვის, ცემენტის, ქიმიური პიგმენტების) და კონკრეტული პოეზიის ერთობლიობათა უნივერსალურ ნაერთს, რომელიც ძალდაუტანებლადა შეხამებული სხვადასხვა კუტურულ თუ ინფორმაციულ გამოცდილებასთან. აღსანიშნავია, რომ თემო ჯავახიშვილის ორიგინალური ხელოვნება, როგორც სათანადოდ შეუსწავლელი ტენდენციების საინტერესო ევოლუციის ნიმუში (განსაკუთრებით კი ნამუშევართა ის სერია, რომელშიც იკითხება „ახალი გეომეტრიზმისა“ და კონცეპტუალიზმის ნიშნები), ძალზე მონუმენტურიც არის და ქართული ავანგარდის უმნიშვნელოვანების ნიმუშიც“.

ჩემი აზრით, სწორედ 90-იან წლებში გამოიკვეთა თემო ჯავახის, როგორც ფილოსოფიური სილრმის მქონე და, ამავე დროს, მწვავე სოციალური პროტესტის გამომხატველი არტისტის სახე. „1991 წელს თბილისის ისტორიის მუზეუმში, პირველ სართულზე არსებულ მცირე საგამოფენო სივრცეში, დავყარე მიწა, ჩავარჭვე ხის ტოტი, ნარწერით „სამშობლო“... ეს მიწა მოვხანი, დავთესე ხორბალი და ვრწყავდი. მალე ჯეჯილიც ამოვიდა, მაგრამ ადგილობრივმა ვირთხებმა (როგორც ხშირად ხდება საქართველოს ისტორიაშიც) იმავე ღამეს მთლიანად გადათხარეს იქაურობა. ასე რომ, ვირთხები, რა თქმა უნდა, არ არიან ჩემი მეგობრები, თუმცა ისინი არიან ჩემი თანაავტორები, რადგანაც ამ შემთხვევაში, მათ შექმნეს ამ ინსტალაციის კონტექსტიც და მეტაფორაც.“ ამ პერიოდში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების, აქციებისა და გამოფენების გარდა აღსანიშნავია, თბილისის მარიონეტების თეატრში მის მიერ დადგმული პერფორმანსი „P.S.“ 1994 წელს თეატრმცოდნე გიორგი ჩართოლანი წერდა: „სპექტაკლი „პოსტსკრიპტუმი“, რომლის ავტორი, რეჟისორი, მხატვარი, მარიონეტების შემქმნელი, ერთ-ერთი როლის

შემსრულებელი თემო ჯავახიშვილია,  
თამამად შეიძლება ითქვას, ქართულ  
თეატრალურ აზროვნებაში პირველი  
ექსპერიმენტული წარმოდგენაა ავან-  
გარდული თეატრის ესთეტიკის დასამ-  
კვიდრებლად“.

P.S.

ბოლოს და ბოლოს... ვინ არის

თემო ჯავახი?...  
ადამიანი – ორკესტრი?..  
თუ, როგორც თავად ბატონი თემო  
იტყოდა:  
„კანიფოლით გაპოხილი ნერვი, რო-  
მელსაც ცხოვრება ვიელონჩელოს ხე-  
მივით ეხება” ?





ISSN 1987-5762



ଓঁ শৰ ৩ পুস্তক